13

43/1882 13

ივერია

საპოლიტიკო და სალიტერატურო ჟურნალი.

წელიწადი მეექვსე.

№ II

260

თბილისი.
ექვთიმე ხელაძის სტამბა, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე.
1882

Дозволено цензурою. Тифлисъ, 7 Февраля 1882 г.

დავით გურამიშვილი და მისი დრო

(დასასრული *).

სიბერის ჟამი დავით გურამიშვილისა.

გურამიშვილმა გუსარის პოლკი დასტოვა მხოლოდ მაშინ, როდესაც სიბერემ უსწრო და სამსახურის ტვირთის ზიდვა აღარ შეეძლო. ეს მოხდა ჩვენის აზრით 1769—1774 წლებ შუა. მაშასადამე ამ დროს პოეტი სამოც წელს კარგა გადასული უნდა ყოფილიყო.

ამ დროიდამ პოეტი აუშფოთავად სცხოვრობდა თავის მამულში, მცირე-რუსეთში, ლიტერატურაში და ოჯახობაში გართული. ამ დროის მის ლიტერატურულ ნაწარმოებს ეკუთვნის მრავალი ლექსი, მაგ. «სიკვდილის და კაცის შელაპარაკება და ცილობა», «კაცისა და საწუთროსაგან ცილობა და ბჭობა» (ორივ გძელი ლექსია). ამ დროსვე დაწერილია ბევრი წვრილი ლექსი, რომელიც დაბეჭდილია 294 გვერდიდგან წიგნის ბოლომდის (სახელდობრ: «ადამის საჩივარი», «მეოთხე დავითის შესხმა», «ამ წიგნთა გამლექსავის გვარის და სახელის გამოცხადება», «ანდერძი დავით გურამიშვილისა», «მღვდელთ ვედრება დავით გურამიშვილისა», «სათვალავის ქვაზედ დაწერი-

*) «ივერია» № 1, 1882 წ.

ლი», «სულის ამბავი», «ამ წიგნის გამლექსავის სულის მოხსენება».) ამ უკანასკნელს ლექსში, რომელიც უეჭველად უკელაზე გვიან დაწერილია, როგორც თვითონ შინაარსიდამ სჩანს, შემდეგი შენიშვნა არის ჩართული ავტორისაგან:

«ვთქვი წელსა ათას-შვიდას სამოც-და-თორმეტსა,
თვესა ნოემბერსა, ოც-და-ცხრასა გასულსა.»

მაშასადამე გურამიშვილს 1774 წლიდამ კალამი დაუდვია და მწერლობის ასპარეზიდგან ჩამომდგარა. იმავ წელიწადს (1774 წ.) არის დაწერილი აგრეთვე გრძელი ლექსი: «კაცისა და საწუთროსაგან ცილობა და ბჭობა», როგორც ეს სჩანს თვით ლექსის შინაარსისაგან (იხ. გვ. 162). ამ დროსვე უნდა ეკუთვნოდეს ლექსები: «საწუთროს სოფლისაგამო ტირილი», 58, 66 და 80 სიმღერები.

აქედამ სჩანს, რომ პოეტი 1774 მოცლილი ყოფილა, შესძლებია, სრულიად თავი მიეცა მწერლობისათვის და ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ იგი სამსახურიდამ გამოვიდა ამ 1774 წელს, ან ამის წინა წელიწადს და კერძო, მოსვენებულ ცხოვრებას მიეცა.

გურამიშვილის უკანასკნელ დროს დაწერილ ლექსებს ცხადად დამჩნევია დ ღრმად ჩაბეჭდილა მათში ორ-გვარი ძლიერი, მძიმე გრძნობანი პოეტისა: გრძნობა სულიერის ობლობისა, მჭმუნვარება სიბერის მოახლოვებაზე და მამულის სევდა, სევდა ძლიერი, სულთა-მხუთავი.

პირველი გრძნობა, გრძნობა სულიერის ობლობისა, რომელიც პოეტს ეწვია უკანასკნელს ჟამს და სტანჯავდა მრთელს მისს არსებას, წარმოსდგა იმის გამო, რომ პოეტი მარტოთმარტო დარჩა ამ დროს; მოძმენი და ამხანაგნი, რომელთა თანაც მისი თავ-გარდასავალი სიყრმიდგანვე შეერთებული იყო,

რომელთათანაც ერთად მან განატარა უკეთესნი წუთნი თავის სიცოცხლისა, რომელნიც მასთან მსახურებდენ, ჭირსა და ლხინს შუა უყოფდენ,—ეს მოძმენი ეხლა თითქმის სრულიად შემოეცალნენ პოეტს, თითქმის ყველანი სიკვდილმა და დროთა-ბრუნვამ წარიტაცა; მათგან ეხლა დარჩა ჩვენი პოეტი მარტოთ-მარტო უცხო ქვეყანაში, მოწყვეტილი სამშობლო მხარეს, თავის ხალხს, ნათესაობას. «საწუთროს და კაცის ბჭობაში» პოეტი ჰყვედრის საწუთროს:

«მაკვეხებ ფერად საცმელთა, ოქროსა, ვერცხლის ღილებსა *),
აწ დაგდგომია თვალები, შეუჭამია მღილებსა...
. . . .
და სულ დამიხოცე მოყვასნი, ერთიც არ დალინლილებსა.»

არა თუ ტოლ-ამხანაგობა, თვით ბატონიშვილი ბაქარიც ამ დროს აღარ იყო ცოცხალი. თავის სიცოცხლეში ის იყო პატრონი ქართველობისა და მის სიკვდილს მძიმე შთაბეჭდილება უნდა დაებადა განსაკუთრებით პოეტის სულში, რომელიც ღრმად პატივსა სცემდა განათლებულს მეფის შვილს მისთვის მზრუნველს, მეპატრონეს.

მეფის შვილი ბაქარ მაიცვალა რუსეთში 1750 წელს, ვგონებ ზაფხულში, (Бутк. II. 114; III, 87). არ იქნება ურიგო, რამოდენიმე ცნობები ჩავურთოთ აქ ამ შესანიშნავს პირზე და მის შთამომავლობის ბედზე, რადგან ამ ცნობებს თუმცა პირდაპირი კავშირი არა აქვთ დ. გურამიშვილის ცხოვრებასთან, მაგრამ აშკარად გვიხატვენ თვალ-წინ იმ დროს ვითარებას და იმ აურიცხველ ინტრიგებს, რომელთაც საუბედუროდ იმოქმედეს საქართველოზე და მის საუკეთესო შვილების

*) აქ პოეტი გუსრების ტანთ-საცმელ ფორმაზე ამბობს.

ბედზედაც. დამტკიცება არ ეჭირვება, რომ მამულის ბედის უკუღმართობას დიდი გავლენა ჰქონდა თვით გურამიშვილის პოეზიაზედაც.

მეფე ვახტანგის უფროსი შვილი ბაქარ დაიბადა 1700 წ. (Бутк. I. 504; исторія Грузін царев. Давида стр. 103). მას შემდეგ, რაც მეფე ვახტანგმა რუსეთის მეფის პეტრე დიდის მიმხრობისა გამო ტახტი დაჰკარგა, ბაქარ მართავდა ქართლის სამეფოს ხუთ წლიწადს, სანამ თითონაც განდევნილ არ იქმნა ოსმალოსაგან, რომელთაც ქართლის ტახტი მისცეს ვახტანგის ძმას, იესეს, გამოჩენილ ანტონ კათალიკოზის მამას (Бутк. იქვე). (აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ბუტკოვის ზემოხსენებული აზრი, რომ ბაქარ ვახტანგის შემდეგ ხუთ წელს მართავდა ქართლის სამეფოს ძალიან საეჭვო არის, რადგან ერისთავის შანშეს წერილიდგან ვახტანგთან ჩანს, რომ ბაქარი თავის მამასთან იყო 1724 წლის დამლევს. Переп. груз. царей съ русск. გვ. 173—174; 162—163). რუსეთში ჩამოსული ბაქარ მამასთან იყო მოსკოვში და მისსავე სიცოცხლეში მიიღო ჩინი არტილერიის გენერალ-ლეიტენანტობისა (1729 წ. 30 ნოემბერს Бутк. I. 66. прим. 2.). რამდენიმე მისგან გაწვრთნილნი კაცნი, სპარსეთში გარდასულნი, ასწავლიდენ შაჰ ნადირის ჯარს ზარბაზნის სროლას, ყუმბარების და ზარბაზნების ჩამოსხმას (Бутк. I. 221; 1743 წ.). საკუთარს ჯამაგირს გარდა, ბაქარს დიდ-ძალი მამული ჰქონდა მამასთან ერთად ნიჟეგოროდის გუბერნიაში, სოფ. ლისკოვში 1215 სული გლეხი ჰყავდა, ორს სოფ. ტერიუშევებში 502 სული და სოფ. კატუნოვში 1179 სული (Бутк. I. 432, 67.). ბაქარ მდიდრულად ცხოვრობდა მოსკოვში. მასთან იყო, როგორც წინა წერილში მოვიხსენიეთ, ვახუშტი და უფროსი ძმა მეფის ვახ-

ტანგისა, სვიმონ. ეს უკანასკნელი როდის წავიდა რუსეთს, არ ვიცით, მაგრამ 1738 წელს კი რუსეთში იყო (Пол. Собр. Зак. т. X № 7628). ერთს ვახტანგ მეფის ნაქონს ხელნაწერ წიგნზე წარწერილიდამ სჩანს, (ეს წიგნი თ. დ. ორბელიანის კუთვნილებას შეადგენდა), რომ მეფე ვახტანგმა თვით გამოიხმო ძმა თვისი სვიმონ რუსეთში, თუმცა მოხსენებულ ლექსთ-წარწერილის აზრი ძალიან ბნელია და თვით წარწერილი ძალიან მქრქალი. ამ განათლებულის მეფის ოჯახობამ (ვახტანგ, მისი შვილები ბაქარ და ვახუშტ, მისი ძმა სვიმონ), თანადახმარებით რამოდენიმე სასულიერო და საერო პირთა, დასდვეს ის ღვაწლი საქართველოს, რომელზედაც ჩვენ მოვიხსენიეთ წინა წერილებში (ისტორიული მატიანე, გეოგრაფია საქართველოსი, კანონები და სხვა სასარგებლო საეკლესიო და საერო წიგნების გამოცემა Историч. изоб. Груз. стр. 6 ; 86). როდესაც ამ სწავლულ და მოღვაწე საზოგადოებას უმთავრესი ძარღვი მოსწყდა, მეფე ვახტანგ მოკვდა, ბაქარმა და ვახუშტმა განაგრძეს დაწყებული შრომა. ბაქარმა გამართა ქართული სტამბა თავის სახლში, სოფ. ვსესვიატსკში, მოსკოვს ახლოს, 1740 (თუ ცოტა ადრე, ან ცოტა გვიან) დ დაიწყო წიგნების ბეჭდვა. ამ სტამბაში პირველად დაიბეჭდა გასწორებული სრული დაბადების წიგნი, რომლის გამოცემას მოუნდა დიდი შრომა, დრო და ხარჯი. ბეჭდვა გათავდა 1743 წელს. დაბადების წიგნის გარდა სხვა ბევრი საეკლესიო წიგნებიც დაიბეჭდა ამ სტამბაში (Ист. изобр. Гр. стр. 61—64 და 86. Бут. I, 506 пр. 4 Ш. 78). იმ სტამბაშივე საქართველოდგან განდევნილმა ქათალიკოსმა ანტონმა, დაბეჭდა მრავალი საეკლესიო დ საერო ქართული წიგნი (1756—1761 წლებში).

ამ დროიდამ ბაქარ დროთა-გარემოებისა გამო, ნებით,

თუ უნებლიეთ, გარეულ იქმნა მაშინდელ პოლიტიკურ საქმეებში. მას შემდეგ, რაც ოსმალოს ჯარი გარეკეს საქართველოდამ და ქართველთ მოთავეთ ნადირ-შაჰის გული მოიგეს, საქართველოს ბედი თან-და-თან შეიცვალა. ოსმალოსაგან ღალატით მოკლული კოსტანტინე კახეთის მეფის ტახტი მიიღო თეიმურაზ მეფემ (უმცროსმა მისმა ძმამ); თეიმურაზმა შეირთო ცოლად ვახტანგ მეფის ქალი თამარ და ამ კავშირით უნდოდა თავის ხელ-ქვეშ კახეთი და ქართლი შეეერთებინა. თეიმურაზს მალე მოესწრო ნიჭიერი შვილი ირაკლი II და მის შემწეობით მრავალჯერ სძლია ოსმალოსა და ლეკს. მათის ძლიერების ქვეშ ქართლ-კახეთის შეერთების დღე ახლო იყო; მაგრამ ეს შეერთება ყველასთვის არ იყო სასურველი. რუსეთში, ვახტანგის გვარეულობას ეს არ მოსწონდა. სწორედ იმ დროს, როდესაც თეიმურაზმა მაგრად მოჰკიდა ხელი ქართლ-კახეთის შეერთებას, ბაქარ გამოგზავნილ იქმნა რუსის მთავრობისაგან ყიზლიარში, «როგორც ქართლის ტახტის მემკვიდრე.» (Бутк. I. 224; 513). ყაბარდოს ხალხის დათანხმებით და შემწეობით (ბაქარის დედა რუსუდან ყაბარდოელის მთავრის ქალი იყო) ბაქარს უნდა შეეშალა ხელი თეიმურაზისათვის. (Бутк. I, 528; 11 მაისს 1743 წ.). მართლაც, გაიგეს თუ არა ეს ქართლში, ერისთავნი და ამილახვარნი წინააღმდეგნი გაუხდენ თეიმურაზს და თვით თამარმაც ამილახვრიანთ მანქანების მიჰყოლით, თუ სხვა რამ გავლენის ძალით,—წინააღმდეგობა გაუწია თავის ქმარს ქართლ-კახეთის შეერთებაზე; შეჰყარა ქართლში თავად-აზნაურობა, უმთავრესნი მათგანნი (ამილახვარნი) დაიყოლია და თავის-თავი ქართლის მმართველად გამოაცხადა, ვიდრე მისი ძმები რუსეთიდგან დაბრუნდებოდნენ. მისი ქმარიც და შვილიც (ერეკლე) ქართლის გამგე-

ობაში ყოველ-გვარ გავლენას მოკლებულნი უნდა ყოფილიყვნენ (Бутк. I. 228—230). ეს მოხდა 1744 თუ 1745 წელს, იმ დროს, როდესაც ბაქარ საქართველოს სიახლოვეს (ყაბარდოში) იმყოფებოდა (Бутк. I. 230; 528).

ქსრეთის წინააღმდეგობით განრისხებულმა თეიმურაზმა დევნა დაუწყო ამ უწესოების მოთავეთ—ამილახვრებს და ერისთვებს. შანშე (ქსნის) ერისთავი დაჭერილი ნადირ-შაჰს წარუდგინა, რომელმაც, ვგონებ, თვალები დაათხრევინა. ამილახვრები აჯანყდნენ, შეიარაღდნენ, თითქმის მთელი ქართლი დაიჭირეს და რუსეთში ბაქარს და მის გვაროვნებას შეუთვალეს მოსულიყვნენ საქართველოში (Бутк. I, 229). მაგრამ ბაქარ, თუმცა საქართველოს საზღვარზე იდგა, არ მოვიდა ქართლში, არ ვიცით რა მიზეზისა გამო. ალბად კარგს არას მოელოდა, რადგან თეიმურაზის მხარე ეჭირა თვით ნადირ-შაჰს. ამ უკანასკნელმა თეიმურაზს მართლა გამოუგზავნა ჯარი აჯანყებულთ დასამშვიდებლად (შაჰი მადლიერი იყო თეიმურაზისა და ირაკლისა ოსმალოს განდევნისათვის საქართველოდგან (Бутк. I, 228.). მაშინ ამილახვრიანთ მოიწვიეს ოსმალოს ჯარი საშველად და გარდასცეს მათ რუისის ციხე. ოსმალოს ჯარმა ფულები გაგზავნა დაღისტანში ლეკების დასაქირავებლად; მაგრამ ირაკლი დაეცა ამ ცხენოსანს ჯარს არაგვის პირზე, დაამარცხა, დასტყვევნა და ოსმალოს ხაზინა წაართვა (Бутк. I. 228, 230). თეიმურაზმა დაიჭირა გორის ციხე და მიადგა სურამის ციხეს, რომელიც ამილახვრებს ეჭირათ ოსმალოს გარდასაცემად; ერთი ნაწილი ციხისა ააფეთქა. მაშინ ამილახვარნი უნდა დამშვიდებულიყვნენ. ქართლის მეფედ მაინც აღიარებულ იქმნა თამარ, მეუღლე თეიმურაზისა (1744—1745 წ.). გივი ამილახვარი დაჭერილი შაჰის გაუგზავნა თეიმურაზმა სპარსეთში, სა-

დაც ის იმყოფებოდა მთელი წელიწადი, თამარის სიკვდილამ-დის. სიკვდილის წინ თამარმა ქართლის თავად-აზნაურობა და-აჯერა, რომ ქართლის ტახტი მის ქმრისთვის მიეცათ. ამ გვარად თეიმურაზ გახდა ქართლის მეფედ და ირაკლი შაჰისა-გან კახეთის მეფედ აღიარებულ იქმნა. საქართველოში ვახტან-გის ტომისა იყო მხოლოდ აბდულ-ბეგი, იესე მეფის შვილი, რომელსაც თეიმურაზმა უბოძა სომხეთის უფროსობა (Бутк. I, 230). ბაქარ საზღვრიდამ ისევ მოსკოვში დაბრუნდა და სა-ქართველოს ერთობის ბედზე შეყრილი შავი ღრუბელი, სასი-ხარულოდ, განიბნა, შინაური განხეთქილება და უწესოება მო-ისპო.

ამას შემდეგ ბაქარს დიდ ხანს არ უცოცხლია; ის მოკვდა, როგორც მოვიხსენიეთ, 1750 წელს; დასტოვა დიდ-ძალი ვა-ლი (35 ათასი მან.) ხაზინისა (Бутк. I. 432). და შვილები ალექსანდრე (რომელსაც ცოლად ჰყავდა რუსის ქალი მენში-კოვისა) და ლეონ. ლეონს ჰყავდა შვილი იაკობ და ალექსან-დრეს— ალექსანდრე. ვახუშტმა, ბაქარის ძმამ, კარგა ხანს იცოცხლა ძმის სიკვდილის შემდეგ. სიკვდილის დრო მი-სი არ ვიცით, მაგრამ შეგვიძლიან დაახლოვებით ვსთქვათ, რომ ის მოკვდა 1780—-1785 წლებ შუა, რადგან მის ქალს დარიას, ვახუშტის სიკვდილის გამო 1500 მანეთი პენსია და-ენიშნა 15 სეკდ. 1785 წლიდგან მთავრობის განკარგულე-ბით. ეს ფული არის ის ჯამაგირი, რომელიც თვით ვახუშ-ტის ეძლეოდა თავის სიცოცხლეში (Переп. Груз. Цар. съ Русс. Госуд. стр. 220—221). ვახუშტის დარჩა შვილები: ივა-ნე, ნიკოლოოზ, ანნა, მარიამ, ალექსანდრა (Бутк. I. 500).

ბაქარ ბატონიშვილის საქართველოს საზღვრებისაგან უკუ-ქცევით საქართველოს ერთობის ბედს ასცილდა საშინელი ჭი-

რი შინაურის განხეთქილებისა. მაგრამ სრული ერთობა ქართლ-კახეთისა მაინც არ იქმნა მიღწეული, რადგან მამა და შვილი ორნივ მეფობდნენ, ერთი ქართლში, მეორე კახეთში. ერეკლე თავის მამაზე უფრო შორს მჭვრეტელი იყო, სცდილობდა დაემყარებინა სრული ერთობა. ამის გამო მამასთან უთანხმოება მოუვიდა, რომელიც მით გათავდა, რომ თეიმურაზ იძულებული შეიქმნა რუსეთში წასულიყო, სადაც იმან იხილა თავის შვილზე რუსეთის მეფე ელისაბედთან. 1760 წ. (Бут. I. 241). პეტერბურღიდგან დაბრუნებული მეფე თეიმურაზ გარდაიცვალა გზაზე ასტრახანში 8 იანვარს 1762 წ. და დაიმარხა იქ, სადაც მარხია გვამი მისის სიმამრის ვახტანგ VI მეფისა (Бут. I. 241. III. 101). ამ დროიდგან ირაკლი გამეფდა ქართლში და ეს ორი მხარე—საქართველოს გული, იქნობამდის განშორებულნი, ისევ შეერთდა, განცალკევებულნი მოძმენი ისევ შეიყარნენ. აქედგან იწყება საქართველოს ბედის აღდგენა. საკვირველი გმირი, გამჭრიახი მმართველი, მოუსვენარი მშრომელი მეფე ერეკლე ამის შემდეგ ლომივით ებრძოდა მტერსა, აწესებდა, აწყობდა შინაურს საქმეებს, განაგებდა ბრძნულად, დაუღალავად ხალხის ბედს, ზრუნავდა მის შინაურ ბედნიერებისათვის. ცოტას ხნობით მან ოსმალო-სპარსეთიც შეაშინა და მუდამ მებრძოლმა აურიცხველ ოსმალო-სპარს-ლეკთ ლაშქრებთან და მუდამ ძლევა-მოსილმა ირაკლიმ განაკვირვა რუსეთი და თვით მთელის ევროპის ყურადღება მიიპყრო. ევროპა თვალ-ყურს ადევნებდა მას, როგორც საკვირველს გმირს. მაშინდელ ევროპიულს ჟურნალ-გაზეთობაში დიდ-ძალი მასალა არის შენახული ამ გმირის ისტორიისათვის (Бутк. I. 101—102). რუსეთის ხელმწიფე ეკატერინე დიდი თავის წერილში ვოლტერთან ქებით მოიხსენიებს ერეკლეს (Бутк. I. 281, пр.

I. III. 118). ძლიერი მეფე პრუსიისა ფრიდრიხ ბრძენი ხში-რად იტყოდა: «დედა-მიწაზე ორნიღა არიან მეფენი: ფრიდ-რიხ პრუსიისა და ერეკლე, მეფე ივერიისა.» მართლაც, ორ-ნივ მეფენი შესანიშნავნი არიან: ორნივ იყვნენ მებრძოლნი აურიცხველ მტერთან და მცირის ჯარით ორნივ მძლეველნი გამოდიოდენ. ორთავ აღადგინეს სამშობლო თავის შრომითა და სისხლით დაცემისაგან. განრჩევა ამ ორთ საკვირველთ გმირთ შორის მხოლოდ ის არის, რომ დიდს ფრიდრიხს ჰყავდა ჩინებულად გაწვრთნილი, მთელს ევროპაში საუკეთესო განთქმული ჯარი და აუარებელი საშუალება, ხაზინა ჰქონდა. ერეკლეს კი არა ჰქონდა-რა, გარდა მხნე, დაუღალავის, შეუ-შინებელის, გმირულის სულისა და გაუწვრთნელის, ცუდად შე-იარაღებულის, მაგრამ ვაჟ-კაცურის სულით შთაბერილის, მის-თვის თავ-განწირულის ქართველთ ჯარისა,—და ამ საკვირველ გმირს ჯერ კიდევ არ იცნობს ის ერი, რომლის აღდგენისა დ კე-თილ-დღეობისათვის, რომლის დიდებისა და თავისუფლებისა-თვის მან უზომო სიმწარე დალია და აურაცხელი ღვაწლი დას-დო, რომელსაც მან შესწირა მთელი თვისი ხანგრძლივი სი-ცოცხლე!

მაგრამ სწორედ იმ დროს, როდესაც საქართველოს ბე-დი ეღიმებოდა, მისი დიდების მზე თან-და-თან ბრწყინვალედ ამოდიოდა და ყველა კეთილ მამულის-შვილთა გული იმედე-ბით და სიმხნით ევსებოდათ, უნათლდებოდათ, როდესაც და-მარცხებულნი, სამშობლოს გარშემორტყმულნი ძლიერნი მტერ-ნი, შიშით დ გაკვირვებით ჰხედავდენ ერთის მუჭა ხალხის ძლი-ერებას და აღდგომილი ერი კეთილ-დღეობის გზაზე დგებოდა მკვიდრად,—სწორედ ამ დროს უკუღმა იწყო ბედმა ტრიალი: საქართველოს ნათელს ციაგზე თან-და-თან იკრიფებოდა შავი

დიდ-სავდარო, სამქუხარო ღრუბელი და ბნელის სევდის ზეწარი ეფარებოდა მომღიმარე სამშობლოს ბედსა. ახალს მტერს არა ჰყვავდა არც ჯარი, არც შეძლება ჰქონდა, არც სახელი და დიდი გავლენა, მაგრამ უშიშარი, შეუპოვარი გმირული გული ირაკლისა ჰკრთებოდა ამ მტრის წინ. საქართველოში განმეორდა ის მოვლენა, რომელიც მოხდა ამას წინად, ბაქარის საქართველოს სამზღვარზე ყოფნის დროს დაკარგულის ტახტის საძიებლად, მაგრამ ეს მოვლენა ეხლა მოხდა სხვა რიგად და სხვა გვარი ნაყოფი მოიტანა. ეს მტერი იყო ბაქარის უფროსი შვილი ალექსანდრე. ამ უბრალო მტრისა, არ ვიცით, რატომ, ერეკლეს უფრო ეშინოდა, ვიდრე შეერთებულ ოსმალო-სპარსთა ჯარისა.

ალექსანდრე დაიბადა რუსეთში და იქვე აღიზარდა. ის იყო დიდების და პატივის მოყვარე, უმეგობრდებოდა რუსეთში გავლენის მქონე პირებს და პეტრე III მეფობაში თითონაც მოიპოვა გავლენა თვით სასახლეში. დაუახლოვდა და დაუმეგობრდა კიდეც თითონ მეფე პეტრე III; მასთან დადიოდა, მასთან დროს ატარებდა და სიკვდილის დრომდე არ სტოვებდა მას (Бутк. II. 114). ცოლად შეირთო მენშჩიკოვის ქალი, იმ დროს დიდად გავლენიანის კაცისა (Бутк. I. 500); ხასიათით იყო მეტად ჩქარი და მოუსვენარი. სამსახურში ითვლებოდა იზმაილოვის პოლკის გვარდიაში და 1762 წელს ჰქონდა კაპიტნის ჩინი (Бутк. II. 114) და კარგი ჯამაგირი, გარდა მამისგან დარჩენილის დიდ-ძალის უძრავის ქონებისა (Бутк. I. 432; 67). რეშტის (1732 წ.) და განჯის (1735 წ.) ტრაქტატებით, რომელნიც რუსის მთავრობამ შეჰკრა სპარსეთთან, ვახტანგ და მისი შთამომავლობა ითვლებოდა ნამდვილ მემკვიდრედ ქართლის ტახტისა (Бутк. II. 114. I, 110; 130).

ერეკლე მეფის გაძლიერება რუსეთის სამზღვარზე არ იყო სასიამოვნო ვახტანგ მეფის გვაროვნებისათვის; ახალმა პოლიტიკურმა მოსაზრებამ ისევ გამოიყვანა საქართველოს ასპარეზზე ვახტანგ მეფის შთამომავლობა. ალექსანდრე მთავრობამ ყიზლიარში მოიყვანა, „როგორც მოუსვენარი და მთავრობისაგან შენიშნული კაცი", ჩინ-ახდილი გაუშვა სამზღვარზე 1766 წ. 2 მაისს. (Бутк. 114). ამ ამბავმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ქართლში და შიში დაჰბადა ირაკლის გულში. თავისუფლად გაშვებული ალექსანდრე ყველაზე წინ სპარსეთში წავიდა (ცოლ-შვილი კი რუსეთში დასტოვა), სპარსეთის შაჰი ქერიმ-ხანი მდიდარის საჩუქრებით მოისყიდა და ირაკლისთან ომში გამოიწვია; მოისყიდა აგრეთვე დაღესტნის უფროსი და გილიანის შაჰი გედაყთ-ხანი. ესენი ყველა ერთად უნდა შემოსულიყვნენ საქართველოში 1778 წ. და ირაკლი ტახტიდგან ჩამოეგდოთ. მაგრამ სპარსეთის შაჰი მოკვდა და ნათათბირევი დაირღვა (Бутк. I. 115). მაშინ ალექსანდრე ეწვია იმერეთის მეფეს სოლომონს I (1779 წ.), რომელსაც იმ დროს უკმაყოფილობა ჰქონდა ერეკლესთან და სცდილობდა აღეძრა სოლომონ მის წინააღმდეგ, რისათვის იგი დიდს საჩუქარსა ჰპირდებოდა.

ალექსანდრეს გაჩენამ იმერეთში, ეგრე ახლო მის წინაპართ საგამგეო სახელმწიფოსთან, რომლის ტახტი რიგით მას ეკუთვნოდა, დიდი ზედ-მოქმედება იქონია ქართლში. ახალგაზდა ტახტის მემკვიდრის მანქანების გავლენით აღელდა თავად-აზნაურობა ქართლისა, რომელსაც აღთქმული ჰქონდა მრავალი წყალობა. თავადობა, განსაკუთრებით უმთავრესნი გვარნი (ამილახვარნი და ერისთავნი), უკმაყოფილო იყვნენ ერეკლესი, რადგან ერეკლეს ხელში მოაკლდათ თითქმის ხელმწი-

ფური გავლენა, რომელიც წინად ჰქონდათ და მიემხრნენ ალექსანდრეს, სცდილობდენ მის გამეფებას ქართლში. თვით ქათალიკოზი ანტონ I, შვილი ვახტანგ VI მმის, იესესი, მამასადამე ქართლის ტახტის მემკვიდრეთ შთამომავლობისა, ბუტკოვის აზრით, რომელიც დასაჯერებელია, ალექსანდრეს მხარეზე გადავიდა. (ამას წინად 1771—1772 წ. ანტონ რუსეთში იყო გაგზავნილი დეპუტატთა შორის ერეკლესაგან და ვახტანგ მეფის გვარეულობის საქმეს ხელს უწყობდა Бутк. II. 115). ალექსანდრემ დაიწყო კიდეც ლაშქრობა და რამდენჯერმე დაეცა ქართლს (Бутк. იქვე). მან დაიქირავა ლეკები და მათის შემწეობით სცდილობდა არეულობა აეტეხა საქართველოში. ერეკლემ ფიცხელი ზომა მიიღო აჯანყებულთა წინააღმდეგ. როგორც იწერებოდენ მაშინ, ანტონ კათალიკოსი ვითომ ციხიდგან ჩამოაგდებინა (Бутк. II. 115. пр, 2). თუმცა ეს საეჭვო არის, მაგრამ დასაჯერებელია, რომ ქათალიკოსი დასჯილ იქმნა. (საჭიროდ ვრაცხთ აქ შევნიშნოთ, რომ თვით თეიმურაზი, ერეკლეს მამა, ეჭვის თვალით უყურებდა ქათალიკოსს, რომელსაც აბრალებდა მისს მოგვარე ვახტანგ მეფის შთამომავლობის სასარგებლოდ მოქმედებას ქართლის ტახტზე დაბრუნებისათვის და ეს იყო არა უმრწემესი მიზეზი მისის საქათალიკოზო ტახტიდგან ჩამოგდებისა და სამშობლოდგან განდევნისა 1755 წელს.) ირაკლიმ ამილახვრიანთ და ერისთვიანთ გვარს დევნა დაუწყო, განსაკუთრებით პირველს გვაროვნებას. ერთი ამ უკანასკნელთაგანი ალექსანდრე ამილახვარი დევნილი განივლტო რუსეთში 1771 წ. და ბატონიშვილს ალექსანდრესთან იყო ამ დროიდგან (Hist.mod. de la Georgie, trad. par. Brosset, ნაწ. II გვ. 248, შენ. 1.). გაზაფხულს 1781 წ. ალექსანდრე ახალციხეში წავი-

და და ოსმალოს სთხოვდა შემწეობას. აქ სიხარულით მიღებულ იქმნა, არბევდა ახალციხიდამ ქართლის სამზღვრებს და ბევრი შფოთი დაჰბადა.

რა ვერა გააწყო-რა ოსმალოს და მოსამზღვრე სპარსეთის ხანების ასაჯანყებლად, ალექსანდრე ისევ იმერეთში გარდავიდა 1781 წლის დამლევს, მაგრამ აქაც სოლომონ მეფემ მოუსპო ყოველი იმედი და განდევნა იმერეთიდგან. მაშინ 1782 წლის დამდეგს რაჭიდგან გადავიდა ყაბარდოში; გზაზე ოსებს და ყაბარდოელებს იწვევდა წინააღმდეგ ირაკლისა. აქედგან რუსეთის სამზღვრით მივიდა თარგის მთავარ ყაზბულატთან, რომელსაც საჩუქარი უბოძა და აღუთქვა დიდი წყალობა, თუ დაეხმარებოდა ერეკლეს ტახტიდგან ჩამოსაგდებლად. იმის ჯარს აღუთქვა ათ-ათი თუმანი შემწეობისათვის. ყაზბულატი დაყაბულდა და დარუბანდის ხანთან ფეტ-ალისთან წარგზავნა, რომ ისიც მოშველებოდა ალექსანდრეს. ზემოხსენებულ ამილახვართან ერთად, ალექსანდრე დარუბანდში მივიდა 27 აგვ. 1782 წ.. ფეტ-ალი ხანი დათანხმდა და მოიწვია მომეზობლე ხანები თავის ჯარით ერეკლეს წინააღმდეგ (Бут. II. 116--117).

მეფე ერეკლე ჰხედავდა, რომ ბაქარის შვილს ალექსანდრეს ზურგს უკან სხვა გვარი დიდი ძალა იყო და ეს ძალა აბედვინებდა მას ეგრეთის კადნიერებით მასთან შებმას, და ეს ფიქრი 1782 წლიდგან თან-და-თან იპყრობდა მის გონებას. ამ გარემოებამ დაარწმუნა მეფე,

«რომ დღეს იქნება, თუ ხვალ იქნება,
ქართლსა დაიცავს რუსთ ხელმწიფება.»

მეფე შიშით ჰხედავდა, რომ მომავალში უნდა დარღვეულიყო, ალექსანდრეს მანქანებით, ქართლ-კახეთის ერთობა,

რომელსაც მან შესწირა მთელი თვისი წარსული ცხოვრება და რწმუნდებოდა, რომ ქართლი მის მემკვიდრეთ გამოეცლებოდა, საქართველო ისევ ნაწილ-ნაწილად გაიწეწებოდა და მისი პოლიტიკური ძლიერება, კეთილ-დღეობა, თავისუფლება მირს დაეცემოდა. ამ დროიდგან რუსეთისაკენ მიიქცა მისი გონება და მასთან კავშირის დაჭერას დიდ ხანს და ღრმად უფიქრდებოდა. ის ჰხვდავდა, რომ მხოლოდ ამით მოიშორებდა ალექსანდრეს მეტოქეობას, რომელიც მოსვენებას არ აძლევდა.

ამიტომ, როდესაც ირაკლიმ შეიტყო ალექსანდრეს მოქმედება დერბენდში და დაღესტანში, განუცხადა რუსეთის მთავრობას, რა დიდი ვნება უნდა მოეტანა ალექსანდრეს მოქმედებას მისთვის და საქართველოსათვის (Бутк. II. 117); და რომ მისს გვარეულობას სამუდამოდ არ დაჰკარგოდა ქართლის ტახტი და ქართლ-კახეთის ერთობის დარღვევა არ ენახა, გარდასწყვიტა რუსეთის მფარველობის ქვეშ შესვლა. დარწმუნებული იყო, რომ ამ მსხვერპლით დაშლიდა იმ მანქანებს, რომელმაც გამოიყვანა საქართველოს ასპარეზზე ალექსანდრე და აიცილებდა ახალს უწესოებას. მეფემ აცნობა კიდეც თავის აზრი რუსთ-მფარველობის ქვეშ შესვლაზე პოტემკინს (Бутк. II. 117), რომელიც დაყენებული იყო სამხრეთის სამზღვართა გამგედ და მოსამზღვრე ხალხთა პოლიტიკურ ცხოვრების მიმდინარეობის ყურის მგდებლად. ამ განცხადებით კმაყოფილმა პოტემკინმა, კაცი (რეინეღსუ) შეუჩინა ერეკლეს, რომ მას ფორმალურად გამოეცხადებინა თავისი ნება რუსეთის მფარველობის ქვეშ შესვლაზედ (1782 წ., შემოდგომას. Бутк. II. 118). მეფემ აღასრულა პოტემკინის წინადადება და გაგზავნა რუსეთის დედოფალთან ფორმალური განცხადება, სადაც უმთავრეს პირობად რუსეთის მფარველობის მიღებისა დასდო:

1) რომ ის თავის შთამომავლობით ცნობილიყო რუსის მთავრობისაგან მეფედ ქართლ-კახეთისა და «ალექსანდრე ბაქარის შვილს ან იმ გვარ სხვა პირთა მასთან ცილობა არ შესძლებოდათ და არ მიეღოთ მის შთამომავლობისაგან ქართლ-კახეთის ტახტი; 2) ოთხი ათასის ჯარის-კაცის გამოგზავნა საქართველოში რუსეთის ხარჯით; 3) ქათალიკოსის კათედრის შეუცვლელობა; 4) საჭირო ფულის სესხება რუსეთის ხაზინიდგან.

ირაკლი თავს იდებდა: 1) დაებრუნებინა რუსეთისთვის დროგამოშვებით ის ხარჯი — რომელიც რუსის ჯარს დასჭირდებოდა ძველ საქართველოს მაზრების დასაბრუნებლად და მთელის საქართველოს გასაერთებლად — იმ დაბრუნებულ ადგილების შემოსავლიდგან; 2) ერთი თავისი შვილი და რამდენიმე თავად-აზნაურობა გაეგზავნა ამანათად რუსეთის სასახლეში; 3) ეძლია ნახევარი საქართველოში აღმოჩენილის მადნეულობისა და კომლის თავზე 70 კაპეიკი. 4) ეგზავნა რუსეთში ყოველ-წლობით 2,000 ვედრო ღვინო და 14 საუკეთესო ცხენი (Бутк. II. 119—120). რუსის ხელმწიფის სასახლეში უნდა ყოფილიყო მიღებული საქართველოს ელჩი იმავე ღირსებით და პატივით, როგორც სხვა სახელმწიფოთა ელჩები იყვნენ მიღებულნი და ერგეთვე ელჩი რუსეთის მხრით ქართველ მეფის სასახლეში უნდა განწესებულიყო (Бутк. II. 124). ეს პირობა (ტრაქტატი), რამოდენადმე შევსებული (13 მუხლად) მიღებულ იქმნა და დამტკიცებულ 20 აგვისტოს 1783 წ. ამ დღეს უმთავრესს გავლენიან თავადთა დაერიგა რუსთ-მთავრობისაგან 30,500 მან., ერეკლეს მეუღლეს დარიას — ორდენი ეკატერინესი ბრილიანტებით და ბეჭედი 5,500 მ. ღირებული; მეფის შვილებსაც — სხვა-და-სხვა ორდენები;

გარსევან ჭავჭავაძე მიღებულ იქმნა მინისტრად რუსის დედოფლის სასახლეში.

როგორც რომ ჩამოვარდა მიწერ-მოწერა მფარველობაზე, პოტემკინმა მოახდინა მკაცრი განკარგულება, რომ ალექსანდრე ბაქარის შვილი შეეპყრობინა. მან მისწერა დარუბანდს და დერბენტის ხანებს, რომელნიც ერთად ალექსანდრესთან დაემზადენ საქართველოს დასარბევად, რომ არ გაებედნათ ომის ატეხა. სხვათა შორის სწერდა, რომ «ალექსანდრე ბაქარის ძეს ნება-რთვა არა აქვს რუსის დედოფლისაგან ერეკლესთან ომიანობის ატეხისაო» (Бутк. II. 117). წერილმა იმოქმედა და მოხსენებულმა ხანებმა დაშალეს ჯარი (Бутк. იქვე). მაგრამ ალექსანდრე დარჩა მათთან, სანამ ტრაქტატი არ იქმნა მიღებული დ ხელ-მოწერილი (1783 წ. 20 აგვისტო). ეს უკანასკნელი საქმე გათავდა თუ არა, პოტემკინმა მოსთხოვა მოხსენებულ ხანებს ალექსანდრესი და ამილახვარის გაცემა (Бут. II. 133). გაუგზავნა მათ 500 მანეთი. ხანებმა აღასრულეს პოტემკინის ნება და მოხსენებული პირები გაუგზავნეს (1783 წ. ოკტომ.). ნოემბერში ამავ წლისა ისინი წაყვანილ იყვნენ რუსეთში. ორთავ დაენიშნათ სარჩო, ჯამაგირი, პირველს სმოლენსკში და მეორეს ვიბორღში (Бутк. II. 133). ალექსანდრე მოკვდა სმოლენსკში (Бутк. II. 134). დარჩა შვილები ეგორ და ალექსანდრე, რომელთა გვარეულობას მითვისებული აქვს წოდება საქართველოს თავადებისა (Князья *Грузинскіе*).

როდესაც ვახტანგიც, მისი შვილი ბაქარიც და გურამიშვილის ყველა პირველი ამხანაგებიც საფლავში ჩავიდნენ, პოეტი, რასაკვირველია, უფრო იგრძნობდა თავის-თავს უცხოქვეყანაში ობლად და ეს გრძნობა მუდამ სდევნიდა და სტანჯვიდა. ობლად გრძნობდა პოეტი თავსა თავის ოჯახშიაც.

სიბერის დროს მოხუცისათვის დიდი ნუგეშია და გულ-გასართობი, როდესაც თოვლსავით გათეთრებულ მისს თავს გარშემო ევლებიან შვილნი, შვილის-შვილნი, მემკვიდრენი, ნათესავნი, რომელნიც შეადგენენ უმშვენიერესს სამკაულს უმთავრესს სიმდიდრეს, საუკეთესო ნუგეშს. მის გულს ანუგეშებს ის საამო, განმაცხოველებელი აზრი, რომ არ რჩება უპატრონოდ, რომ მან დასტოვა ქვეყანაზედ თვის მაგიერი, ცხოველი შტო დაიდგა სიცოცხლეშივე, რომ სიკვდილის შემდეგაც ჰყავს მას მომხსენებელნი, მზრუნველნი, რომელთაც მწუხარე ცხელი ცრემლი ცივურს ცვარად გარდმოვარდება მისს გაცივებულ გულზე, დაეცემა მის მყუდრო საფლავზე: სიკვდილი მას უჩანს განსვენებად, შვებად.

სიბერის ჟამს ჩვენი პოეტი არ ჰხედავდა თვისს ჭაღარაზედ ამ სამკაულს. მას არ უსხდნენ გარემო გულ-მტკივნეულნი მემკვიდრენი, ნათესავნი, მას არ ეალერსებოდნენ, არ ახარებდნენ არც შვილის-შვილნი, არც შვილნი, ის არ ხედავდა არსაით წრფელს, მოუსყიდავ გრძნობას მისდამი. პოეტი ელოდა სიკვდილს უცხო ხალხში, უცხო, უთვისო კაცთა ჴელში, ობლად უნდა მიჰგებებოდა სიკვდილს, მოკლებული გრძნობიერს, ცხოველს ცრემლსა. ეს ორ-კეცი ობლობა პოეტისა აორკეცებდა მის სევდასაც.

«ვამე თუ ჩემის სიკვდილით გული არავის სტკიოდეს,
გულ-უმხურვალოდ ტიროდეს, განგებ ხმა მაღლა ჰკიოდეს,
უბრალოდ იწირპლებოდეს, ცრემლი არ ხარბად ზდიოდეს,
და რა მნახოს თვალებ-წუხილი, ჩემზედ ავს რასმე ჩიოდეს.»

აი კიდევ მეორე ლექსი:

«სჩანს შენი მხსნელი აღარ სადაო,
აღარც ქვეყანად, აღარც ცადაო,

აღარც მამა გყავს, აღარც დედაო,
აღარცა ძმა და აღარცა დაო...
«ვაიმე, მამავ, ვაიმე დედავ,
ძმაო და დაო, ვერც ერთსა გხედავ!»

პოეტი დარჩა უშვილო, უნაყოფო. უშვილობა ქართველთ მიაჩნდათ და ეხლაც მიაჩნიათ დიდ უბედურებად, ღვთის რისხვად. შვილი არის არა თუ გვარეულობის გამაგრძელებელი, დედ-მამის მომვლელი სიბერის ჟამს, ოჯახის ბოძი მათ შემდეგ,—მორწმუნე კაცის აზრით შვილი არის მზრუნველი სიკვდილის შემდეგ მათის სულისთვის, მათი მომხსენებელი, მღვდლის პასუხის გამცემი, ღვთის წინ მლოცველი; ერთის სიტყვით შვილი არის პატრონი, ჭირისუფალი, მომვლელი მშობელთა მაშინ როდესაც იგინი გულ-ხელ-დაკრეფილნი საფლავში ჩავლენ და აღარ ძალ-უძსთ თავისთავზე იზრუნონ. ღრმად მორწმუნე, ღვთის მოყვარე პოეტი ამ აზრისა იყო და ამის გამო უშვილობა თვისი მას მიაჩნდა მძიმე უბედურებად, რომელიც ამრავლებდა, აძლიერებდა მის გულში სევდას, მწუხარებას. ეს მწუხარება ვერსად დაუმალავს პოეტს. ყოველგან, სადაც ბედს შესჩივის, ის აყვედრის ამ სასჯელს. მაგრამ სიბერის ჟამს ეს სევდა ორკეცად განუცხოველდა პოეტს. გავიგონოთ თვით პოეტისაგან ჩივილი ამ უბედურობაზედ.

«ვამე ცოდვილსა, მე უმადლოსა,
დავრდომილობით უხუც-უმღვდლოსა!
მე ვინ მილოცავს, ან ვინ მიწირავს,
ან ვინ დამმარხავს, ვინ დამიტირავს?!
«უმკვიდრო ვიქმენ, არ დამრჩა შვილი,
რომ მას აღენთო სანთელი ცვილი,

ექნა აღაში, დაედგა ტაბლა:
ასე მაღალმან მე დამამდაბლა!»

აი კიდევ საჩივარი იმავ საგანზე:

«მშვიდს მომიწივა მუხთალმა, ისარი გულში მამასო,
არ მომცა მე, არც ასული, არ ვინ მიმახის მამასო...
. . . .
და დავჯექ და ლექსვა დავიწყე, ვსთქვი, თუ ვიშვილებ ამასო...
«ამაზედ არის ჩემი და ცრუის საწუთროს ჩხუბია...
მე მსურდა ერთი,—არ მომცა; ვის არ სურს—მისცა ტყუბია!
«სამ-ოთხ რიგად მუხანათმან გულს ლახვარი მომაღერა,
სულ მატირა ჩემი დღენი, არაოდეს არ მამღერა.
ვით ბოლოკი მქნა ავრეზი, ამაჩოყა, ამაღერა
და თესლ აშრეტით გამახმო და უნაყოფოდ დამაბერა.
«შემქნა უშრტო, უნაყოფო, ვით ხმელის ხისა გალია;
გულს დამასვა სამჭედურად ლახვრად სევდის საგალია!..»

გრძნობა სულიერის ობლობისა, რომელიც, როგორც ვსთქვით, პოეტს სტანჯვიდა, იმდენად უფრო უძლიერდებოდა, რამდენად პოეტი უფრო ღრმა სიბერეში შედიოდა და ჰხედავდა, რომ სიკვდილი თან-და-თან უახლოვდება და მისი გალესილი ცელი ელვარებით ტრიალებდა მის თავზედ. პოეტს უკუმხედველს თვალ-წინ წარმოუდგებოდა გრძელი რიგი ფუჭად გავლილ წელთა, უნაყოფოდ გატარებული ცხოვრება, ცუდად დალეული წუთები საუკეთესო ყმაწვილობისა, ვაჟ-კაცობის ჟამისა და წინაც არა უჩნდა-რა სანუგეშო; მომავალი არც კი იყო მისთვის: ის იდგა ცხოვრების კიდე-უფსკრულზე, ხორციელი მისი ტაძარი თან-და-თან ირღვეოდა, გრძნობანი დღითი-დღე თითო-თითოდ ღალატობდენ. ყველაზე წინ თვალებმა უსუსტა. 1774 წელსავე როდესაც პოეტი 69 წლი-

სა იყო, მის თვალებს დაეტყო სისუსტე, რაიცა სჩანს «სიკვდილის და კაცის საუბრიდამ.» სიკვდილი უწოდებს პოეტს გონჯ-დაბრეცილ ბერიკაცად, რომელსაც ნემსზედ ძაფის აგებაც ემნელება:

«კაცო, რად შენს თავს ვერ ჰხედავ, თვით გონჯო დაბრეცილო და,
რომ დასჯექ ჩემად საკიცხად, წიგნსა სწერ სასაცილოდა...
კაცო, თვალთ გიჩანს, არ გიჭირს, ნემსზედა ძაფის აგება?
ჩემის იგავის საცნობლად რად შენ თვალები აგება?

კიდევ ლექსი:

«ვაი მოკლებულს სიბერით ბრმასა!
ნეტარ მატებულს, მოზარდსა ყრმასა!»

მტკიცე, მაგარი ტანთ-აგებულება პოეტისა თან-და-თან სუსტდებოდა; სიბერე, როგორც მღილი, დღითი-დღე, ნელნელა თხრიდა, არღვევდა მისს მხნე სხეულს; მის პირის სახეზედ დრო-ჟამმა წაშალა სიმხიარულე, ჭაბუკობის მშვენება, თავს ხშირი თმა ჩამოაცალა და მელოტად გახადა; ტანს ძალა წაართო, სულს სიხარული მოუკვეთა და მისი გული სევდით აღავსო. პოეტი მწუხარის თვალით ჰხედავდა, რომ თან-და-თან იშლება მისი არსება ხორციელი და სულიერი.

«აღარ მსურს ქნარი, საკრავად სტვირი,
არც ზედ დამღერა, აწ ამას ვსტირი:
ცრუმან საწუთრომ მარიდა პირი...
ვით გალსა ხესა განმიხმო ძირი...
გული მიშავა, ვითა ნახშირი,
გამაყრევინა თავზე თმა ხშირი,
პირი დამიჭკნო ვითარცა ჩირი,
დამაშვებინა დაღმა ჩიჩვირი,

შემუსრა მძნელი ალაო ჭირი,
გულზედ მასია მჭვლად დანაჭირი;
მომიახლოვდა მწარე სიკვდილი,
ცელ-გალესილი, ხრმალ-ამოწვდილი.»

სულიერის ობლობის გრძნობას გარდა პოეტის ტანჯვას ემატებოდა მეორე, სხვა გვარი, უფრო ძლიერი, უფრო მძიმე, სასტიკი სულიერი ტანჯვა—მამულის სევდა. ეს სევდა სდევნიდა მას სიჭაბუკითვე; მაგრამ მაშინ პოეტს, უნებურად გარდაგდებულს უცხო ქვეყანაში, დიდი იმედი ჰქონდა მამულში დაბრუნებისა დ ეს იმედი, სევდასთან გარეული, ფერს უცვლიდა მის მწუხარებას, უმსუბუქებდა ტანჯვას. სევდას უმსუბუქებდა აგრეთვე ის ქართველი საზოგადოება, რომელშიაც მუდამ ტრიალებდა და რომელიც ავიწყებინებდა, რომ იგი უცხო-ქვეყანაში იყო. მაგრამ ეხლა, როდესაც პოეტს სიბერის ჟამი ეწვია, როდესაც თან-და-თან შემოეცალნენ ტოლ-ამხანაგნი, ქართველი საზოგადოება ნელ-ნელ განჰქრა, მიილია მის თვალწინ და პოეტი დარჩა ობლად უცხო ქვეყანაში, სხვა ხალხში, —ეხლა მძიმედ და ძლიერად დაასწვა მის სულს მამულის სევდა და განმაცხოველების იმედის ცეცხლი წაერთვა მის არსებას. ამ სევდით მორწყულულია თითქმის ყველა ნაწარმოები პოეტის კალმისა. ჩუმი, გულ-ჩახვეული მწუხარება, მამულის სევდის ბეჭედი ასვია ყოველს მის ქმნილებას, მაგრამ უკანასკნელ დროის მის ლექსებში ეს სევდა უფრო ძლიერად მეტყველებს, წყაროსავით სცემს მის სულის უფსკრულიდგან. — მთელს რიგს იმ ლექსებისას, სადაც ის ბედს უჩივის, საწუთროს სწყევლის, სიკვდილთან ცილობს, ებჭვის, ქვეყანას და ქვეყნიერებას ბოროტებად ჰხატავს, — უმთავრეს საძირკვლადა აქვთ პოეტის უკმაყოფილობა მით, რომ ბედმან, საწუთრომ, დრო-

ჟამმან უსამართლოდ მოსწყვიტა იგი სამშობლო ქვეყანას, უნაყოფოდ დააჭკნო უცხო ქვეყანაში, გარეშე მისის ხალხისა, ნათესაობისა, ოჯახობისა, უგულმა ატარა მთელს სიცოცხლეში მის ნების წინააღმდეგ, დააბერა და გასხმო გარე ქვეყანაში და აქვე უთხრის სავლავსა. როგორც მღიერის გრძნობის ნაყოფი, ეს ლექსები ეკუთვნიან უჩინებულესს პოეტის ნაწერებს, და შეგვიძლიან თამამად, დამტკიცებით წარმოვსთქვათ, რომ საწუთროს დახატვაში, ბედის უკუღმართობის, მუხანათობის, დაუდგრომელობის, ორ-პირობის გამოსატვაში პოეტს დარი არა ჰყავს ჩვენს მწერლობაში. ღვთის ღმობიერება, ღრმა მორწმუნეობა პოეტისა, რომელიც ყოველს უბედურობაში ამხნევებდა და ბევრს მისდა წვეულ უბედურებას უმსუბუქებდა,—თვით ეს ღრმა სარწმუნოებაც მამულის სევდის წინ ხანდისხან მკრთალდება და თუმცა გვლავ არსად გაუბედნია ღმერთზედ მვირის თქმა, მამულის სევდით აღძრული პოეტი, სიბერის დროს, თვით ღმერთს უბედავს საყვედურსა და მის გამგეობის უსამართლობას მწარედ შესჩივის.

«მამაო, თავსა მფარავი დაგედგა კარგი კარავი,
განიერი და მაღალი, ხელთაგან მიუკარავი.
შინ ვიყავ, სადღაც გამაგდე, პაღური ამომკარ ავი,
მით ცრემლი ჩემი ზღვად გახდა თვალთაგან ნაწანწკარავი!..
«ვუ, შენ ცრუო-საწუთროვო, რად არ მმულდი, რად მიუკარდი!
შენ ყოფილხარ მწარე შხნაკვი, მე მეგონე ტკბილი ყანდი.
აქ საკვდავად რად მოგყვანდი, თუ მუნ ცოცხალს წამიყვანდი
რატომ ეგრე უწყალო ხარ, სასიკვდილოდ არ შაგწყალდი!?..»

კიდევ ლექსი:

«ამად ვემდური საწუთროს, თორემ სხვა რა მაქვს სადაო?
სად მომიყვანა სად მყოფი, კიდევ მივყევარ სადაო!...»

მაღალი, განიერი კარავი», რომელსაც იხსენიებს პოეტი პირველს ამოწერილს ტაეპში, რასაკვირველია, ნიშნავს სამშობლოს. მაგრამ დასაფიქრებელია მეორე ტაეპის ფრაზა პოეტისა: «აქ საკლავად რად მოგყვანდი, თუ მუნ (ე. ი. სამშობლოში) ცოცხალს წამიყვანდი.» ნუ თუ პოეტი სამშობლოში ყოფილა რუსეთიდგან დაბრუნებული? ვინ მისცემდა ნებას რუსეთის მცხოვრებად ჩაწერილ პოეტს გარდმოსულიყო სამზღვარზე? ძალიან საეჭვო არის, რომ პოეტი დაბრუნებულიყო სამშობლოში რუსეთის მცხოვრებად ჩაწერის შემდეგ. თუ პოეტი სამშობლოში იყო, ეს უნდა გახტანგ მეფის სიცოცხლეში მომხდარ-იყო, როდესაც ის საქართველოს მცხოვრებად ითვლებოდა. შეიძლება, რომ რადგან ვახტანგს მისვლა-მოსვლა ჰქონდა გამართული ქართლის მოთავე პირებთან, ის იქმნა გამოგზავნილი ან გამოყოლილი რომელსამე დეპუტაციასთან ქართლში და ამ დეპუტაციასთან დაბრუნდა ისევ ვახტანგის სასახლეში რუსეთში. უფრო შესაძლო იყო ეს, მაგალითებრ, 1736 წ., როდესაც ვახტანგი დარუბანდში მოვიდა და განზრახვა ჰქონდა ქართლში შემოსვლისა რუსეთის ჯარის შემწეობით. მართალია, 1742 წელს ბაქარიც საქართველოს სამზღვარზე იდგა და მისვლა-მოსვლა ჰქონდა გამართული საქართველოში, მაგრამ მაშინ პოეტი ომში იყო (შვედის ომში).

თვისი მძიმე მამულის სევდა პოეტს უნდოდა გამოეხატა თვით იმ ქვაზედ, რომელიც უნდა დაედვათ მის საფლავზედ. ამ ქვაზედ წარსაწერად პოეტმა შემდეგი ლექსი მოამ-

«წმინდა იონე გახეთს ზედაზენს
სასწაულობით ქვითკირს ცრემლს ადენს;
ქართლს წმინდა შიო მღვიმეს მკლებს აკლენს,—
ორნივ შვრებიან სასწაულს ამდენს.
«ამ ორს მონასტერს მაქვნდა ალაგი,
სასაფლაო და მკალთ შასალაგი,
ორივ ქვითკირით აღშენებული,
სახლ-გალავნებით დამშვენებული.
«ახლა მობძანდი, მნახველო, მნახე,
მისად სანუფქოდ სად დავიმარხე...»

შეერთებული სულის ტანჯვა პოეტისა გამოითქვა ერთს საზოგადო პოეტის დრტვინვაში ბედზე, საწუთროს უკუღმართობაზე და ეს დრტვინვა დაეტყო მთელს პოეტის ნაწარმოებს, განსაკუთრებითი ხასიათი, მიმართულება მისცა მთელს მისს წიგნსა, რომელსაც თითქო ერთი საგანი აქვს—ბედის წყევლა, მისის მუხანათობის, ფლიდობის გამოხატვა.

სიკვდილის კარზედ მდგომსა, ბედისაგან დევნილს, უშვილტომოდ დაბერებულს, სამკვიდრო ქვეყნით უცხო ქვეყნად გაძევებულს და იქვე სასიკვდილოდ განმზადებულს ტანჯულ პოეტს ერთი ნუგეშიღა რჩებოდა თვის შემდეგ,—თვით «დავითიანი». ეს წიგნი პოეტმა, როგორც თვითონ მოგვითხრობს, იმიტომ დასწერა, რომ ღმერთმან უშვილოდ დააგდო და სიკვდილის შემდეგ მომხსენებელი მისის სულისა მემკვიდრე არ მისცა. ეს წიგნი იშვილა მან, და შვილის მოვალეობა მისდამი „დავითიანს“ მიანდო. ამ წიგნით მკითხველთ უნდა მოეხსენებინათ მისი სული, შენდობა წარმოეთქვათ და ღვთისადმი ელოცათ მისის ცოდვის შემსუბუქებისათვის. ამ განზრახვით პოეტმა სიბერის დროს შეჰყარა ლექსები, რაც სხვა-და-

სხვა დროს ეთქვა და ერთ წიგნად განაწიგნა; დასწერა აგრეთვე რამდენიმე ახალი ლექსი, სადაც მკითხველთა სთხოვს მისის სულის მოხსენებას.

«მე საწუთრომ ბერწოვნება მომასხვედრა თავში კობლად:
მე არ მომცა, არც ასული, შემქნა სახლ-კარ დასამხობლად.
ამ ლექსთ თავი მოვუყარე, სადაც მეთქვა თვითო ობლად,
აგების რომ ბრძანოს ვინმე სიტყვა ჩემთვის შესანდობლად...
«ამად ვიხოტბე, შევკრიბე ცრუის საწუთროს ყბედობა,
მე მე არ დამრჩა ბედ კრულსა, ეს არის ჩემი ბედობა.
ყრმაო, შენ მმობას გენუკვი, ასულო მიყავ შენ დობა,
ვინც წაიკითხოთ ეს წიგნი, მიბრძანეთ ცოდვილს შენდობა...»
კიდევ ლექსი, უფრო ადრე (1759—64 წ.) დაწერილი:
«მითხარ, მტერო, დავის თხოვნით დავითისგან მოიგე რა,
რად უშვედრე უშობელსა, ბერწობ, ვერა მოიგე რა?
იმას შვილად ვერ ვინა სჯობს, დავით ვინც მედ მოიგერა,
და ვინც გამოთქვა, ის იშვილა, მტერი იმით მოიგერა.
«მე რაც ვშობე, შვილად ვსჯერვარ, ეს თუ მზრდელმან გამიზარდა,
ვზრდი მომღერლად, მე თუ ჩემი სიმღერა არ გამიზარდა...»

პოეტი სწუხს მხოლოდ იმაზე, რომ ბევრი დარჩა უთქმელი, რომ ვერ დასტოვა კარგი გრძელი ლექსები, მოთხრობანი, რომელთ დაწერის წადილი გულში ედვა; მაგრამ მოუსვენარმა, შფოთით სავსე ცხოვრებამ, არევ-დარევამ მის ბედისამ, საწუთროს უკუღმართმა ტრიალმა დრო არ მისცა პოეტს აესრულებინა თვისი წადილი, სიბერე ეწვია და წერის ღონე წაერთო.

«რაც დამრჩა, ვერ ვსთქვი, მეწადა, მეთქვა გრძლად, თავი მეცადა.

გერა ვსთქვი, მოცლას ეცდიდი, ნეტამცა არა მეცადა!
მესწრაფა სევდის ლახვარი, საკვდავად გულსა მეცა და
აწ ამას ვღონობ, არ ვიცი, ქვეყნად წავალ, თუ მე ცადა?...»

თუმცაღა მწერლობითი ასპარეზი პოეტმა დასტოვა 1774 წ. მაგრამ ამ დროის შემდეგ კიდევ დიდ ხანს იცოცხლა. 1787 წელს მას გვხედავთ ჩვენც ცოცხალს და საქმეში გართულს. ამ წელს სრულიად მზადა ჰქონდა პროექტი და მოხაზულობა წისქვილის დასაბრუნებელი და სარწყავის მაშინებისა, რომელთ მოგონებაზედ ბევრი ეფიქრნა *); ამას გვა-

---

*) რადგან ბ. პეტრე უმიკაშვილის რედაქტორობით ბ. ზალიკანიანის გამოცემულს «დავითიანში» გამოტოვებულია პოეტისაგან დაწერილი ახსნა ამ მოხაზულებისა, ამის გამო საჭიროდ ვრაცხთ აქ ამოვწეროთ უმეტ-ნაკლოდ ეს განმარტება, რომელშიაც მისის ბიოგრაფიის მასალა არის და ბევრის მხრით გამოსადეგია.

მოხაზულობა ორია, ერთი წყლის ამოსაღების მაშინისა (№ 1) და მეორე (№ 2) წისქვილისა. პირველ მოხაზულობაზე, დახატულია შუაში კოლოფი, რომლის თავზე სანთელი ანთია. კოლოფის უკან დახატულია ფერადებით გულ-ხელ-დაკრეფილი, თვალ-აპყრობილი მლოცველი კაცი, მელოტი, წვერ-ულვაშ-მოპარსული, მხედარი გუსარის ტანისამოსში,—უეჭველად თვით გურამიშვილი. იქვე უწერია: ეს კაცი ესე ილოცავს:

«ღმერთო, მაჩვენე ყანები,
ამ სარწყავთ მონაყვანები.»
«ღმერთო, დამასწარ ზაფხულსა,
ფქვილს ამ წისქვილზედ დაფქულსა.»
«ყოვლად წმინდაო, დამადევ წყლულზედ წამალი სამთელი,
შემაძლებინე აღვანთო მე შენს წინაშე სანთელი!»

ყუთის ზევით გამოხატულია ახსირკის ღვთის-მშობლის ხატი.— ამოწერილ ლექსებს შემდეგ გურამიშვილისაგან დაწერილია:
«ეს წყლის ასამაღლებელი და წისქვილი თუმცა მოვიგონე და

ჯერებს ჩვენ რთული და მშვენიერი მოხატულობა, რომელიც გურამიშვილს თავის ხელით უქმნია, როგორც თვითონვე ამბობს და თავის წიგნის ბოლოში ჩაუტანებია. მოგონილის მაშინის პროექტი, რომლის განმარტება, პოეტისაგან დაწერილი, სხოლიოში მოგვყავს, პოეტს ნდომია წარედგინა მთავრობისათვის, რადგან თვითონ საშუალება არ ჰქონია მათის სისრულეში მოყვანისა, მაგრამ დიდ ხანს დარჩენილა წარუდგენელად, როგორც თვითონ სწერს, მის «უძლურების და ხელ-მოკლეობის გამო.» როდესაც რუსეთში მყოფი მეფე,

---

დავხატე, ჯერ არსად არის გამოცხადებული ჩემის უძლურებით და ხელმოკლეობით და ამ ჩემ ნათქვამ ლექსის წიგნში ჩამიტანებია და ეს წიგნი ქართლ-კახეთის მეპატრონის მეფე ირაკლის ძის მირიანისათვის მიმირთმევია და ამას შევხვეწნივარ, რომ საცა ალაგი იყოს, იმან გამოაცხადოს.—კნიაზ დავით გურამოვი ხელს ვაწერ.»—ეტყობა, რომ ეს მიუწერია პოეტს მოხატულებაზე შემდეგ.

მოხატულობის ძირს სწერია მქრალის მელნით რუსულად და ქართულად შემდეგი: «Якона, язображенная Охтярской Богоматери Здѣлана мною по обещанiю. Человѣкъ же подъ ошую стоящiй значитъ то, что простеръ рукя, просятъ очея (გაურჩეველად) скоромъ сдѣлан... (გაურჩეველად) на сея картинѣ изображенной машина помощи; а сундукъ, стоящiй по лѣвому человѣка стоящаго нему (გაურჩეველად) значитъ, чтобъ охотно даталае (გაურჩეველად) по единой денежка денегъ полагая; тѣхъ денгя должня бить впотреблена мною после къ состовленье пре(дъ) (о) ного (გაურჩეველად) яконого свѣчья, ябо таковой обятъ мною сдѣланъ съ дня начатая оной машяны.»

ამის ქვემოდ ქართულად წარწერილია:

«ახსირკის ღვთის-მშობლის ხატისა და იმის წინ სანთლისა და კოლოფის იგავი ეს არის: კაცი რომ დგას და ილოცავს, მაგისგან შე-

ირაკლის უფროსი შვილი (Бутк. II. 130), მირიანი პეტერ-ბურღში განიწყესა და მთავრობაზე გავლენა მიიღო, პოეტმა განიზრახა მიერთვა მისთვის თავისი ხელ-ნაწერი წიგნი და მოხაზულობანი და ეთხოვა, რომ მოხსენებული პროექტე-ბი წარედგინა მთავრობისთვის გასასინჯავად. ამ მირთმევის ზარათი და სათხოვარი პოეტს ზედმოხაზულობაზე მიუწე-რია. მაგრამ ჩვენ არ ვიცით ნამდვილად, ჩავარდა თუ არა მოხ-სენებული წიგნი მირიანის ხელში და თუ მიიღო მან, როდის და რა ბედი ეწვია პროექტს. უფრო დასაჯერია, რომ წიგნი

თქმულობა ასე არის: ამ წისქვილმან რომ ფქვა შექმნას, მის დროს იმის პირველად მნახავ კაცსა, თუ დედა-კაცსა თვითო დენიშკა სთხო-ვოს მაგ კოლოფში თავისის სულისათვის ჩააგდოს სანთლისათვის. მაგ რიგი ხატი უნდა ამ წისქვილში ესვენოს და ღამით გაუქრობლად სანთელი ენთოს.»

ამ ორის უკანასკნელ წარწერილ შეთანხმებისაგან ცხადადა სჩანს, რომ მოხაზულობაზე ფერადებით დახატული კაცი არის თვით პოეტი და დაახლოვებით მის სურათს წარმოადგენს.

შემდეგ მიწერილია პოეტის ხელით შემდეგი ძვირფასი შენიშვნა: «ამის ავად მოხაზულობას ნუ დამიწუნებენ: ცალის თვალით სულ ბრმა ვიყავ, მეორითაც ავად გხედავდი. ჩემის ხელით მაგის მეტი ვერ შევიძ-ლე და სხვას ვერავის ვენდევ ხაზის მოუპარობის მიზეზითა.»

ამის შემდეგ, სხვა ქაღალდზე პოეტს დაწერილი აქვს შემდეგი დაწვრილებითი განმარტება მისგან მოგონილ მაშინების სარგებლობისა.

«სარწყავისა და წისქვილის ამბავი და მოხაზულობა, რომელიც რომ ჩემის განმსჯელობით მალოროსის ორი საწუნელი სნეულება მიც-ნია და იმისი სამკურნალო წამალიც მიპოვნია, ამას ქვეით გაცხადებ გამოჩენით.»

1

«პირველი საწუნელი სნეულება ეს არის, რომ წყალნი მეტად

და პროექტები მირიანმა მიიღო, მაგრამ ჩვენის აზრით, გვიან, რადგან პირველად (1784—1793 წ.) მირიანი რუსის ჯარში ერია ყიზლიარში და მხოლოდ შემდეგ მიიღო გავლენა (მირიან დაიბადა 1766 ან 1767 წ. 1784 ტრაქტატის შეკვრის შემდეგ პოლკოვნიკის ჩინით დაჯილდოებული, განწესებულ იქმნა რუსის სამსახურში ყაბარდოს ქვეითის ჯარში. 1789 წ. ერეკლე სწერდა თავის ელჩს, გარსევან ჭავჭავაძეს, რომ მას არა ქმნა-რა საქართველოს შესახებ, მირიანის დაუკითხავად; მაგრამ ამ ბძანებას ჭავჭავაძე გვერდს უვლიდა. ერეკლეს სიკვდი-

---

მდორედ და ღრმად ჩავარდნით დიან: ისე არა დიან, ვითარცა აზიაში მომაღლოდ, მიწის-პირად ჩქარად დიან; საითაც უნდა რუვით წაიყვანს კაცი და რასაც უნდა მორწყავს, გოლვისაგან ნამუშეველს არ მოაცდენს და მალოროსიაში გოლვისაგან დიაღ მალ-მალ სცდების მოურწყაობით მოსავალი. ამის წამალი ეს პირველი ნუმრის ახალის მოგონებულის ნეშლის მაგალითი წყლის ამოსაღებელი მოხაზულებით მიჩვენებია. მაგ რიგი ათი მაშინა რომ ერთმანეთის სიახლოვეს თუნდა ტბაში, თუნდ მდენარეს წყალში რომ ჩანიდგას, ათის მაშინის ნასოსები იქნების. ორმოცი ამისი წყალი რომ ერთმანეთს შემოიყაროს კაცმან, დიდი წყალი შეიქნება და რუვით მინდვრად წაიყვანს და მორწყავს, გოლვაში ნამუშეველს არ მოაცდენს. ზოგიერთს ალაგას კარგად ისაქმებს და ზოგიერთს ალაგას წყლის სიცოტაკით ვერ ისაქმებს კარგადა.»

2

«მეორე საწუნელი სნეულება ესე არს: რომელსამე ადგილს წყლის უწმინდურობა და თევზის უმრავლობა და უგემურობა წისქვილის მიზეზით შეუძლებელი. წყალნი დაგუბულნი არიან გრებლებითა და თევზს გზა არა აქვს, რომ დიდის მდინარიდამ შემოვიდეს; თევზს წმინდა წყალი უყვარს. მალოროსიაში კარგი წისქვილები იციან წყლისაცა და ქარისაცა, მაგრამ მუდამ ვერა ფქვენ: ქარის წისქვილი როცა ქარი არ არის, სცდების; წყალის წისქვილი წყლის დიდობაში სცდების, გოლვაში წყლის მცრობაში სცდების და ზამთარის ყინვაში სცდების. ამისი

ლის შემდეგ 1798 წ. 11 იანვ. მირიან მოვიდა ამ გმირის, ამ «უკანასკნელ ქართველის», საგლოველად. ამ დროს ის უკვე იყო გენერალ-მაიორი. შემდეგ, ალბად, უკანვე დაბრუნდა რუსეთში. 1807 წელს მას ვხედავთ პეტერბურღში, სადაც ამ წელს მიიღო ხარისხი «დეისტვიტელნი ტაინი სოვეტნიკისა» და განიწესა მესამე სენატის განყოფილებაში, სადაც განიგებოდა საქმე საქართველოსი (Бут. II. 130. 500 пр. I, 442; 189; пр. 2. и 188, 439, 193, 490). მიგნებით შეგვიძლია ვსთქვათ, რომ მირიან ამ წიგნს მიიღებდა 1793—1798

წამალი ეს მეორე ნუმერის ახალი მოგონილის ნეშტის მაგალითი სახე წისქვილისა. მაგ რიგ წისქვილს არც წყლის დიდობაში ეშინიან და არც გოლვაში, წყლის სიმცირეში და არც ზამთარში ყინვისაგან. ერთს ჭაზედ რომ მოდიდო სახლი ფეჩიანი დაიდგას, რომ ათი მაგისთანა მაშინა დაეტიოს, ათი თვალი წისქვილი იქნება. თუ რომ კარგათ, ზომიერათ განიმართა, არაოდეს დასცდების ფქვისაგან.»

«ჩემი გონების თვალი ხედავს, ეს ჩემი მოგონილი წისქვილი თუ რომ ასე განმრავლდა, რომ იმით ქვეყანა გაძლა, რასაც ამას ქვეით შეძლებულობას ვაცხადებ, ყველას შეიძლების.»

1) დაფქვავს საცა უნდა.

2) დანაყავს საცა უნდა.

3) გახერხავს საცა უნდა.

4) წყალს გასწმენდს.

5) გრებლებს გახსნის.

6) თევზს განამრავლებს და განაგემრიელებს.

7) წყლებში ლოტკებს აჭარებს საცა უნდა.

8) ერთს კარგ სუმას (სთემას) წელიწადში ხაზინაში შემატებს.

9) წყლისაგან დალუპულს სახნავს, სათიბს სახმარად შეიქს.

10) მტრისაგან ან ჟამისაგან რომ ქალაქი შემოცულიყოს, დიდს შემწეობას უზამს.

11) მხვნელსა და მთესველს კაცს ბევრს შალათს დამართებს,

წლებ შუა, რადგან პოეტის წარწერილს ეტყობა, რომ იმ დროს მეფე ერეკლე, რომელსაც პოეტი უწოდებს «ქართლ-კახეთის მეპატრონედ» (აწმყო დრო), ცოცხალი ყოფილა.

მოხსენებული პროექტები გვიჩვენებენ, რომ მოხუცებული პოეტი, ცალის თვალით ბრმა, მეორით სუსტად მხედავი, 1774—1787 წლებში გართული ყოფილა ოჯახობაში, და როგორც სჩანს აგრეთვე, სიღარიბეში ჩავარდნილა. მაგრამ სიღარიბეს კი არ აღუმღვრია გურამიშვილი ამ სიბერეში და ახალ მაშინების გამოსაჩენად არ წაუქეზებია. ის აღძრა იმავე

რომ მუშაობის დროს წისქვილისათვის შორს არ წაიყვანს, ამისთვის რომ ყოველს ალაგს თავთავისთვის ექნების წისქვილი.—თუ რომ მერვე რიცხვის შეძლებულობა ვერა სცნან, საიდუმლოდ მკითხონ და მოვახსენებ.

12) ამასაც ვგონებ, ჯარში სალდათსაც ხელსაფქვავის ფქვისაგან დაიხსნის.»

«ახლა ვთხოვ წყალობასა, ეს ჩემგნით ნაჩვენები და მოხსენებული საქმე, რომელიც რომ ამას ზეით გამოვაცხადე, ეს გაშინჯოს, თუ რომ ჩემი ნაჩვენები საქმე და მოხსენებულება სიცრუე არ იყოს და საქმე შევიდეს, ერთი ნასოსი მჭვრეტელი კაცი მაშველონ და ოცი თუმანი მიბოძონ ამ პირობითა, თუ რომ სიკვდილმან მისწრას, ან სხვის მიზეზით იმისი დადგმა ვერ შევიძლო, ის ოცი თუმანი ისევე უკანვე მიერთვას და თუ რომე დავსდგა ორივე მომავალს მარცხა, ის ოცი თუმანი აღარ გამომერთოს.— Порутчикъ князъ Давидъ Гурамовъ. —წელსა 1787, სეკდენბერს.»

ბოლოს მიწერილია შემდეგი ლექსი:

«ესე რაც ნეშტი მაშინა დავიდგი დავითმა შინა
მას თუ ვერ ლებავს წითლადა, ცუდი ყოფილა მაშინა,
როდისაც მტერი მებრძოდა, ეს საფრად მდგმოდა მაშინა,
და მას ხმალსა გსცემდი უშიშრად, ვინც მე თავის ხმლით მაშინა.»

აზრმა, რა აზრით უკანასკნელს დროს შეჰკრიბა თვისი ნაწერები ერთ წიგნად საკითხავად: მას სურდა, რომ დაეტოვებინა თვის შემდეგ იმისთანა რამ, რომლითაც უშვილოდ, უჭირისუფლოდ დარჩენილი პოეტის სული მოეხსენებინათ და შენდობა ეთქვათ, და ეს აზრი აგულიანებდა, ამხნევებდა მას საშრომად. ამის გამო პირობად დაუდვა, რომ მის მოგონილ მაშინის სახლებში დაიდვას ყუთი, რომელშიც ყველა პირველად მნახველმა თითო ფული (დენუშკა) მაინც ჩააგდოს «მის სულისთვის», და ამ ფულებით ნაყიდი სანთელი იქვე დასვენებულს ახსირკის ღვთის-მშობლის ხატის წინ გაუქრობლად ენთოს. ამ გრძნობის ქვეშ მყოფმა პოეტმა თავის-თავიც დახატა ხატის წინ (მოხაზულობაში) მლოცველის სახით*).

უკანასკნელნი წელნი პოეტისა სრულიად მიფარებულნი არიან ჩვენგან. არ ვიცით ნამდვილად, რამდენს ხანს იცხოვრა პო-

---

*) თუმცა ზევით მოვიხსენიეთ, რომ «ქაცვია მწყემსი» 1774 წელს არის დაწერილი, მაგრამ არ იქნება სულ უსაფუძვლო ის აზრიც, რომ ეს მოთხრობა დაწერილია უფრო გვიან, ე. ი. 1774—1787 წლებ შუა, რადგან თვით ლექსისაგან სჩანს, რომ ის დაწერილია ღრმა სიბერის ჟამს, როდესაც გურამიშვილი ძლივსღა ჰხედავდა. ამ ლექსში ერთს ადგილას (271 გვ.) შვილი ეუბნება მამას, (რომელიც ცხადია თვით გურამიშვილი უნდა იყოს):

«მამავ, რომ ლექსავ, ყოყმნობ, აყენებ,
ფიქრით სენს რასმე თავს მიაყენებ,
ბრმა ცალ-თვალი ხარო,
ეგეც არ მოსთხარო,
    რომლითაც ხედავ.
. . . .
რად მისდევ წერასა?
ვაი შენს წერასა,
    რა ცუდად შვრები!»

ეტმა, როდის და სად მოკვდა, სად არის დამარხული მისი გვამი. ვიცით მხოლოდ, რომ უკანასკნელ დროს ის სრულიად დაბრმავდა (Справочный энциклопед. словарь Старчевскаго, т. IV. Спб. 1855 г. стр. 4) და ერთის მცოდნე ქართველის სიტყვით მოკვდა ღრმა სიბერეში, ამ საუკუნის დამდეგს, მცირე რუსეთში, სადაც დამარხულია კიდეც (Энцикл. Словарь იქვე). თუ პოეტი დაიბადა 1705 წ. როგორც პირველს წერილში მოვიხსენიეთ, იგი მოკვდა არა ნაკლებ 95 წლისა.

ჩვენ არ ვიცით, რა გვარი სიკვდილი ერგო პოეტსა, როგორ დაიმარხა, სად დასაფლავდა და რომელ კუთხეში, რომელ სოფელში, ეკლესიაში განისვენებს ჩვენგან მივიწყებული მისი გვამი! არ ვიცით, დარჩენილია ძვირფასის მის საფლავის კვალი, თუ დრო-ჟამმან უკვე წაშალა იგი.

ყველაზე დასაჯერებელი ის აზრია, რომ პოეტის გვამი

ამას გარდა, უეჭველია, რომ პოეტმა თავის ლექსებს თავი მოუყარა ერთ წიგნში არა 1774 წ. არამედ 1781—1787 წლებ შუა. ეს მტკიცდება იმით, რომ იმ ქაღალდზე, რომელზედაც პოეტს დაუწერია «ქაცვია მწყემსი», ფაბრიკის ნომერი უჩვენებს 1781 წ. (თუ სინათლეში გახედავთ ქაღალდს); უკანასკნელი სიტყვები კი დაწერილია პოეტისაგან 1787 წ. შესაძლო არის, რომ პოეტმა ყველაზე გვიან «ქაცვია მწყემსი» დასწერა და როდესაც ყველა ლექსები შეაგროვა, მას მისცა ადგილი წიგნში არა ქრონოლოგიურის წესით, რადგან შინაარსით მას ბოლო არ შეეფერებოდა. მის მაგიერ ბოლოს მოაქცია ის ლექსები, რომელშიც გამოხატულია მისი ანდერძი (1774 წ. დაწერილი) და სხვა ამ გვარი ლექსები. ამას გარდა, თვით ეს ლექსი დაწერილია სხვის შეგონებით, ვილაც ქალის თხოვნით. პოეტი, როგორც თვითონ ამბობს, (იხილე გვ. 171) ძალიან შეწუხდა ამ თხოვნაზე, რადგან ბრმაც იყო და ბებერიც, როდესაც კაცს აზრთა ფრენა მოკლებული აქვს და ძალა ენისა მისუსტებული.

ახტიარკის მონასტერში იყოს დამარხული, რადგან ეს მონასტერი ყველაზე ახლო და განთქმული იყო მის სოფლის არემარეში; თვით პოეტიც დიდს პატივს სდებდა ამ მონასტერს, და უეჭველია, ღვთისნიერი, ღრმად მორწმუნე პოეტი არას დაზოგავდა, რომ ამ წმინდა ადგილისათვის მიებარებინა თვისი ნაშთი; აქვე უნდა მოიპოვებოდეს ის საფლავზედ დასადები ქვა ზედ-წარწერით, რომლის დამზადებისათვის იგი სიცოცხლეშივე ზრუნავდა. ეს მონასტერი ხარკოვის, პოლტავის და ჩერნიგოვის გუბერნიების საზღვარზე არის და მიწერილია ხარკოვის გუბერნიას.— თუ ამ მონასტერში არ გამოჩნდა პოეტის საფლავი, ის უნდა იყოს პსიოლის, სუხის და ვორსკლის წყლების სათავეში, ან დესნის ხეობაში (პოლტავის, ჩერნიგოვის დ ხარკოვის გუბერნიების საზღვარზედ), სადაც უნდა იყოს ზემოხსენებული სოფლები: ბილიკი, მონასტირიჩა, ალექსიპოლი და ახალ-დაბა (Новоселка ანუ Новое мѣстечко). კარგი იქნება, რომ იმ ქართველებმა, რომელნიც ხარკოვის და კიევის უნივერსიტეტში, ან აკადემიაში არიან, ან კიდევ ნეჟინის ლიცეიაში, მონახონ ხსენებულ ადგილებში გვამი იმ კაცისა, რომლის სახელი საუკეთესო სამკაულთაგანია ჩვენის ეროვნებისა და მწერლობისა და რომელიც საშვილისშვილოდ გარდაეცემა ჩვენს შთამომავლობას და უკვდავად იცხოვრებს მათს გულში.

პოეტმა დაგვიტოვა უკვდავი ქმნილება—„დავითიანი“,— ძვირფასი განძი ჩვენის მწერლობისა, საკვირველი ენის სიმდიდრით, ახალის მიმართულობით (ენაშიაც, ლექსთ-წყობაშიაც), თვისნიერის, ხუმარა კილო-შერთულ პოეზიით, თავისუფალ, მაღალ ლექსთ-ხელოვნებით. გარჩევა ამ საუნჯისა,

რომელიც, იმედი ვიქონიოთ, არ დაიყოვნებს, საინტერესო უნდა იყოს განათლებულ ქართველთ საზოგადოებისათვის.

თ. ჟორდანია.

ხალხური ლექსები.

(ქართლში გაგონილნი).

ღარიბსა კაცსა ვინ მისცემს აღების-ღამეს ღვინოსა—
მჭადი ჭამოს და წყალი სვას, დაწვეს და დაიძინოსა.

—

ამილ . . . ყმა ვიყავ, ფქვილი ვერ დავდგი გოდრითა;
ვერც გავიტანე გუთანი, ვერც კალო ვლეწე მოზვრითა.

—

მოკვდა კამეჩი ბეხია,
შაუშვერია ფეხია.
—წადი, უთხარი ჩემს პატრონს,
წაიღოს ჩემი ლეშია.
მე მაშინ მოვაგონდები,
როცა რომ წავა ტყეშია;
შაებას წვრილი მოზვრები,
იგრიხებოდნენ წელშია.

—

კამეჩო, შენ შენი დღენი რა უკუღმართი ბერდები:
წახვალ და გაიპარები, მე უნდა გზიდო ღვედები.
შენ იცი ტყეში გაპარვა, მეც მოვიგონე ხერხები:
დავგრიხე წვრილი წნელები, მაგრა გაგიბი ფეხები.

—

შენი ჭირიმე, გუთანო, მაგ შენი ბ(მ)რუდე ყელისა!
შენა ხარ პურით მაძღარი, დამძველებელი ქერისა.

—

ორიოდ შემოუარე, ნადარი ამოვარდება...
მამასახლისი მოჰკვდება, სუდია ამოვარდება.

—

ამოდი, ხმალო, ამომყე! გულო ნუ შემიშინდები.
რო მივალ სისხლის გუბეზე, ფეხო, ნუ წამიცურდები!

—

ჩვენს მეფეს გაუმარჯვენია ბაზალეთისა ტბაზედა...
ხარი-ირემი მოუკლავს, ბარკალი უდევს მხარზედა.

—

გზა სიარულმა დალია, სიპი-ქვა წყალთა დენამა;
პატარა გოგო და ბიჭი—ერთმანერთისა ცქერამა.

თავზედ ხელ-აღებული.

ი. ტურგენიევისა.

(თარგმანი)

I

...ოთახში რვანი ვიყავით,—ვლაპარაკობდით ჩვენს თანამედროვე საქმეებზე და ადამიანებზე.

—მაგ ხალხისა არა გამეგება-რა! სთქვა ერთმა.—თავზედ სრულიად ხელი აუღიათ. სწორედ თავ-განწირულები არიან... ამის მსგავსი ამბები თავის დღეში არ მომხდარა.

—კვლავაც მომხდარა, როგორ არა! სთქვა ჭაღარა-თმიანმა მოხუცმა, რომელიც სამოც წელიწადს გადაცილებული იქნებოდა;—ადრეც იყვნენ თავზედ ხელ-აღებულები, მაგრამ ეხლანდელებს არა ჰგავდენ. ვიღაცამ სთქვა ერთს პოეტზე—უსაგნოდ აღტაცებულიაო და ესრედვე უწინდელებიც უსაგნოდ თავ-განწირულები იყვნენ, თუ გინდათ, გიამბობთ ერთის ჩემის ბიძაშვილის-შვილის—მიშა პოლტიოვის ამბავს. ამ მაგალითით გაიცნობთ მაშინდელ თავ-განწირულ ხალხს.

როგორც მახსოვს, მიშა დაიბადა 1828 წელს თავის მამის მამა-პაპეულ მამულში, მოშორებულ და მიყრუებულ მაზრის კუნჭულში. მიშას მამა, ანდრეი ნიკოლაიჩ პოლტიოვი,

თითქმის ჯერ კიდევ თვალ-წინ მიდგას. ის იყო ნამდვილი ძველის დროის მებატონე, ღვთის მოშიში, დარბაისელი კაცი, დროის შესაფერად საკმაოდ ნასწავლი, მხოლოდ მართალი უნდა ვსთქვა, ცოტა ბოსულელო იყო და ზნედაცა სჭირდა... ესეც ძველ-დროინდელ მებატონეების ავად-მყოფობა გახლავთ... მაგრამ ანდრეი ნიკოლაიჩის გულ-შემოყრა არავის აწუხებდა: მშვიდად მოერევოდა ხოლმე სენი, სევდა შემოაწვებოდა და დაიძინებდა. კეთილის-გულის პატრონი იყო, ზრდილი, შვე-ლდას ალერსიანად ეპყრობოდა, თუმცა მედიდურობა კი არ აკ-ლდა. მთელს თავის სიცოცხლეს ანდრეი ნიკოლაიჩი იმაში ატარებდა, რომ ძველადგან შემოღებული ჩვეულებანი შეუცვლე-ლად შეესრულებინა და ამის შესაფერად, რასაკვირველია, ძველ ეკლესიის წესებსაც დიდ ყურადღებას აქცევდა. ისე კი არ მოქ-მედობდა, როგორც თითონ უნდოდა,—ის მისდევდა მამა-პა-პებისაგან ნაანდერძებს დარბაისლურს წესსა. მამა-პაპურად იძი-ნებდა და მამა-პაპურად დგებოდა ძილიდამ; მამა-პაპურად პურს მიირთმევდა და აბანოში დაიარებოდა, მამა-პაპურად მხიარუ-ლობდა და ჯავრობდა (მაგრამ მხიარულობა და ჯავრობა ძვი-რად იცოდა), თითქმის მამა-პაპურადვე სწევდა ჩიბუხს და თა-მაშობდა ქაღალდს, თუმცა ეს ორივ ჩვეულება ახლად შემო-ღებული იყო. თითონ ანდრეი ნიკოლაიჩი მაღალი, წამოსადე-გი და ჩასხმული კაცი იყო. ხმა ჰქონდა სუსტი და, ცოტა არ იყოს, ხრინწიანი, როგორსაც ხშირად შეხვდებით მაღ-ლიანს რუსებში. სუფთა საცვალს და ტან-საცმელს ხმარობდა, ყელსახვევი ყოველთვის თეთრი ჰქონდა და ტანზედ თამბაქოს ფერი გძელ-კალთებიანი სერთუკი ეცვა. ჩამომავლობითი კე-თილშობილობა ეტყობოდა: ვერავინ მიამსგავსებდა ვერც ვა-ჭარს და ვერც მღვდლის შვილს! ანდრეი ნიკოლაიჩს რაც უნ-

და შემთხვევოდა და რაც უნდა დამართოდა, ყოველთვის იცოდა, რასაკვირველია, როგორ უნდა დაეჭირა თავი, ან რაზე და როგორ ელაპარაკნა, იცოდა რითი და როდის უნდა ავადმყოფს წამლობა, რა ნიშნებს უნდა დაუჯეროს კაცმა და რას არა... ერთის სიტყვით, რაც საჭირო იყო, ყველა იცოდა... მამა-პაპებისაგან ყველაფერი წინადვე განხილული და ნაჩვენები ჰქონდა... მხოლოდ თითონ არაფერი არ უნდა მოეგონა... უმთავრესი ეს იყო, რომ თუ არ ღვთის ნებაზედ, კაცი ერთს ნაბიჯსაც ვერ წასდგამდა წინ. მართალი კი უნდა სთქვას კაცმა, საშინელი სევდა ტრიალებდა იმის სახლში, იმის დაბალ, ბნელ და თბილ ოთახებში, საიდამაც ხშირად მოისმოდა მღვდლის ლოცვები, გალობა და გამოდიოდა სუნი საკმლისა და სამარხვო საჭმლისა.

ანდრეი ნიკოლაიჩი შუა ხნის კაცი იყო, როდესაც შეირთო ცოლად თავის ღარიბის მეზობლის ქალი, ინსტიტუტში გაზდილი, ძალიან სუსტი-ნერვებიანი და ავად-მყოფი. ქალი ფორტოპიანზე ურიგოდ არ უკრავდა და ფრანცუზულად ისე ლაპარაკობდა, როგორც ჩვეულებრივ ინსტიტუტში გაზდილები ლაპარაკობენ. აღტაცებაში ადვილად მოვიდოდა და სევდაც ადვილადვე ერეოდა და მაშინ ბლომად ღვრიდა ცრემლებს. ერთის სიტყვით, მოუსვენარის ხასიათისა იყო და თავის სიცოცხლე მწარედ დაღუპული, ფუჭად ჩავლილი ეგონა და, რასაკვირველია, ვერ შეიყვარებდა ქმარს, რომელსაც იმისი არა გაეგებოდა-რა; მაგრამ ცოლი ქმრის პატივის-ცემას არ ივიწყებდა... ითმენდა იმისგან ყველაფერს, რადგანაც ამასთანავე გულ-ცივი და პატიოსანი იყო: ფიქრშიაც არსად მოსვლია ღალატობა. გარდა ამისა ბევრი საზრუნავიც ჰქონდა: ჯერ პირველად თავის მართლა-და ავად-მყოფს ჯანზე, მერე თავის

ქმარზე, რომლის ხშირი გულ-ყრა თავ-ზარსა სცემდა და ბო-ლოს კიდევ ზრუნვა თავის ერთად-ერთ შვილზე, მიშაზე, რო-მელსაც დიდის გულ-მოდგინებით ზრდიდა. ანდრეი ნიკოლაი-ჩი არ უშლიდა ცოლს შვილის აღზრდას, მხოლოდ ერთის პირობით: არ უნდა გადასცილებოდა მის სახლში ერთხელვე დადგენილ რიგსა და წესსა. მაგალითად: ყოველთვის შობას და ახალ-წლის წინა-ღამეს მიშას ნება ჰქონდა სხვა სოფლის ბავ-შვებთან ერთად მორთულიყო ფერადის ტანისამოსით. ამის ასრულება თითქმის ვალდებულებათ ედო... მაგრამ სხვა დროს კი, ღმერთმა დაიფაროს! როგორ გაბედავდა სოფლელ ბავშვე-ბის აყოლას.

II

თვალ-წინ მაქვს ეხლა წარმოდგენილი მიშა, როცა ცა-მეტის წლისა იქნებოდა.—ის იყო მშვენიერი ყმაწვილი წითე-ლის ლოყებით და ფუნჩულა ტუჩებით. თითონაც მსუქანი და ფუნჩულა იყო დიდრონის თვალებით, გაწკეპილი და სუფთად დავარცხნილი, მორცხვი და ალერსიანი,—სწორედ პატარა ქალსა ჰგავდა! ის კი არ მომწონდა, რომ იშვიათად იცინოდა და რო-დესაც გაიცინებდა, გადმოჰყრიდა ნადირის მზგავსად თავის დიდროვან თეთრს, მომწვეტო და გალესილ კბილებს. სიცილიც უცნაური, თითქო მხეცური ჰქონდა და მის დროს თვალებში უსიამოვნო ნაპერწკლები უბრწყინავდა. დედა ყოველთვის ამბობ-და, «ჩემი მიშა მართებული და მორიდებული ბავშვია, არ არის ამყოლი ცელქის ყმაწვილებისა და უფრო დედა-კაცებს ეკედ-ლებაო.» მამა კი ამბობდა: «დედის ნებიერია, მაგრამ მე ის

მისარიან, რომ ეკლესიაში გულ-მოდგინედ დადისო.» მხოლოდ ერთმა ბებერმა მეზობელმა, ადრინდელმა მაზრის გამგებელმა, ჩემთანა სთქვა მიშაზე: «აი ნახეთ თუ მეშფოთარი არ გამოვიდესო.» მაშინ ამ სიტყვებმა ძალიან გაგვაკვირვა. მაინც იმ მაზრის გამგებელს ყველგან მეშფოთრები ელანდებოდა.

მიშა თვრამეტ წლამდის სამაგალითო რამ იყო, სწორედ დედ-მამის სიკვდილის დღემდე, რომელნიც მართლა რომ თითქმის ერთსა და იმავე დღეს დაეხოცა. მე მუდამ მოსკოვში ვცხოვრობდი და ჩემს ახალგაზდა ნათესავზე არა მესმოდა-რა. მართალია, ერთი იმ მაზრიდამ მომსვლელი მარწმუნებდა, მითომ მიშას იაფად გაუყიდნა თავის მამა-პაპური მამული; მაგრამ ეს ამბავი ტყუილი მეგონა. შევხედო, ერთ შემოდგომის დილას, უეცრად ჩემს ეზოში შემოჭქანდა კალიასკა, მშვენიერის ორის ცხენით შებმული და წინ უზარმაზარი კუჩერი უჯდა. შიგ კოლიასკაში იჯდა შინელში გახვეული ორ-არშინიან გრძელის ბეწვის საყელოთი და გვერდზე დარდიმანდულად ქუდ-დახურული... მიშა! დამინახსა თუ არა, (მე ფანჯარასთან ვიდექ და გაოცებით შევყურებდი შემოქანებულ კალიასკას), ერთი თავისებურად გადიხარხარა, გადიბერტყა შინელი, კალიასკიდამ გადმოხტა და შინ შემოირბინა.

— მიშა! მიხაილ ანდრეიჩ! ეგ თქვენა ხართ? — ამის თქმა ძლივს მოვასწარ. აღარ დამაცალა და მომიგო:

— თქვენობით ნუ მელაპარაკებით, მიხეილ ანდრეიჩ! შენობით მელაპარაკეთ, ისევ «მიშა» დამიძახეთ. მე ვარ, სწორედ მიშა ვარ... მოსკოვში თავი დაგიკარით... მინდა ხალხი ვნახო... და ჩემი თავიც ვაჩვენო. აი თქვენთანაც შემოვიარე.

როგორ მოგწონთ ჩემი ცხენები?... ჰა?— ხელმეორედ კიდევ გადიხარხარა.

თუმცა შვიდი წელიწადი იყო, რაც არ მენახა მიშა, მაგრამ მაინც კი ვიცან. პირის-სახე ისევ ისე ყმაწვილური ჰქონდა, თავისებურად შვენოდა, ულვაშები ჯერ არც კი ამოსვლოდა; მხოლოდ ლოყები დასქელებოდა და არყის სუნი სდიოდა.

— დიდი ხანია, რაც მოსკოვში ხარ? ვკითხე მე,—მეგონა სოფელში მამულს უვლი...

— ეჰ! სოფელს მაინც თავი დავანებე! დედ-მამა მომიკვდა თუ არა,—ღმერთმა აცხონოთ!—მიშამ დიდის სასოებით პირჯვარი გადიწერა—დიდ ხანს აღარ ვიფიქრე და მამული გავაფრინე! ჰა! ჰა! იაფად კი გავყიდე, დასწყევლოს ღმერთმა! მერე ისეთმა ავაზაკმა ჩამიგდო ხელში. მაგრამ, სულ ერთია. ჩემს ნებაზე ხომ ვიცხოვრებ სიამოვნებით და სხვებსაც ვასიამოვნებ.— აგრე გაოცებით რას მიყურებთ? მაშ დაუსრულებლად ხომ არ გაჩანჩალებდი ჩემს სიცოცხლეს?.., გეთაყვა, ჩემო კარგო, ერთი არაყი გადამაკვრევინე.

მიშა ლაპარაკობდა საშინელის სისწრაფით და თანაც ისე, თითქო ეს არის ეხლა გაუღვიძნიაო.

— მიშა, დაიცა! წამოვიძახე მე:—ღვთისა არ გეშინიან! რა ყოფილი ხარ, რასა ჰგევხარ? კიდევ არაყის გადაკვრას აპირებ! ან არ გენანებოდა იმისთანა მამულის იაფად გაყიდვა?...

— ღვთის მორიდება და შიში ყოველთვისა მაქვს, მომიგო იმან,—ღმერთი ხომ კაი გულისაა... მაპატიებს! მეც ხომ კაი გულისა ვარ... ჩემს დღეში არავისთვის რა მიწყენინებია. არაყიც ხომ კაი გულისაა. ისიც არავის რას აწყენინებს. შეხე-

დუღობით არაფერი მიჭირს! გინდა ბიძიავ, სულ ასკინკილას ჩამოვუვლი!

— გაჩერდი, თუ ღმერთი გწამს; რა დროის ასკინკილაა! მოდი აქ დაჯექ ჩემთან.

— დავჯდები, რატომ არ დავჯდები... მიკვირს, ღმერთმანი, რომ არაფერს მეუბნებით ჩემს ყომრალ ცხენებზე? ერთი შეხედეთ, სწორედ ლომებსა ჰგვანან! ჯერ ქირითა მყავს, მაგრამ, უეჭველია, მალე ვიყიდი... კუჩრით. საკუთარ ცხენებს რა შეედრება. ფულიც საკმაოდ მქონდა, მაგრამ წუხელის ქაღალდში წავაგე. რა უშავს, სხვა ისევ მოვიგებ. ბიძიავ... მაშ ცოტა არაყს მაინც არ გადამაკვრეინებ?

მე ჯერ კიდევ გონებაზე არ ვიყავ მოსული.

— რას ჩადიხარ, მიშა! ვუთხარი მე.—განა რამდენი წლისა ხარ? შენ ცხენების და ქაღალდის თამაშობას კი არ უნდა მისდევდე, ეხლა სწავლის დრო გაქვს, ან უნივერსიტეტში უნდა შესვიდე, ან სამსახურში.

მიშამ ამის პასუხად გადიხარხარა და მერე სტვენა მორთო.

— მე ვხედავ, ბიძიავ, რომ დღეს თქვენ ქეიფზე არა ბძანდებით. კვლავ შემოვივლი თქვენთან. მაგრამ აი რას გეტყვით: მნახეთ საღამოზე სოკოლნიკის ბაღში. იქ მე ცალკე კარავი მიდგია. მომღერალი ბოშები მყავს... უჰ! მერე რა ნაირი ბოშები! კარავს ბაირაღი აქვს გაკეთებული და ზედ დიდროვანის ასოებით აწერია: «პოლტიოვის მომღერალი ბოშები.» ბაირაღი ფრიალებს და ოქროთი დაწერილ ასოებს ყველა ადგილად გაარჩევს. დახვედრა კარგი ვიცი, უარს არავის ვეტყვი, ყველას ვუმასპინძლებ. მთელ მოსკოვს მტვრით თვალებს ამოვუვსებ... ჰო, ჩემმა მზემ! მაშ? ხომ მოხვალთ? უჰ! ერთი ისეთი ბოშა მყავს... კუპრივით შავია, ძაღლივით ბრაზიანი, თვა-

ლუბი... ნაკვერჩხალს მიუგავს! კაცი ვერ მიხვდება კოცნას აპირებს, თუ გბენს! შემოივლით განა, ბიძიავ? მაშ ნახვამდის!

მიშა ერთბაშად გადამეხვია, გადამკოცნა და საჩქაროდ გავარდა გარეთ, ჩაჯდა კალიასკაში, ქუდი თავზე შემოიტრიალა და დაუსტვინა. უზარმაზარმა კუჩერმა ცალის თვალით გადახედა ბატონს, ცხენები გაექანენ და ერთს წამს გაქრა ყოველისფერი!

ცოდვილი კაცი ვარ, ვეღარ მოვითმინე, საღამოზე ბაღში გავწიე და მართლადაც ვნახე კარავი და ბაირაღზე ოქროს ასოებით ზედ-წარწერილი. კარვის კალთები აწეული იყო. იქიდამ საშინელი ხმაურობა მოისმოდა, წივილი, ყაყანი. ირგვლივ ხალხი ეხვია. მიწაზე გაშლილ ხალიჩაზე ისხდენ ბოშის კაცები და დედა-კაცები, მღეროდენ და დაფს უკრავდენ; იმათ შუა წითელის აბრეშუმის პერანგით და შავის ხავერდის შალვრით მიშა ჩონგურით ხელში ტრიალებდა და ხრინწიანის ხმით ყვიროდა: ბატონებო! გთხოვთ მობძანდეთ! წარმოდგენა ეხლავე დაიწყობა! მუქთია! აბა! შამპანსკი მოიტანეთ! ბაც! პრობკა ჭერში! შიგ შუბლში ჰკარი რაღა! აჰ! შე უმზგავსო, ბრიყვო!—

ჩემს ბედზე ვერ დამინახა და მაშინვე დავბრუნდი საჩქაროდ.

რაღა თქმა უნდა, რომ გამაოცა ამისთანა ცვლილებამ. ვერ მომეაზრა, თუ ის მორცხვი და წყნარი ყმაწვილი, როგორ გახდა უეცრად ლოთი და სალახანა! ნუ თუ ეს სენი ყმაწვილობითვე სჭირდა და მაშინ გამოაშკარავდა, როდესაც დედ-მამის უფლებს ჩამოეცალა? მიშამ სწორედ რომ მტვრით თვალები აუვსო მთელ მოსკოვს, როგორც თითონ ამბობდა. ჩემს სიცოცხლეში ბევრი დარდიმანდი და ბედოვლათი მინახავს, მაგრამ ამის მზგავსი სიშმაგე, თავზედ ხელ-აღებულობა და თითქო თავის-თავის ჩაღრჩობის სურვილი კი არ მენახა!

III

მიშა ორი თვე ასე შექცევოდა... ერთხელ ჩემის ოთახის ფანჯარასთან ვიდექ და ვიცქირებოდი... უცბად... სწორედ საარაკო შემთხვევაა... ალაყაფის კარებში შემოვიდა წყნარის სიარულით მწირი. თავზე ქუდი ჰქონდა ჩამოფხატული, თმა აქეთ-იქით მღვდელივით გადავარცხნილი... ტანზე გრძელი ანაფორა და ტყავის სარტყელი... ნუ თუ მიშა არის?... დიაღ, სწორედ ის იყო!

მე წინ ჩავეგებე.—ეგ რა მასხარობაა? ვკითხე.

—სულაც არ არის მასხარობა, ბიძიავ, მიპასუხა მიშამ ამოხვრით:—მე ჩემი სარჩო სრულიად მივფლანგე და სინანულშიაც ჩავვარდი; მინდა ეხლა მონასტერში შევიდე და ჩემი ცოდვები მოვინანიო. ან განა მაქვს კი ეხლა სხვა თავ-შესაფარი? ეხლა, ბიძიავ, როგორც ურჩი შვილი, მოველ თქვენთან გამოსასალმებლად.

მე დავაცქერდი გაშტერებით: პირის-სახე ისევ ისე ალისფრად უღვიოდა (შემდეგაც სრულებით არ შეშლია ფერი); თვალებიც ისევ ისე ალერსიანად იყურებოდნენ, ხელებიც ისევ ისე თეთრი ჰქონდა... არყის სუნი კი მაინც სდიოდა.

—რა გაეწყობა! ვუთხარი მე ბოლოს—რახან სხვა ღონისძიება აღარ იყო, ეგეც კარგია, მაგრამ არყის სუნი რაღათა გდის?

—ძველი ჩვეულება გახლავთ, მიპასუხა მიშამ და უეცრად გადიხარხარა, მაგრამ მაშინვე გონზე მოვიდა და, როგორც ბერებმა იციან, მძიმედ თავი დამიკრა და მითხრა:

—არ მიბოძებთ გზის სასარჯოდ ცოტას მაინც? მე ხომ ფეხით მივდივარ მონასტერში...

— როდის?

— დღეს, ეხლავე.

— აგრე რად ჩქარობ?

— ბიძიავ! ჩემი დევიზი ყოველთვის იყო; ჩქარა და ჩქარა!

— ეხლა რაღაა შენი დევიზი?

— ეხლაც ის დევიზი მაქვს... მხოლოდ—ჩქარა სიკეთისკენ ვისწრაფვი.

მიშა მართლაც მაშინვე გამშორდა და დამტოვა დაფიქრებული ადამიანის ბედის დაუდგრომელობაზე.

მაგრამ მაინც მალე მომაგონა თავის-თავი. ორის თვის შემდეგ მომივიდა იმისი წერილი. ეს პირველი წერილი იყო და მასუკანაც აღარ მაკლებდა თავის ყურადღებას და ხანდისხან მიგზავნიდა წერილებს. გამიოცდა იმ წერილს რომ დავხედე, მეტად მენასა ისე სუფთად, გარკვევით ნაწერი, მერე იმისთანა თავ-ქარიანის კაცისაგან. ყოველ წერილში, შემწეობის თხოვნის გარდა, ფიცულობდა და პატიოსან სიტყვას მაძლევდა რომ უეჭველად დავეწევიანდებიო. მე მჯეროდა, რომ გულ-წრფელობით მწერდა და უთუოდ აგრეც იყო. წერილის ქვეშ მიშა უცნაურად აწერდა ხოლმე ხელს, მიუხვ-მოუხვევდა კალამს და ბევრს გაკვირვებითს ნიშნებსა სვამდა. პირველს წერილში მიშა მატყობინებდა თავის «ბედის ჩარხის სხვაფრივ დატრიალებას.» ის აპირებდა კავკასიაში წასვლას იუნკრათ, რომ თავი ხელმწიფისა და სამშობლოსთვის შეეწირა. თუმცა ვიღაც მადლიანი მალუა გამოუჩნდა, რომელსაც შეებრალა და ხელი გაუმართა იმისთვის, მაგრამ მეც მთხოვდა ფულს ტანისამოსისათვის. თხოვნა ავუსრულე. შემდეგ გავიდა ორი წელიწადი და იმისი ხსენება არსად იყო.

მიშას კავკასიაში წასვლას ვიჭვნეულობდი! მაგრამ ბო-

ლოს შევიტყე, რომ მართლა წასულიყო, ერთს იქაურს პოლკში ჩაწერილიყო იუნკრათ და ორი წელიწადი ემსახურნა. ბევრს ახირებულ ამბებს ლაპარაკობდენ იმაზე და ერთმა პოლკის აფიცერმა მეც მიამბო ეს ამბები.

IV

ბევრი იმისთანა ამბავი შევიტყე მიშასი, რომელსაც იმისაგან არ მოველოდი. მე სრულებით არ გამიკვირდა რომ სამსახურში ჯარის-კაცად არ გამოდგა, თითქმის სრულიად უვარგისი იყო, მაგრამ ის კი არ მეგონა რომ სიმამაცე მაინც არ დაეტყობოდა, რომ ბრძოლის დროს მწუხარე სახე დაედებოდა: თითქო ჰკრთებოდა, თითქო რაღასაც დარდობდა. ყოველი ჯარში შემოღებული წესი გულს უკლავდა, ანაღვლიანებდა და როდესაც კი საქმე პირად მარტო იმას შეეხებოდა, მაშინ გიჟივით გამბედავი იყო; რაც უნდა უგუნური სანაძლევო ყოფილიყო, უარს არ იტყოდა; მაგრამ ბოროტ-მოქმედებას ერიდებოდა: არც არავისთან ჩხუბი შეეძლო და არც კაცის სასიკვდილოდ გამომეტება; უთუოდ იმიტომ, რომ კეთილის გულის პატრონი იყო, ან იმიტომ, რომ, როგორც თითონ ამბობდა, ბამბებში გახვეული გამოეზარდათ. თავის-თავს არა ზოგავდა და ყოველთვის გამზადებული იყო თავი გაეწირა... სხვებს კი ხელს არ ახლებდა. «ღმერთმა ნუ იცის მაგისი თავი!» ამბობდენ იმის ამხანაგები,—«დუნეა როგორღაც, სწორედ მჩვარია, მაგრამ თავზედ ხელ-აღებულია, მზაა კლდეზედ გადავარდეს!». ხშირად მიკითხნია მიშასთვის, რა ბოროტი სული სძლევდა, რომ ისე ითრევოდა და თავს არა ზოგავდა?

ის ყოველთვის ერთსა და იმავე პასუხს მაძლევდა: «რა ვქნა, დარდი მკლავს.»

— რის დარდი გაქვს?

— როგორ არ უნდა მქონდეს! როდესაც გონებაზე მოვდივარ, ვფიქრობ ხოლმე სიღარიბეზე, უსამართლობაზე, რუსეთზე... და ეს ფიქრი ბოლოს მიღებს, საშინელი სევდა მაწვება გულზე და მაშინ თუნდა შუბლში ტყვია მკრან, არას დავდევ. მოდი და ნუ მიჭყოპ სმას ხელსა.

— რუსეთს რაღას ერჩი, რისთვის ახსენე?

— მაშ არ ვახსენო! კიდეც იმის გულისთვის მეშანიან დაფიქრებისა...

— უსაქმოობით მოგდის მგ სევდა და ეგ ფიქრები.

— რა ვქნა, რომ არაფრის გაკეთება არ შემიძლიან, ბიძიავ, ჩემო კარგო! აი თუნდა ჩემს თავს სასიკვდილოდ არ დავზოგავ! მაგის შნო კი მაქვს. თქვენ ის მასწავლეთ, რად გამოვიყენო ჩემი სიცოცხლე! ვის შევსწირო თავი! მე მზადა ვარ, ამ წუთასვე!..

— რა, უეჭველად თავის გაწირვა გინდა? იცხოვრე ისე, როგორც სხვანი სცხოვრობენ.

— არ შემიძლიან! იქნება სთქვათ, რომ ამას დაუფიქრებლად ჩავდიოდე? მაშ რა ვქნა? თუ დავფიქრდები, ღმერთო, რა არ მომივა თავში. დაფიქრება ნემეცების საქმეა.—ამის შემდეგ რაღა მეთქმოდა? სწორედ თავზედ ხელ-აღებული იყო!

ორს-სამს მოგითხრობთ მიშას ამბავს კავკასიაში. ერთხელ აფიცრებთან მიშა იკვეხოდა თურმე, რომ იმის ხმალს არა შეედრება-რა: «ნამდვილი სპარსული ხმალიაო!» აფიცრებს არ დაუჯერათ. მიშას არ დაეთმო, მოჭყოლიყო შეცილებას და ბოლოს წამოეძახა:— აი, ამბობენ, რომ ხმლების პირველი შემ-

ტყობი ბრუტიანი აბდულკაო; წავალ იმასთან და ვკითხავ. აფიცრები გაოცდენ.— ეგ რომელი აბდულკა? მთებში რომ სცხოვრობს? ჩვენი მტერი? აბდულ-ხანი?—სწორედ იმაზე ვლაპარაკობ.—იმას ხომ ჯაშუში ეგონები, დაგაჭერინებს და იქნება მაგ ხმლითვე თავი მოგჭრას. ან იმასთან როგორ მიაღწევ? გზაზედვე დაგიჭერენ.—მე მაინც წავალ.—დავნაძლევდეთ, რომ ვერ წახვალ!—კარგი, დავნაძლევდეთ.

მიშას მაშინვე შეეკმაზა ცხენი და წასულიყო აბდულკასთან. მთელი სამი დღე მიშას ხსენება არსად იყო თურმე, ყველას ჰგონებოდა, რომ «თავზედ ხელ-აღებულს» ბოლო მოეღო. ვნახოთ, უეცრად კი გამოჩენილიყო! დაბრუნებულიყო საშინლად მთვრალი და თან სულ სხვა ხმალი მოეტანა. დაეწყოთ გამოკითხვა-—რა უჭირს აბდულკას, კეთილის გულისა ყოფილა, ამბობდა მიშა,—ჯერ, მართალია, უბძანა ბორკილი გაეყარათ ჩემთვის და ძელზე ჩამოგებასაც მიპირებდა, მაგრამ მე ავუხსენი რისთვის მიველი იმასთან, ხმალი ვუჩვენე და ვუთხარი: «ტყუილად ნუ დამაჭერინებ მეთქი, გამოსასყიდს ნუ მოელი, გროშიც არ მეპოება და არც ნათესავები მყავს მეთქი.» აბდულკას გაუკვირდა, თავის ერთის თვალით გადმომხედა და მითხრა:— ახლა, უნდა დაგიჯერო, შე რუსოო!—დამიჯერე, მე ტყუილს თავის დღეში არ ვამბობ მეთქი (მართლა რომ მიშა ყოველთვის მართლის მთქმელი იყო.) აბდულკამ კიდევ გადმომხედა და მკითხა: არყის სმა იცი?—ვიცი მეთქი; რამდენიც უნდა დამალევინო უარს არ გეტყვი. აბდულკას გაუკვირდა, ასხენა ალლასხი და უბძანა იქვე თავის ლამაზს ქალს, რომელსაც თვალები ტურას მიუგვანდა, ტიკი მოეტანა. მეც მივყევ სმას.—შენი ხმალი ყალბია, მითხრა იმან, აი მომიცია შენთვის ნამდვილი სპარსული ხმალი და ამას იქით ჩვენ მე-

გობრეჩი ვიყოთ.—აბა, ბატონებო, სანაძლევო წავაგეთ, თუ არა? ეხლავე მომეცით.

მიშას მეორე უცნაური ამბავი ეს იყო: იმას გაგიჟებით უყვარდა თურმე ქაღალდის თამაშობა, მაგრამ რადგან ფულები არ ეგულებოდათ და ქაღალდის ვალს არ იხდიდა ხოლმე, აღარავინ ეთამაშებოდა. ერთხელ ჩასცივებოდა მიშა ერთს მეგობარ აფიცერს—უეჭველად ქაღალდს უნდა მეთამაშოო.—მერე ხომ წააგებ და არც მომცემო.—მართალია, ფულით ვერ გადაგიხდი, მაგრამ აი ამ დამბაჩით მარჯვენა მკლავს გავიხვრეტავო!—მერე მაგითი მე რა მომემატებაო?—მომატებით, რასაკვირველია, არა მოგემატება-რა, მაგრამ კაი სანახავი იქნებაო. ამ ლაპარაკის დროს ისინი ნასვამები ყოფილიყვნენ. უთუოდ აფიცერს მოეწონა მიშას ნათქვამი, რადგან მოწმები დაისწრო და მაშინვე დათანხმდა მიშას სიტყვაზე. გახსნეს ქაღალდი, დაიწყეს თამაშობა. მიშას ძალიან მოსდიოდა და ათი თუმანი მოიგო. აფიცერმა შუბლში ხელი იკრა და წამოიძახა:—რა სულელი ვარ! როგორ მოვტყუვდი! რომ წაგეგო, მართლა ხომ დამბაჩას არ იკრამდიო. ეგ ეგ არის დამაჯერე, რაღა!—ეგეც შენი ტყუილი! წამოეძახნა მიშას,—თუმცა მოვიგე, მაინც, თუ გინდა, ეხლავ მკლავში დამბაჩას დავიცემო. მართლა მაშინვე დამბაჩასთვის ეტაცა ხელი და ერთ წამში გაესროლა. ტყვია მკლავის მეორე მხრიდამ გამოვარდნილიყო... ერთის კვირის შემდეგ მიშას იარა სრულებით მორჩენოდა.

ერთხელ კიდევ მიშა ღამე მოდიოდა თურმე თავის ამხანაგებით... უეცრად დაენახათ ზედ გზასთან ვიწრო ხრამი, რაღაც ჩაბნელებული ნაპრალი, რომელსაც ძირიც არ უჩნდა.—აბა, სთქვა ერთმა ამხანაგთაგანმა,—მიშა ხომ თავზედ ხელაღებულია, მაგრამ მაინც ამ ხრამში ჩახტომას ვერ გაბედავს.

—კიდევ გავბედავ და კიდევ ჩავხტებიო!—ვერა, ვერ ჩახტები, კისერს მოიტეხ; ვინ იცის, იქნება ასის საჟენის სიღრმეც იყოსო. ამხანაგმა იცოდა რომ მიშა თავ-მოყვარე იყო და უნდოდა ამით წაექეზება.—მე მაინც ჩავხტებიო! გინდა ერთ თუმანზე დავნაძლევდეთო.— ძალიან კარგი!..—ამხანაგს ჯერ არ დაესრულებინა ეს სიტყვები, რომ მიშა ჩამომხტარიყო ცხენიდამ და რახი-რუხით ჩამხტარიყო ხრამში. ყველანი შიშით გაქვავებულიყვნენ... გაეარა ერთს წუთს... შორიდამ, თითქო დედა-მიწის შუაგულიდამ, ძლივს გაეგონათ მიშას ხმა. ის ამბობდა თურმე:—ცოცხალი ვარ! ქვიშაში ჩავიფალი... ძალიან ღრმა ყოფილა! არ დაივიწყოთ, თუმანსა ხართ მოსაცემს.— ამოდი რაღა! დაუყვირათ ამხანაგებს.—როგორ არა, ეგ არის ამოვედი! ეხლა თქვენ თოკებისა და ფარნებისთვის უნდა წასვიდეთ. სანამ კი ერთი ბოთლი არაყი ჩამომიგდეთ, რომ ლოდინი არ მომწყინდესო.

მიშა თითქმის ხუთი საათი ელოდა თურმე ხრამში, სანამ ამოიყვანდენ. მხარი ნაღრძობი ჰქონოდა, მაგრამ არაფრად ჩაეგდო. მეორე დღეს მჭედელს, რომელიც მჭედლობას გარდა ექიმობდა კიდევ, გაესწორებინა ნაღრძობი მხარი და ამითი გათავებულიყო საქმე.

მიშა საოცრად ჯან-მთელი იყო, სიკვდილამდის იმის სახეს სიხოველე არ აკლდა. ავად-მყოფობა არ ეკარებოდა, თუმცა უზომოდ და დარდიმანდულად შეექცეოდა; იმის მაგარ აგებულობას ვერა შეარყევდა-რა. სადაც სხვა, უეჭველია, ძალიან ავად გახდებოდა და იქნება მომკვდარიყო კიდევ, მიშა ამ გვარ შემთხვევების შემდეგ უფრო აყვავდებოდა ხოლმე, როგორც იხვი წყალში ფრთების გაბერტყვის შემდეგ. ბევრს უცნაურს და დაუჯერებელ ზღაპრებს ლაპარაკობდენ მიშაზე და ამაზედვე

ეტყობოდა, რის შემძლე ეგონათ იგი. ამბობდნენ ვითომ რომ ერთხელ, კავკასიაში ყოფნის დროს, მდინარეში მთვრალი ჩავარდნილიყო წელამდის, თავი და ხელები წყლის ზემოდ დარჩენოდა. იმ დროს ზამთარი ყოფილიყო და ღამე ძლიერ მოეყინა. მეორე დღეს ენახათ რომ მთელი ღამე წელამდის ყინულ-ქვეშ ყოფილიყო; მაგრამ ამ ამბის შემდეგ სურდოც კი არ შეჰყრობოდა. მეორედ თურმე რუსეთში, დიდის ყინვების დროს, ორლოვის ქალაქ ახლოს, ტრაქტირში, მიშას მოუხდა ქეიფი შვიდ ახალგაზდა სემინარისტთან, რომელნიც დღესასწაულობდნენ ახლად სწავლის გათავებას და მიშაც, როგორც მოქეიფე კაცი, თან წამოეყვანათ. ღვინო ბლომად გაესაღებინათ და როდესაც შეზარხოშებულიყვნენ, დაეპირათ შინ დაბრუნება. მიშა თურმე მკვდარივით უგონოდ მთვრალი ეგდო. შვიდ კაცს ერთის მარხილის მეტი არა ჰქონოდათ; რა ექნათ უგონო გვამისთვის? ერთი ახალგაზდა აღტაცებით მისცემოდა კლასიკურ ისტორიის მოგონებას და ეთქვა,—რომ მიშა ფეხებით მარხილზედ მიებათ სწორედ ისე, როგორც ჰექტორი მიაბეს ახილევსის ეტლსა! ამხანაგებს ეს აზრი მოსწონებოდათ... მიშა ეთრიათ ზურგზე თითქმის ორი ვერსი ტრაქტირიდამ ქალაქამდის ოღრო-ჩოღრო გზაზე მარხილზე მიბმული, ფეხებ-აშვერილი და უკან თოვლში თავ-გადავარდნილი. არაფერი არა სტკენოდა-რა, არც კი დაეხველა თურმე მიშას. აი რა საოცარის აგებულებისა იყო!

V

მიშა კავკასიიდამ პირდაპირ მოსკოვში მოვიდა მასრებიან ჩერქეზკით, ხანჯლით და მაღალის ფაფახით. თუმცა სამხედ-

რო სამსახურიდამ დაეთხოვათ, რადგან თავის დროზე ბინაზე არ მისულიყო, მაინც სიკვდილამდის ამ ტანისამოსს არ იშორებდა. მოსკოვში მნახა მე და ცოტა ფულიც ისესხა... ამ დღიდამ იწყობა მისი უბინაობა და აქეთ-იქით თრევა. უცბად გაქქრებოდა და მოულოდნელად გამოჩნდებოდა. დაიწყო მშვენივრად დაწერილის წერილების გზავნა და ვის არ უგზავნიდა ამ წერილებს: მიტროპოლიტს, მეჯინიბეებს, ზებიებს! ნაცნობსა და უცნობს—ყველას აწვებოდა, მაგრამ თავს არ იმცირებდა და მართებულად იქცევოდა. ყოველთვის მხიარული და სასიამოვნო სახე ჰქონდა, მხოლოდ არყის სუნი არა შორდებოდა და ტანიდამ კავკასიურს ტანისამოსს არ იხდიდა, თუმცა თანდათან უფრო ეფხრიწებოდა. მოწყალების თხოვნის დროს მიშა წამოწითლდებოდა ხოლმე ღ ღიმილით იტყოდა: «მომცემთ, ღმერთი დაგიმადლებთ, ღირსი არა ვარ! არ მომცემთ, ეგეც თქვენი ნებაა, სულაც არ მეწყინება. ღმერთი მოწყალეა, თავს დავირჩენ როგორმე! ჩემზე ღარიბებიც და ჩემზე ღირსეულნიც ბევრნი არიან, მალიან ბევრნი არიან!» მიშას უფრო ქალები თანაუგრძნობდენ; შებრალებას ადვილად უღვიძებდა გულში. ნუ კი გეგონებათ, რომ უკან დევნით და არშიყობით!... სულაც არა: ის მალიან მორცხვი იყო. არ ვიცი, ეს რას უნდა დაბრალდეს—ჩამომავლობით გულ-გრილობას, თუ ამაშიაც ეტყობოდა, რომ ავი არავისთვის უნდოდა და ქალებთან საქმის დაჭერა იმათი შეურაცხება ეგონა. ერთის სიტყვით ქალებს თავაზიანად და მორიდებით ეკიდებოდა. ქალები კარგად ჰხვდებოდენ როგორც იყო საქმე და ამიტომ უფრო ებრალებოდათ; ყოველთვის ხელს უმართავდენ, სანამ საზარელმა სიმთვრალემ და თავზედ ხელ-აღებულობამ არ გაამშორა იგინი.

მიშამ დაჰკარგა ყოველი მორიდება, თან-და-თან თავის

დამდაბლებას შეეჩვია; ერთხელ იქამდის მიაღწია, რომ ერთს თავად-აზნაურთა შესაკრებელ ალაგას ყულაბი დაადგმევინა და ზედ დააწერა: ვისაც ტასტის აზნაურ-შვილის პოლტიოვის ცხვირში წკიპარტის გაკვრა ესახელება, გთხოვთ ამ ყულაბში ერთი მანათი ჩასდოთ! რასაკვირველია, ამ სეირის ნახვის მსურველნი ბევრნი გამოჩნდებოდნენ. მართალია, რომ მიშამ ერთი მათგანი კინაღამ დაალრჩო და მერე კიდევ ბოდიშიც მოასხდევინა, რადგან ყულაბში ერთი მანეთი ჩასდო და ცხვირში კი ორჯერ ამოჰკრა წკიპარტი. ისიც მართალია, რომ მოგროვილ ფულებიდამ ნახევარი ღარიბ-ღატაკებს დაურიგა... მაგრამ ეს მაინც საზარელი თავის დამცირება იყო.

მიშა ერთხელ მოგზაურობის დროს მიადგა თურმე თავის მამა-პაპეულ მამულს, რომელიც ისე იაფად ჩაეგდო ხელში გაიძვერა ვაჭარსა. ვაჭარი შინ ყოფილიყო, მაგრამ როცა შეეტყო ადრინდელ მებატონის მოსვლა, რომელიც ეხლა უბინავო მოტანტალედ გამხდარიყო, ებძანა, არ შემოუშვათ სახლში და თუ წინააღმდეგობას გასწევდა, პანღურიც ამოუკრათ. მიშას გამოეცხადა რომ მე თითონ აღარ შევალ საზიზღარ გაცის ყოფნით წაპილწულ სახლში და გაგდებასაც ვერავინ გამიბედავსო. მე ეკლესიის გალავანში წასვლა მინდა მამი-ჩემის საფლავის თაყვანის-საცემლადაო.—ისეც მოიქცა. ეკლესიის გალავანში მიშასთან მისულიყო ადრინდელი მისი ბებერი ლალა. ვაჭარს ბერი-კაცი თურმე სახლიდამ გაეგდო და არც საცხოვრებელი მიეცა; მას აქეთ თურმე ის მადლის გულისთვის ვიღაც გლეხის ბოსელში იდგა. მიშა ისე ცოტა ხანს იყო ბატონად თავის მამულში, რომ სიყვარულს ვერ ჩაუნერგავდა საყმოს გულში, მაგრამ მაინც მოხუცმა ვერ მოითმინა და რამწამს შეიტყო თავის ბატონიშვილის მოსვლა, მაშინვე გასწია

ეკლესიის გალავანში და იქ ნახა მიშა დედ-მამის საფლავთან
მჯდომი! ძველებურად აკოცა ხელზე და თვალებიც ცრემლე-
ბით აევსო, როდესაც თავის გაზრდილის სათუთს ტანზედ
ძონძები დაინახა. მიშა დიდ ხანს ხმა-ამოუღებლივ უყუ-
რებდა თურმე ბებერს და მერე სთქვა:—ტიმოთე!—რას მიბ-
ძანებთ, ბატონო? შეკრთომით ეკითხა ტიმოთეს.—ნიჩაბი არა
გაქვს?—გიშოვით... ბატონო, მიხეილ ანდრეიჩ, მაგრამ რადა
გნებავთ?—მინდა ამ ადგილას საფლავი მოვითხარო და საუ-
კუნოდ შიგ ჩავწვე ჩემს დედ-მამასთან ერთად. ქვეყანაზე ამის
მეტი ბინა არ დამრჩენია. მომიტანე ნიჩაბი!—ბატონი ბძან-
დებით, ეთქვა ტიმოთეს და მართლადაც მალე ეშოვა ნიჩაბი.
მიშა მაშინვე შესდგომოდა მიწის თხრას; ტიმოთე გვერდზე
სდგომოდა, თავი ხელებზე დაებჯინა და იმეორებდა:—«ქვე-
ყანაზე ამის მეტი რაღა ბინა დაგვრჩენია, ბატონო!..» მიშა
შეუსვენებლივ სთხრიდა ორმოს დ ხანდისხან ამბობდა:—«არა
ღირს ქვეყანაზე ცხოვრება, განა, ტიმოთე?»—არა ღირს ბა-
ტონო. ორმოს თან-და-თან სიღრმე ემატებოდა. მუშებს და-
ენახათ მიშას გაჩქარებული მუშაობა და ახალ მებატონისთვის
შეეტყობინებინათ. ვაჭარი ჯერ ძალიან გაჯავრებულიყო და
მოენდომნა პოლიციის მოხმობა ამ გვარის ღვთის წინააღმდე-
გობისათვის; მაგრამ მერე მოეაზრა, რომ ამისთანა დამთხვე-
ულებთან საქმის დაჭერამ სკანდალში არ გამაბასო და თითონ-
ვე წასულიყო ეკლესიის გალავანში. მისულიყო თუ არა ახ-
ლო, მძიმედ თავი დაეკრა მიშასთვის, რომელიც ფრიად გულ-
მოდგინედ მუშაობდა. მიშა თითონ ვერა ჰხედავდა თავის მო-
ადგილეს და განეგრძო მიწის თხრა. «მიხაილ ანდრეიჩ, ერთი
შემატყობინეთ, რას ჩადიხართ აქა?» ეთქვა იმ გაიძვერა ვა-
ჭარს.—ვერა ჰხედავთ — საფლავს ვითხრი. «მერე რად გინ-

დათ?»—იმათ, რომ აღარ მინდა სიცოცხლე. ვაჭარს განცვიფრებით ხელები გაეპარჭყა: «როგორ თუ აღარ გინდათ სიცოცხლე?» მიშას მრისხანედ გადახედა იმისთვის და ეთქვა:—გაგიკვირდათ? მაგის მიზეზი თითონ თქვენ არა ხართ? თქვენა? შენ არა ხარ? შენ არ იყავ, იუდავ, რომ ყმაწვილი ჩამიგდე ხელში და გამცარცვე? შენ არა ხარ, რომ გლეხებს ტყავს აძრობ! ამ უძლურს შენ არ წაართვი ლუკმა-პური? განა შენ არ იყავ?... ღმერთო ჩემო! ყველგან უსამართლობაა, ბოროტობა და ხალხის ჩაგვრა... დეე, ყველაფერი დაიღუპოს და მეც დავიღუპო! აღარ მინდა ვიცოცხლო, აღარ მინდა რუსეთში სიცოცხლე! და მიშას უფრო აეჩქარებინა მუშაობაში ხელი.

—«დასწყევლოს ღმერთმა, რას ჩადის! ეფიქრა ვაჭარს.—იქნება მართლა თავი დაიმარხოსო!» და დაეწყო ხელახლად ლაპარაკი: «მიხაილ ანდრეიჩ, გამიგონეთ, მე თქვენთან სწორედ დამნაშავე ვარ; თქვენი მოსვლა არ შემატყობინეს.» მაშ, ისევ მიწასა სთხრიდა. «განა ასე იმედის გადაწყვეტა შეიძლება?» მიშა არ იშლიდა მუშაობას, მიწას ზედ ფეხებზედ აყრიდა ვაჭარს და თან ეუბნებოდა:—აჰა, ესეც შენ, მაწა-ჭამიავ! «დამიჯერეთ, მაგას ნუ ჩადიხართ! ინებეთ ჩემთან შემოსვლა, დაისვენეთ და ისაუზმეთ!» მიშას ამ სიტყვაზე თავი მაღლა აეღო.—ეხლა მეუბნები მაგას!.. მერე არაყს დამალევინებ? ვაჭარს გახარებოდა: «მაგას რაღა თქმა უნდა.»—ტიმოთესაც დაპატიჟებ? «რატომ... ისიც მოვიდეს.» მიშა ჩაფიქრებულიყო.—აქ მიყურე, ეთქვა იმას,—შენ ხომ მთელი მამული ხელიდამ გამომაცალე... ნუ გგონია ერთის ბოთლით გადამრჩე! «მოსვენებით ბძანდებოდეთ... ყველაფერს ბევრს ვიშოვით.» მიშას ნიჩბისთვის თავი დაენებებინა, წამომდგარიყო და ეთქვა ბებე-

რის ლალისათვის: — აბა, ტიმოშა, პატივი ვცეთ მასპინძელს. წავიდეთ! «ბატონი ბძანდებით» მიუგო ბერი-კაცს.

სამივ სახლისკენ წასულიყვნენ.

ვაჭარმა იცოდა ვისთან იჭერდა საქმეს. მართალია, მიშას სიტყვა ჩამოართვა, რომ დღეის იქით გლეხებს აღარ შეაწუხებდა, მაგრამ ერთის საათის შემდეგ მიშაც და ტიმოთეც მთვრალები დასტოვდენ იმ ოთახებში, სადაც ჯერ კიდევ ღვთის მოშიშის ანდრეი ნიკოლაიჩის სული დატრიალებდა; პატარა ხანს უკან უგონოდ მთვრალი, მძინარე მიშა ჩააწვინეს პოვოსკაში თავის ფაფახით და ხანჯლით, გაისტუმრეს ოცდა-ხუთ ვერსის სიშორეზე, ქალაქში და ერთ ღობესთან დააგდეს... ტიმოთე რადგან ჯერ კიდევ ფეხზე იდგა, პანღური ჰკრეს და გააგდეს. ბატონის ჯავრი მსახურზედ ამოიყარეს.

VI

დიდი ხანი იყო მიშაზე აღარა გამეგო-რა... ვინ იცის სად დაეთრეოდა. ერთხელ ერთ სტანციაში ვუჯექ სამოვარს და ველოდი ცხენების შებმას. უცბად გაღებულ ფანჯრიდამ შემომესმა ხრინწიანის ხმით ფრანცუზულად ნათქვამი სიტყვები: «ბატონო, შეიბრალეთ გაღატაკებული! კეთილშობილი კაცი..» თავი მაღლა ავიღე... და დავინახე ბეწვ-გაცვეთილი ფაფახი, დამტვრეული მასრები დაგლეჯილ ჩერქესკაზე, ხანჯალი გატეხილ ბუდეში, დასიებული სახე, რომელსაც თავისი ელ-ფერი კიდევ ეტყობოდა და გაწეწილი ხშირი თმა... ღმერთო ჩემო! ეს იყო მიშა! იმას დაეწყო შარა-გზაზე მოწყალების თხოვნა! მე უნებლივ შევკივლე. იმან მაშინვე მიცნო, აჰკანკალდა, პირი

მიიბრუნა და დააპირა წასვლა. მე იმ წუთსავე შევაყენე... მაგრამ რას ვეტყოდი? დარიგებას ხომ არ მოვუყვებოდი?! ხმაამოუღებლივ მივაწოდე ხუთ მანათიანი, იმანაც ჩუმად განკალით გამომტაცა თავის უწმინდურის, მაგრამ მაინც ფუნჩულა ხელებით და მსწრაფლად მიეფარა სახლსა. დიდ ხანს მომინდა ცხენების ლოდინი და ამ ლოდინში მიშას მოულოდნელმა ნახვამ ამირია გულში სევდა და სამწუხარო ფიქრები აღმიძრა; მრცხვენოდა, რომ ისე უნუგეშოდ დავტოვე. ბოლოს შევუდექ ჩემს გზას. როდესაც გავიარე სტანციიდამ ვერს ნახევარი, კაცების ჯგუფა შევამჩნიე, რომელნიც თანაბრის ნაბიჯით რაღაც უცნაურად მიდიოდენ. მალე მივეწიე ამ ხალხს, მაგრამ რა ვნახე! თორმეტიოდე გლახა თავიანთ გუდებით წყვილწყვილად მიდიოდენ სიმღერით და სტვენით; მიშა წინ მიუძღოდა ცეკვით, ფეხების ტყაპუნით და თან რაღაც უაზრო სიმღერას ამბობდა. როგორც კი ჩემი კალიასკა დაინახა, მაშინვე დაიყვირა: ურა! შედექით—გასწორდით! ჩემო გვარდიავ! გლახებმაც შეჰკივლეს და შედგნენ. თითონ კი თავისებურის ხარხარით ამოხტა კალიასკის საფეხურზე და გაჰკივლა: ურა!—ეს რა ამბავია? ვკითხე გაკვირვებით.—ესა? მე ამათი უფროსი გახლავარ, ეს ჩემი ჯარია—სულ გლახები არიან, ღვთის ხალხნი, ჩემი მეგობრები და ამხანაგები! თქვენის წყალობით ყველამ არაყი გადაჰკრა და ეხლა შევექცევით, ვმხიარულობთ!.. ბიძიავ! მხოლოდ გლახებთან, ამ ღვთის ხალხთან, შეიძლება სულის მობრუნება... ღმერთს გეფიცები, მართალს გამბობ! მე ხმა არ გავეც.. ეხლა ის ისეთი კეთილი მეჩვენა, იმის ყმაწვილურ სახეზე ისეთი გულ-წრფელობა იყო გამოხატული... უცბად რაღაც ფიქრმა გამიელვა თავში, მერე გულს შემგერა და წამოვიძახე: ჩამიჯექ კალიასკაში! მიშამ გაიკვირვა...—რას ამ-

ზობთ? როგორ თუ კალისკაში ჩავიჯდეთ?—ჩამიჯექ მეთქი, აი აქ დაჯექ, ვუთხარ გამეორებით; მინდა მოგელაპარაკო.

—დაჯექ რაღა!... წავიდეთ ერთად.

—თქვენს ბძანებას როგორ არ ავასრულებ. მერე მიშა მიუბრუნდა გლახებს, ფაფახი მოიხადა და მძიმედ თავის დაკვრით უთხრა: ჩემო საყვარელო მეგობრებო, პატივ-ცემულო ამხანაგებო, მშვიდობით! ნახვამდის! გლახები გაოცდენ.. მიშა ჩაჯდა ჩემს კალისკაში. მე ვუბძენე კუჩერს გაერეკა ცხენები და გავქანდით.

მიშასთვის აი რა მქონდა სათქმელი: მე მინდოდა ის წამეყვანა ჩემს მამულში, ჩემს სოფლის სახლში, რომელიც ოცდა-ათ ვერსზე იყო სტანციიდამ და როგორმე, თუ კი შესაძლო იქნებოდა გადამერჩინა აქა-იქ მოტანტალობიდამ. ამიტომაც ვუთხარ: «მიშა, დამიგდე ყური. გინდა დასახლდე ჩემთან?... საზრუნველი არა გექნება-რა, ტანისამოსსაც ახალს შეგიკერავთ, საცვალსაც გიშოვით, ჯიბის ფულიც საკმაოდ გექნება თამბაქოსთვის და სხვა წვრილმანისთვის, მხოლოდ ერთი პირობა კი მომეც: არაყი არ დალიო!... თანახმა ხარ?» მიშა სიხარულით გაოცდა, დააჭყიტა თვალები, წამოწითლდა, მომვარდა, დამიწყო მხარზე კოცნა და აღელვებით მითხრა:—ბიძიავ... ჩემო კეთილ-მოსურნევ... ღმერთმა გიშველოთ!.... ბოლოს დაიწყო ტირილი ძ თავის ფაფახით იწმენდდა ცხვირპირს. «არ დაივიწყო ჩვენი პირობა. არაყი არ უნდა დალიო!» მოვაგონე მე.—ღმერთმა დასწყევლოს ეგ არაყი! შემომძახა იმან და ერთი ისეთი გაიქნია ხელები, რომ ამ მოძრაობის დროს საშინელი არყის სუნი ვიგრძენ, რომელიც არას დროს არა შორდებოდა.. ბიძიავ, რომ იცოდეთ ჩემი უბედურება... ნაღვლელი და უწყალო ბედის-წერა კაცს რას არ გააბედვინებს...

ეხლა კი, გეფიცებით, მერწმუნეთ, სრულებით გამოვიცვლები, აი ნახავთ... ბიძიავ, მე რომ ტყუილი ლაპარაკი არ ვიცი, თუ გინდა ჰკითხეთ, ვისაც გინდათ... მე პატიოსანი კაცი ვარ, ბიძიავ, თუმცა უბედურება არ მეშვება. არავისგან აღერსი არ მინახავს..

მიშა მოჰყვა ქვითქვითით ტირილს. ვეცადე ნუგეშის ცემას და მეცადინეობამ უნაყოფოდ არ ჩამიარა. მიშა დიდი ხნის ჩაძინებული იყო მკვდარივით ჩემს მუხლებზე, როდესაც სოფელში შევედით.

VII

მიშას ცალკე ოთახი დავუნიშნეთ და მაშინვე აბანოში გავგზავნეთ; ეს აუცილებლად საჭირო იყო. იმის ტანისამოსი, ხანჯალი, ფაფახი და დაგლეჯილი ჩექმები სულ ერთიანად ბნელ ოთახში შეჰყარეს, იმას კი ჩავაცვით სუფთა საცვალი და ჩემი გამონაცვალი ტანისამოსი, რომელიც ტანზე კარგა მოუვიდა. როდესაც პურის საჭმელად შემოვიდა გასუფთავებული, ხელ-პირ-დაბანილი და გამხნევებული, მაშინ ისე ბედნიერი და გულ-ჩვილი მეჩვენა და სახე ისე მადლობით და მხიარულად უბრწყინავდა, რომ მეც ლმობიერება და მხიარულება ვიგრძენ.. სახე სრულებით გამოსცვლოდა... ეხლა უფრო იმ თორმეტის წლის ბავშვსა ჰგვანდა, რომელიც აღდგომას, ზიარების შემდეგ, მორთული და მოკმაზული მივა ხოლმე დედ-მამასთან ქრისტეს აღდგომის მისალოცავად. მიშა წამ და-უწუმ ფრთხილად და იჭვიანად დასცქეროდა თავის თავს და ამბობდა: ეს რა ბედში ჩავვარდი? ზეცას ხომ არა

ვარ? მეორე დღეს გამომიცხადა, რომ აღტაცებით მთელი ღამე არა სძინებია. იმ დროს ჩემთან ერთად სცხოვრობდენ მამიდა-ჩემი თავის დის-წულით; ორივეს ძალიან გაუკვირდათ მიშას მოსვლა რომ შეიტყეს: ვერ მოეფიქრებინათ, თუ როგორ მოვიპატიჟე ამისთანა კაცი! მაშინ მიშას ყველანი ძალიან ცუდად იხსენიებდენ; მაგრამ ვიცოდი იმის ზრდილობიანი თავის-დაჭერა ქალებთან და იმედიც მქონდა, როგორც დამპირდა, გამოიცვლებოდა. მართლადაც ორის დღის განმავლობაში არამც თუ გამოიცვალა, სწორედ გამაოცა; ქალები ხომ აღტაცებაში მოიყვანა. ბებერს მამიდას ქაღალდს ეთამაშებოდა, ძაფის ამოხვევას შველოდა და ქაღალდის გაშლას ასწავლიდა; უკრავდა ხოლმე ფორტეპიანოზე და ახალგაზდა ქალი, რომელსაც ცოტაოდენ ხმა ჰქონდა, დამღეროდა; უკითხავდა ამას რუსულ და ფრანცუზულ ლექსებს, უამბობდა ორივეს მხიარულს, მაგრამ მართებულს ანდაზებს და სხვა-და-სხვა ამბებს. ერთის სიტყვით ისე ასიამოვნებდა რომ ისინი ხშირად გაოცებულნი რჩებოდენ და ბებერმა ერთხელ კიდეც მითხრა:—აბა, ადამიანები რა უსამართლონი არიან... რასა არ ლაპარაკობდენ მაგაზე... ეგ კი რა მშვიდი და თავაზიანი ყოფილა... საწყალი მიშა! მართალია, სადილზე «საწყალი მიშა» ღვინოსა და არაყს რომ დაინახავდა, ტუჩების ცმაცურს მოჰყვებოდა, მაგრამ, როგორც კი დავემუქრებოდი, მაღლა აიხედავდა ხოლმე, ხელს გულთან მიიტანდა და იტყოდა:—აკი დავიფიცე... ხშირად მარწმუნებდა:—ეხლა ხელახლად დავიბადეო..... ღმერთმა ჰქნას, ვფიქრობდი მე... მაგრამ ხან-გრძლივი არ იყო იმის ხასიათის ცვლილება.

ორი დღე მხიარულად ტიტინებდა, მაგრამ მესამე დღეს როგორღაც ჩაჩუმდა, თუმცა ქალებს არა შორდებოდა და დროს

ატარებინებდა. წამ-და-უწუმ ფიქრი და ნაღველი გადაჰკრავდა იმის პირის-სახეს. ფერიც წაუვიდოდა ხოლმე.—ავადა ხარ? ვკითხე. —ჰო, ცოტათი თავი მტკივა, მიპასუხა იმან. მეოთხე დღეს სრულებით ხმა არ ამოუღია, კუთხეში იჯდა ნაღვლიანად თავჩაკიდული და ისე შეწუხებული გამოიყურებოდა, რომ ქალებს შეეცოდათ და ეხლა ესენი ცდილობდენ თავიანთ მხრით გაემხიარულებინათ. სადილზე არასა სჭამდა, თეფშში ჩაიყურებოდა და პურს ასორსოლავებდა. მეოთხე დღეს ქალებმა შებრალების მაგივრად იჭვით და თითქმის შიშით დაუწყეს ყურება. მიშა გაგარეულდა, ადამიანებს არ ეკარებოდა, კედელ-კედელ, ჩუმ-ჩუმად დაძვრებოდა, თითქო ვისმესი ეშინოდა, ხან უეცრად მიიხედავდა, ეგონა რომ ვიღაც ეძახის. სადღა იყო იმის ელ-ფერი? თითქო სახეზე მიწა შეეყარათ.—შენ კიდევ შეუძლოთ ხარ? ვკითხე მე.—არა, კარგადა ვარ, მოკლედ მიპასუხა იმან.—უეჭველია, მოგწყინდა აქ ყოფნა?—რად მომწყინდებოდა! მითხრაა ესა, თან პირი მიიბრუნა და თვალი ამარიდა.—მაშ მწუხარება დაგძლევდა? ამაზე პასუხი არ გამცა. ერთმა დღემ კიდევ გაიარა. მეორე დილას მამიდა-ჩემი შემომეჭრა კაბინეთში და აღელვებით გამომიცხადა, რომ თუ მიშა დღეის იქით დარჩება ჩემს სახლში, თითონ იძულებული იქნება წავიდეს აქედამ.—რათა? ვკითხე მე;—იმიტომ, რომ ერთად ვერ მოვთავსდებით... ის კაცი კი არ არის, მგელია, არ იკბინება, თორემ სწორედ მგელია. ჩუმად დადის, დადის და მერე ისე ერთბაშად მხეცურად გადმოგვხედავს ხოლმე.. ხომ იცი, კატოს რა სუსტი ნერვები აქვს.. პირველად ისე თანაუგრძნობდა მიშას... ეხლა კატოს გულისთვის ვშიშობ... და თითონ მეც მეშინიან.. არ ვიცოდი, რა მეთქვა მამიდა-ჩემისათვის. ხომ ვერ გავაგდებდი ჩემგანვე დაპატიჟებულ მიშას.

ამ გაჭირვებიდამ თითონ მიშამ დამიხსნა.

იმავე დღეს, ჯერ კაბინეთიდამ არ გამოვსულვიყავ, ერთბაშად მომესმა მრისხანე და მიყრუებული ხმა:—ნიკოლაი ნიკოლაიჩ! ნიკოლაი ნიკოლაიჩ! მაშინვე მოვიხედე; კარებთან იდგა მიშა საზარლად გამოცვლილის და გალურჯებულის სახით. —ნიკოლაი ნიკოლაიჩ! გაიმეორა იმან. (ბიძიას აღარ მეძახდა) —რა გინდა?—გამისტუმრეთ... ახლავ! —რაო? —გამისტუმრეთ, თორემ უბედურებას მოვახდენ, ან სახლს გადგიწვამთ, ან ვისმეს მოვკლამ. მიშა ერთბაშად აკანკალდა—უბძანეთ დამიბრუნონ ჩემი ტანისამოსი და წამიყვანონ შარა-გზამდის, თუ შეიძლება, ცოტა გზის ფულიც მიბოძეთ.—განა არ მოგწონს აქ ცხოვრება? მოვუყევი მე, მაგრამ იმან ყვირილით შემომძახა:—არ შემიძლიან ამ ნაირად ცხოვრება! ასე მოსვენებით ვერ ვიცხოვრებ, თქვენს დაწყევლილს ბატონების სახლში! მეზიზღება, მრცხვენიან ასე უსაქმოდ ცხოვრება! მიკვირს, თქვენ როგორღა იტანთ ამ საძაგლობას!..—ერთის სიტყვით სთქვი, რომ უარაყოდ ვერ გასძლებ... მივუგე მე. იმან პასუხად ხელმეორედ დამიყვირა: — ჰო, ეგრეა, ეგრე! ოღონდ გამისტუმრეთ კი ჩემს ძმებთან, მეგობრებთან, ჩემს გლახებთან!... უნდა გავეცალო თქვენს საძაგელ და საზიზღარ კეთილშობილურ მოდგმას! მინდოდა ფიცი მომეგონებინა, მაგრამ მიშას შესაზარმა შესხედულობამ, ხრინწიანმა ხმამ და მთელის იმის სხეულის კანკალმა ისე შემაშინა, რომ მაშინვე მოვინდომე თავიდამ მოშორება. გამოვუცხადე, რომ მიიღებს თავის ადრინდელ ტანისამოსს და პოვოსკასაც შევუბმევინებ; მერე ამოვიღე ყუთიდამ ოც-და-ხუთ მანათიანი და სტოლზე დავსდე. ის იყო მიშა მუქარით მიახლოვდებოდა, მაგრამ რაკი ფული დაინახა, უეცრად შედგა; სახე მოეღრიხა, თითქო [illegible], გულ-

ში ხელი იკრა, თვალებიდამ ცრემლები გადმოჰყარა და წაი-ბუტბუტა:—ბიძია, ჩემო ანგელოზო! მე ხომ დალუპული კა-ცი ვარ. გმადლობ! გმადლობ! სტაცა ფულს ხელი და გაჰ-კურცხლა.

ერთის საათის შემდეგ მიშა იჯდა პოვოსკაში თავის ჩერ-ქეზულის ტანისამოსით მხიარულად და თავისისავე ქლ-ფე-რით; რომელსაც პოვოსკამ გასწია, იმან დაუსტვინა, თავიდამ ფაფახი მოიგლიჯა და მძიმედ ყველას თავი დაგვიკრა. წასვლის წინად დიდ ხანს მეხვევოდა: «ჩემო კეთილის მოსურნე, ჩემო პატრონო, მე აღარა მეშველება-რა!» ქალებსაც გამოესალმა, ხელები დაჰკოცნა და დაჩოქილი ღვთის გულისთვის ბოდიშს ითხოვდა! კატო მასუკან ნამტირალევი ვნახე.

კუჩერი დაბრუნდა და შემატყობინა, რომ მიშა მიეყვანა შარა-გზის დუქნამდის. იქ ის ყველას გამასპინძლებოდა და თი-თონაც ბევრის არყის სმით გონება დაჰკარგოდა.

მას აქეთ აღარ შევხვედრივარ მიშას, მაგრამ იმის ბედ-იღბალი შემდეგმა შემთხვევამ შემატყობინა.

VIII

გაიარა სამმა წელიწადმა; მე იქვე ჩემს სოფელში ვცხოვ-რობდი. ერთხელ ბიჭმა მითხრა, რომ პოლტიოვის ცოლს უნ-და თქვენი ნახვაო. ნათესავებში ამ გვაროვნობის ქალი არავინ მეგულებოდა და ბიჭიც დაცინვით იღიმებოდა; გაკვირვებით გა-დავხედე მსახურს; იმან მაშინვე ამიხსნა, რომ ვიღაც ახალ-გაზრდა ქალია, ღარიბად ჩაცმული, პოვოსკით მოვიდა და ცხე-ნებიც თითონ დაჰყავდაო. მეც ვუბძანე პოლტიოვის ცოლი შემოეყვანათ ჩემს კაბინეთში.

თვალ-წინ წამომიდგა ოც-და-ხუთის წლის ქალი, გლეხურად ჩაცმული, თავშალ-მოხვეული. ის იდგა თავ-ჩაღუნული. იმისი უბრალო, მრგვალი სახე არ იყო უსიამოვნო და გამოიყურებოდა ნაღვლიანად, მიხვრა-მოხვრა გაუბედავი ჰქონდა.

— თქვენა ბძანდებით პოლტიოვის ცოლი? ვკითხე მე და ვთხოვე დამჯდარიყო.

— დიაღ, მე გახლავართ, მიპასუხა იმან მდაბალის ხმით, ფეხზედვე დგომით. — თქვენის ბიძაშვილის მიხაილ ანდრეიჩის პოლტიოვის ქვრივი გახლავართ.

— მიხაილ ანდრეიჩი გარდიცვალა განა? დიდი ხანია? გთხოვთ დაბძანდეთ.

— მეორე თვე გახლავთ, სთქვა ქალმა და ჩამოჯდა სკამზე.

— დიდი ხანია, რაც ის შეირთეთ?

— მხოლოდ წელიწადი ვიცხოვრეთ ერთად.

— საიდამ მოდიხართ?

— ტულიდამ... იქ ერთი სოფელი გახლავთ. იქაურის დიაკვნის ქალი გახლავართ. მე და მიხაილ ანდრეიჩი იქ ვცხოვრობდით... ის მამი-ჩემის სახლში იდგა. ჩვენ მარტო ერთი წელიწადი გავატარეთ ერთად.

ახალგაზდა დედა-კაცს ტუჩები აუკანკალდა, ხელები პირთან მიიტანა, თითქო აპირებდა ტირილს, მაგრამ, თავის-თავს დასძლია, წაახველა და განაგრძო ლაპარაკი:

— განსვენებულ მიხაილ ანდრეიჩმა სიკვდილის წინად სიტყვა ჩამომართვა, რომ თქვენა გნახოთ; «უეჭველად ნახეო» მითხრა. დამაბარა, მადლობა გადაგიხადოთ თქვენის სიკეთისთვის და გადმოგცეთ აი ეს... (ჯიბიდამ ამოიღო ქაღალდში რაღაც შეხვეული) აი ეს ნივთი, რომელსაც ის თავის დღეში არ იშორებდა... და მთხოვა გითხრათ: თუ იკადრებთ, მიი-

ღეთ ეს იმისაგან სახსოვრად... «სხვა ვერაფრით ვერ შევიძლებ იმათ სიკეთის გადახდასაო...»

ქალმა გახვეულ ქაღალდიდამ ამოიღო პაწაწა ვერცხლის ჯამი, რომელზედაც მიშას დედის სახელი ეწერა, ამ პაწაწა ჯამს ხშირად ვხედავდი მიშას ხელში და ერთხელ კიდეც მითხრა ვიღაც საწყალზე: ის სულ ღარიბ-ღატაკია, რადგან არაფერი მოეპოვება, მე ეს მაინც მაბადია.

ჯამი გამოვართვი, მადლობა ვუთხარ და ვკითხე: რა იყო მიშას სიკვდილის მიზეზი? უეჭველია..

აქ ენა მოვიკვნიტე და სიტყვა აღარ დავასრულე... მაგრამ ახალგაზრდა ქალი მიხვდა ჩემს აზრს; სწრაფად შემომხედა, მერე თავი ჩაღუნა, ნაღვლიანად გაიღიმა და მაშინვე მოიგო: აჰ! სულაც არა! რაც მე მიცნა, არაყს თავი დაანება... მხოლოდ ჯან-მთელობა აღარა ჰქონდა... რაც არაყს თავი დაანება, მაშინვე ავად-მყოფობა გამოაჩნდა. ისეთი მორიდებული და ჩუმი შეიქნა; ცდილობდა მამი-ჩემისთვის ხელი შეეწყო, ან შინ, ან გარეთ საქმე გაეკეთებინა, ან იმის ბოსტანში ემუშავნა, ან სხვაფრივ დახმარებოდა... სულ არ დასდევდა თავის კეთილშობილობას და არაფერსა თაკილობდა. მაგრამ ჯანი სადღა ჰქონდა? მერე ცდილობდა მწერლად შესულიყო,—თქვენ ხომ მოგეხსენებათ რა კალმის პატრონიც იყო—მაგრამ ხელები უკანკალებდა—კალამს რიგიანად ვეღარ იჭერდა... ყოველთვის თავის-თავს აყვედრიდა: «განაზებული და უშნო ვარ. არავისთვის ხელი არ გამიმართამს, სიკეთე არ მიქნია, არ მიშრომიაო!» თავს იკლავდა და სტიროდა, სახლს ვერა ვუშველე-რაო; საწყლები შრომობენ, ოფლში იწურებიანო—და ჩვენ რას ვაკეთებთო!... ოჰ, ნიკოლაი ნიკოლაიჩ, ის კარ-

გი კაცი იყო... მეც ვუყვარდი... და ისიც ძალიან მიყვარდა... ოჰ, უკაცრავად...

ახალგაზდა დედა-კაცმა ვეღარ შეიმაგრა თავი, დაიწყო ტირილი. მინდოდა ნუგეში მეცა და არ ვიცოდი კი, როგორ.

— შვილი ხომ არა გყავთ იმისაგან? ვკითხე მე ბოლოს.

— არა, არ დამრჩენია... მიპასუხა ამოხვრით—ნეტავი არ იქნებოდა! და უფრო მოუხშირა ტირილს.

მიშას წუთი-სოფელი ამ თრევაში და ტანტალში გათავდა, სთქვა დასასრულს ბერი-კაცმა პ—მ;—თქვენ, ბატონებო, რა-საკვირველია დამეთანხმებით, რომ მიშას სამართლიანად ვუწო-დებ თავზედ ხელ-აღებულს; მაგრამ იმაზედაც დამეთანხმებით, რომ ის არა ჰგავდა ეხლანდელ თავზედ ხელ-აღებულებს, თუმ-ცა ზოგიერთი ფილოსოფოსი ამათში დიდს მსგავსებას იპო-ვის. ერთნიც და მეორენიც გამზადებულნი არიან თავი გასწი-რონ; სევდა და ცხოვრების უკმაყოფილება არ აზოგვინებს ამათ თავს. საიდამ ჩნდება ეს სენი, ან რა არის ამის მიზე-ზი, მივანდოთ ფილოსოფოსებს, დეე იმათ გამოიკვლიონ.

ანას. თუმანიშვილისა.

დედოფალი.

მიჯნურობა სხვა რამეა, არ სიძვისა დასადარი;
იგი სხვაა, სიძვა სხვაა, შუა უზის დიდი მძღვარი.

რუსთაველი.

სდგას მეფის წინა მშვენიერი ვინმე ასული,
მის ტოლი ტურფა ამ ქვეყანას არვის უნახავს;
სდგას, ბროლის მკერდზე თავ-მოხრილი, სევდით მოცული,
შავს წამწამზედა მარგალიტი ცრემლი უბრწყინავს.
მეფე ჭაბუკი მას მშვენიერს თვალებში ჩამჰყერს,
პირველ უღელავს სიყვარულით ჭაბუკი გული,
ახლის, უცნობის, დიდის გრძნობით უთრთის და უმგერს,
მშვენიერს არსში თვის არსით არს მთლად დაკარგული.
ეტყვის,—რა გსურსო, შენი არის ჩემი დიდება,
ჩემი სიმდიდრე და საუნჯე შენთ ხელთ იქნება.
დიდსა პალატსა, თვალთ წამტაცსა მე შენ აგიგებ,
ვერცხლით, ოქროთი, წალკოტებით მას გავაბრწყინებ;
მოგრთამ ძვირფასის მოწეულით, ძვირფასის თვლებით,
რომ შენნი ტოლნი შენ გიმზერდენ შურის თვალებით;
მარგალიტებით, დიბით მორთულს მშვენიერს ტახტზედ
შენ დაგაძინებ, გაგაღვიძებ ჩანგის ტკბილ ხმაზედ;
ოღონდ გიყვარდე, შემიყვარე, ოღონდ ნუ მომკლავ,
ამ ჭაბუკს გულსა სიყვარულით ოღონდ ნუ დასწვავ...

უმამო, უდედო მეფის ტახტზედ მე ვზივარ ობლად
მეფე ერისა—ჩემს ჭაბუკს გულს არვინ ჰყავს ტოლად.

მაგრამ მეფის წინ თავ-მოხრილი, სევდით მოცული
სდგას უპასუხოდ მშვენიერი, ტურფა ასული.

—მაშ რა გსურს, მითხარ, გსურს, ავისხა აბგარ-აბჯრები
და სხვა მეფეზედ წავიყვანო ჩემი ლაშქრები;
ბრძოლისა ველზედ მოვიპოვო გმირთა სახელი
და იმ სახელით მხოლოდ გნახო ტურფა ნათელი?

მაგრამ მეფის წინ თავ-მოხრილი და სევდიანი
სდგას უპასუხოდ მშვენიერი, თვალ-ცრემლიანი.

—მომეც პასუხი; შენი სახე, შენი არსება
გაუყრელია ჩემის არსით, თვალთ არ მშორდება;
ეგ ტურფა სახე რაკი ვნახე, გულს დამრჩა ხატად,
გულს დავიმარხე, შევინახე, ჩემთან არს მარად.
შენ მე ვერ მიცნობ, მე შენ გიცნობ, ვიცი ხარ ვინცა,
შენ ვერ მხედავდი, მე გხედავდი, იყავ სადაცა:
მალვით ტაძარში, როცა იყავ ცაში და ღმერთთან
და ღმერთი იყო თვისის სხივით და მადლით შენთან,—
ღარიბს ქოხშია, როცა ობოლს აკვანს ურწევდი,
და ტკბილის მღერით და ტურფა ხმით ნანას უმღერდი;
სადმე ქუჩაში მივარდნილში, როს ობლებს მშივრებს
ბროლის თითებით პურს უყოფდი, უშრობდი ცრემლებს...
კმარა, შენია ჩემი სკიპტრა, ჩემი პორფირი,
სამეფო ტახტი, მის უფლება და ჩემი ერი.

ბრწყინვალე გვირგვინს უკეთესი მაკლია თვალი,
შენ ხარ ის თვალი, ქალთა თვალი და დედოფალი;
ნუღარ იქნები, რაც აქამდის შენ დღენი განვლე,
ამოდი ჩემს ტახტს, იყავ მეფა, ჩემი მეუღლე!

მშვიდის თვალებით მშვენიერმა შეხედა მეფეს,
წარმოსთქვა:—ჩემთვის ფასი არ აქვს შენს დიდს საუნჯეს!
თუ გსურს, ის იყოს სასყიდელი ჩემის სიწმინდის,
მეფევ, საუნჯე მთლად ქვეყნისა მას ვერ ისყიდის.
ჩემი აკვანი სხვა ნანაზედ დედას ურწია,
ჩემთვის მამა-ჩემს სიმღერის ხმა სხვა უმღერია.
მეფევ, არაფრად მჩანს მე ჯდომაც მეფის ტახტზედა,
თუ მის სიმაღლით არ გარდმოდის მადლი ერზედა.
და თუ მართლა გსურს, ვიყო მეფა შენის ერისა,
მაშ ჯერ მას მიეც, რაც მისია ყოფა ნებისა!
ნუ ანდობ შენს ერს, დიდო მეფევ, მძლავრთა მოხელეთ,
შენი სამეფო შენ და ერმა ერთად განაგეთ;
შენთვის ნუ გინდა ერის შრომა და მის სიმდიდრე.
იმის სიმდიდრე და მის შრომა მასვე ახმარე;
ქვრივი ოხერი შეიწყნარე და შეიბრალე
და დავრდომილი სახლი—არე მას გაუახლე;
მშიერის, ობლის ცრემლთან, მეფევ, ცრემლი აფრქვიე
და ის ობოლი გულს ჩაიკარ და მოეხვიე;
უფსკრულს ჩავარდნილს შიმშილით ნორჩსა ასულსა
ქვეყნის ნათელსა, მის სიცოცხლეს გამოკლებულსა
მიეცი ხელი და უფსკრულით ამოახდინე
და ღვთის ნათლისთვის, კეთილისთვის კვლავ აღადგინე.
ეშურე, მეფევ, მანამ ერი შენ შემოგცქერის,

მინამ მის გული შენთვისა სძგერს და შენთვის არის.
ახლის ცხოვრებით შენი ერი შენ განაცხოველე,—
მაშინ შენი ვარ, მაგრამ, მეფევ, როგორც მეუღლე.
არ დაგიმალავ: როგორც შენ მე, მეც მინახვიხარ,
რად დაგიმალო, როგორც შენ მე, მე შენ მიყვარხარ!

ჭაბუკი მეფე ასულს უმზერს განცვიფრებული;
მიხვდა მის წრფელი ჯერედ ნორჩი და წმინდა გული,
რისთვისაც ღმერთმა მას დაადგა გვირგვინი თავსა,
მიხვდა თვის ტახტის დიდებულის ტვირთსა და ვალსა.
ნათელთ თვალთაგან გადმოსცვივდა ცრემლი ნათელი
და იმ ცრემლისა ღმერთი მაღლით იყო მხედველი.

განვლო ზაფხულმა, შემოდგომამ, განვლო ზამთარმა,
როგორც ოცნებამ, მოჩვენებამ, როგორც სიზმარმა,
და განაცხოველა გაზაფხულმა გული ქვეყნისა,
გამწვანდენ ველნი და მოისმა ხმა ბულბულისა.

მაისის დღეა. ბულბული სტვენს, ნიავი ჰბერავს,
დიდის ქალაქის დიდი ერი იძვრის და ღელავს.
ბრწყინვალე ტახტზედ, მეფის გვერდით ზის დედოფალი,
მას დღით მის ტახტის უკეთესი უფასო თვალი.
ჭაბუკი მეფე მას მშვენიერს თვალებში ჩამზერს,
გული ჭაბუკი სიყვარულით უთრთის და უძგერს.
ისმის ერის ხმა:—«დიდო მეფევ! კვლავ დაგვანახე
ჩვენის დედოფლის, მშვენიერის ნათელი სახე,
რომ შენმა ერმა იმის მზერით კვლავ გაიხაროს,
რომ თავის გულში იგი სახე ღრმად დაიმარხოს.»

გაბძანდა მეფე თვის პალატის მაღალს სარბენსა
და კვლავ აჩვენა თვის საუნჯე—მეფა თვის ერსა,—
თითქმის ჯერ ნორჩი, მაგრამ დედა დიდის სახლობის
დედა მშიერთა, ქვრივ-ოხერთა, დედა ობლების.
უმზერს მას ერი და თვის მეფას თვალს ვერ აშორებს,
მის გრძლად სიცოცხლეს, ბედნიერსა ცათ ღმერთს აბარებს.

შევიდნენ მეფე—დედოფალი ოთახს საწოლსა,
დიბით, ფარჩებით, ყვავილებით მდიდრად მორთულსა.
დედოფალს მკლავი მეფის მხარზედ აქვს მოხვეული;
მეფე ხსნის თითონ, რითაც მეფა არის მორთული.
სპეტაკს გულს-მკერდსა, გულთ წამტაცსა, ბროლს ტანს ეხვევა;
მეფაც მთლად არსით უცნობს, ციურს გრძნობას ეძლევა.
თვალ მიბინდული, ბაგე-ღია და მიღალული,
ნეტარებისა ნათელს ზღვაში არს დაკარგული.
ათრთოლდა უცებ; მეფის მკლავზედ თრთის ვით ფოთოლი,
მშვენიერია; იმ შვენების არსად არს ტოლი.
გათენდა დილა; ბულბული სტვენს, ნიავი ჰბერავს,
მეფის წალკოტი ყვავილებით და ნამით ბრწყინავს,
და იქ ზის მეფა, ფერ-მიმკრთალი, თეთრით მოსილი,
იმ ყვავილებზედ უფრო ტურფა არის ყვავილი.
თვის დიდს სახლობას, ქვრივ-ოხერთა და მშიერს ობლებს
ბროლის თითებით უყოფს საზრდოს და უშრობს ცრემლებს.
მეფე ზის ერთან და განაგებს მასთან სამეფოს,
მაგრამ მის გული ტრფიალებით ელის საღამოს.

ვ. ლ.

ნახული და გაგონილი.

(მგზავრის შენიშვნები).

გარეთ-კახეთი.— სახელმწიფო და საბატონო სოფლები.— სასოფლო მფლობელობა.— რას იხდის სოფელი წელიწადში?— სახელმწიფო მამულების იჯარით გაცემა.—ამის მაგალითი ჩვენში.—არყის ბაჟი და დუქნების გამრავლება.— გამორჩეული სოფელი.—დეპო, ბანკი და სკოლა ერთად მოქცეული.—სასოფლო მასწავლებელს რა შეუძლიან?

იცით რა არის გარეთ-კახეთი? კახელებმა იქნება იცოდენ, მაგრამ არა მგონია ასს იმერელში, ან ქართლელში ერთმა მაინც დაბეჯითებული პასუხი მომიგოს ამ კითხვაზე. მე იმ იმერლებზე და ქართლელებზე კი არ ვამბობ, რომელთაც თავის დღეში წიგნში არ ჩაუხედნიათ და მიეტევებათ, თუ თავიანთ სოფელსა და მაზრას გარდა სხვა სოფლები და მაზრები არც უნახავთ და არც გაუგონიათ,—მე ვამბობ იმ საშუალო და მაღალ სასწავლებლებში გამოვლილებზე, რომელთაც კარგად იციან რამდენი შტატია ჩრდილოეთ-ამერიკის რესპუბლიკაში და რა სახელები ჰქვიანთ, სადა სძევს კუნძული ბორნეო, ან სენეგამბიაში როგორი წარმოებაა ხალხში გავრცელებული და თავიანთ «ცხვირ-წინ» მდებარე ქვეყნის გარემოებაზე კი იმდენი იციან, რამდენიც მე და შენ, მკითხველო....

მინდოდა მეთქვა იაპონიაზე მეთქი, მაგრამ მომაგონდა, რომ ამ გვარი შედარებაც კი არ გამოდგებოდა.

მაშ ვიტყვი ერთის სოფლელის ბავშვის ენით, რომელმაც საგარეჯოს სკოლაში დაფაზე საქართველო დახატა და ასე განმარტა გარეთ-კახეთის მდებარეობა: «კავკასიის მთიდამ სამხრეთისკენ წამოსულია ცივ—გომბორის მთა. ეს მთა ჰყოფს კახეთს ორ-ნაწილად; აღმოსავლეთით არის შიგნით კახეთი, რომელსაც ჩამოუდის მდინარე ალაზანი და დასავლეთით გარეთ-კახეთი მდინარე იორზე. გარეთ-კახეთში შემდეგი სოფლებია: პატარძეული, ნინო-წმინდა, საგარეჯო, გიორგი-წმინდა, ხაშმი, უჯარმა და სხვ.»

გარეთ-კახეთი ბევრით მცირეა შიგნით კახეთზე. აქ არის მხოლოდ ოციოდე სოფელი, მთების კალთებზე მიშენებული და ერთმანერთთან მთიდამ დაშვებულ ხევებით დაყოფილი. ამ ხევებში ზამთარ-ზაფხულ ცარიელის ქვების მეტი არა მოჩანს-რა, მაგრამ გაზაფხულზედ, წყალ-დიდობას, იმოდენა წყალი მოდის, რომ თითქმის შეუძლებელსა ჰხდის უიმისოდაც გაძნელებულს მოგზაურობას რიყიანს ნიადაგზე.

ცოტაა სოფლები ამ მხარეს, მაგრამ რაც არის, სიდიდით შიგნით-კახეთის სოფლებს არ დაუვარდება. ამას გარდა ბევრად მომეტებული ნაწილი ამ სოფლებისა სახელმწიფო ხალხით არის დასახლებული და ბატონ-ყმობის უღელი არ გამოუცდია. ეტყობა კიდეც, რა გავლენაც ჰქონია მათზედ ამ უღლის გამოუცდელობას.

ვისაც გარეთ-კახეთში სურს წასვლა, ნემეცების კოლონიას სართიჭალასთან უნდა დაანებოს თავი კახეთის ფოსტის გზას, გადავიდეს იორს და საგარეჯოს გზას შეუდგეს. ოღრო-ჩოღროა ეს გზა, ზოგან სარწყავ რუებით დახრამული,

ზოგან მეტად რიყიანს ადგილზე გაყვანილი. პირველი სოფელი, რომელიც სართიჭალიდამ ათს ვერსზე მოშორებით მდებარეობს, არის პატარძეული, განივრად გაშლილი ერთს პატარა ხეობაში. ამ სოფელში არ შემხვედრია ჩამოხტომა, მაგრამ ერთის თვალის გადავლებაზედაც ეტყობა, რომ შეძლებული უნდა იყოს: მიწურ სახლებს მეტად სადმე დაინახავთ; მცხოვრებლები ნელ-ნელა ამომძვრალან ქვესკნელიდამ და ხისა და ქვით-კირის შენობებისათვის მიუყვიათ ხელი. პატარძეულში სულ სახელმწიფო ხალხი სცხოვრობს და მამულიც დიდძალი აქვს, რადგან გარშემო კარგა დიდს მანძილზედ სხვა შემცილებელი სოფელი არა არის-რა. პატარძეულში არის სკოლა და ორი თუ სამი დუქანი.

ოთხი-ხუთის ვერსის მოშორებით პატარძეულიდამ გადაბმულია ერთმანერთზედ რამდენიმე დიდი სოფელი აგრეთვე სულ სახელმწიფო ხალხით დასახლებული და დიდის მამულის პატრონი: ნინო-წმინდა, საგარეჯო, გიორგი-წმინდა და სხვ.

რაც პატარძეულზედა ვთქვი, თითქმის იგივე ითქმის ამ სოფლებზედაც. უკეთესი ცხოვრება ეტყობათ მათ მცხოვრებლებს და უფრო მეტი თავის-თავის ყადრიც. ერთი ამის მიზეზთაგანი, რასაკვირველია, ის არის, რომ ესენი ისე შეწუხებულნი არ იყვნენ, როგორც საბატონო გლეხნი და უფრო მეტი შეძლება აქვთ; მაგრამ თუნდა შეძლებაც არა ჰქონდეთ, მაინც უკეთესად სცხოვრებენ და უფრო მეტი მოთხოვნილება აქვთ, უფრო მეტი ნიშან-წყალი ეტყობათ ადამიანობისა. ბევრი საბატონო გლეხია, რომელიც აუარებელის შეძლების პატრონია, მაგრამ ცხოვრებით კი ისე სცხოვრობს, როგორც იმის ღარიბ-ღატაკს მამა-პაპას უცხოვრია; ხშირად ძროხაც ბევრი ჰყავს, ცხენიც, რამდენიმე გუთნეულიც, მაგრამ ისევ

ჩაბნელებულს მიწურში არის ჩამძვრალი, ისევ ჩამუყაყებულს ჭაერსა სუნთქავს და პერანგს და იმის ამხანაგს, მინამ ზედ არ შეალპება, არ გამოიცვლის. სახელმწიფო გლეხი კი, თუნდა ნაკლები შემლებაც ჰქონდეს, ცდილობს მზეზე გამოჰფინოს თავისი ცხოვრება და თითონაც უფრო სუფთად, უფრო კაცურად იცხოვროს. საბატონო გლეხი დაჩვეულა ქონების მალვას, ძველად შეშინებული ყოფილა, ვაი თუ ბევრი რომ გამომაჩნდეს, ბატონმა არ დამიყენოს და წამართვასო და სახელმწიფო კაცს კი ამ გვარის ცარცვა-რბევისა არა შინებია. საბატონო კაცს ეს შიში ძველადგანვე ძვალ-რბილში გასჯდომია და ეხლაც კი ვერ მორდება მას—ძველადგანვე ჩანერგილს სენს ბევრი სამკურნალო საშუალება დასჭირდება, რომ ძირიანად ამოიფხვრას. ეს განსხვავება სახელმწიფო და საბატონო სოფლებს შუა ყველგან ეტყობა ჩვენს ქვეყანას, ქართლში, კახეთში, თუ იმერეთში და ბევრის მაგალითებითაც შეგვეძლო დამტკიცება.

გარეთ-კახეთის სოფლები მამულს საერთოდ მფლობელობენ. ეს იქნება გაუკვირდეთ იმათ, ვისაც ჰგონია, რომ საქართველოში მთელი მამული საკუთრებად არის დაყოფილი, მაგრამ ნამდვილად კი ასე არის. ყოველ სოფელს თავისი მამული აქვს, სხვა სოფლების მამულებთან განსაზღვრული და სოფლელებს, სადაც კი უნდათ სასოფლო მამულში, იქ მოხვნენ. დაყოფა მამულებისა სოფლელებს შორის დრო-გამოშვებით არ არსებობს, მხოლოდ ყველას თავ-თავისი კუნწული აქვს დაჩემებული. რასაკვირველია ამ საქმეშიაც მდიდრები ხშირად სჩაგრავენ ღარიბებს, არ დასდევენ მათ დაჩემებას და თუ მამული მოეწონათ, ადრე გაიტანებენ გუთანს და თავიანთთვისა ხვნენ. ამ მიზეზით ამ გვარს მიწის მფლობელობას დიდი თავში-ცემა და შფოთი მოსდევს, მაგრამ ეს წესი მაინც ბევრად უმჯობესია საკუთრებით მფლობელობაზე. მხოლოდ ამ

წესს ერთი რამ აკლია, რაც სხვა ქვეყნებში, სადაც მიწის საერთო მფლობელობაა, ყველგან არის მიღებული: აკლია დროგამოშვებით საერთო მიწების დაყოფა ფარდებათ მცხოვრებლების რიცხვის კვალობაზედ. ეს რომ იქმნას შემოღებული იმისთანა სოფლებში, სადაც მიწას ამ გვარად მფლობელობენ, ბევრი შფოთი და დავიდარაბა ასცილდებოდათ თავიდამ და უფრო მეტი სამართლიანობაც დამყარდებოდა.

სამართლიანობის დამყარება და თავიდამ აცილება იმისთანა მიზეზებისა, რომელნიც შფოთსა და დავიდარაბას ჰბადვენ მცხოვრებლებში, ძლიერ საჭიროა მეტადრე ამ მხარეში. წარმოიდგინეთ, რომ ეს სოფლები თბილისის მაზრას შეადგენენ და მომრიგებელი მოსამართლეც თბილისში ორმოც-დაათის ვერსტის და კიდევ მეტის სიშორეზედა ჰყავთ. ვინ იცის სულ უბრალო საქმეზედ რამდენი წვალება უნდა გამოიარონ და რამდენი დრო ტყუილად დაჰკარგონ.

სახელმწიფო ხარჯი, ანუ როგორც გლეხები ამბობენ, ფოსტის ფული, ამ სოფლებს საბატონო სოფლებზე მეტი ადევთ. ქართლში, მაგალითად, ბევრგან სახელმწიფო ხარჯი კომლზე ექვსი და ათი შაურია, აქ კი კომლზე თუმანი, და სადაც სკოლებია დაარსებული, იქ კიდევ მანათ-ნახევარია მიმატებული კომლზე. ამ ფულს სოფელზედ აწერენ და სოფელი შეძლების კვალობაზედ ანაწილებს მთელის სოფლის ხარჯსა. მაგრამ მარტო ამ ხარჯს რომ დააჯერებდენ ხალხსა, კიდევ მადლობა ღმერთს! ამ სოფლებს არა აქვთ თავისი არც ტყე, არც საძოვარი, ყველა სახელმწიფოა და ამ სახელმწიფო მამულებით სარგებლობის დროს საქმე გაჭირვებული აქვთ. გადაწყვეტილი კანონი რომ იყოს დადებული ტყის მოხმარებაზე კიდევ არა უჭირდა რა, მაგრამ ძნელი ეს არის, რომ ყოველს ტყის-მცველს

თავის საკუთარი კანონები აქვს და ვიდრე ამ კანონებს არ გაიცნობს ხალხი, თავისუფლად ტყით სარგებლობა არ შეუძლიან. თავისთვის სახმარს შეშას, ფიჩხსა და ურმის იარაღს ვერ გამოიტანებენ, თუ წელიწადში თორმეტ-თხუთმეტ მანათამდე არ გადაიხადეს და ხანდისხან მეტიც. თუ გასაყიდი შეშა გამოიტანეს, იმაში კიდევ ცალკე ფასი უნდა აძლიონ. წრევანდლამდის ამ შორეულ სოფლებიდამ არ მოჰქონდათ თბილისში შეშა, მაგრამ უკანასკნელ წლებში ძალიან შეაწუხა ხალხი მოუსავლობამ, სეტყვამ და მინდვრის თაგვმა, და მეტი გზა არა ჰქონდათ, უნდა მოენახათ რაიმე ღონისძიება ფულის შოვნისა; შეშის გაყიდვის მეტი ღონე ვერა მონახეს-რა, თუმცა წრევანდლისთანა ზამთარში ხშირად ერთის ურმის მოტანას თბილისში თოვლსა და ბუქში ორს კვირამდის უნდებოდენ ჲ ფასს თუმნისა და თორმეტის მანათის მეტს ვერ იღებდენ.

ნათქვამიდამა სჩანს, რომ თითო კომლი ოც-და-ხუთ მანათამდის იხდის ხარჯსა, გარდა ზოგიერთის წვრილმანის ხარჯისა და ბეგრისა. ბეგრის შეშა და ბეგრის ურემი საფთხობელა სიტყვად შეიქმნა ჩვენს სოფლებში. იქნება გლეხ-კაცობა ისე უგულოდ არ ეკიდებოდეს ამ ძალ-დატანებულს საქმეს, რომ გზები იქ გაჰყავდეთ, სადაც უფრო სასარგებლოა ხალხისათვის და ადგილის შეშას ამუშავებდენ. თორემ ვინ იცის, რამდენის მჭიდროდ დასახლებულ სოფლისათვის აუვლია ფოსტის გზას შორსა ჲ ხრიოკს ალაგებზე გაყვანილა; ვინ იცის, რამდენის ხნით წაუყვანიათ ერთის მაზრის ხალხი მეორე მაზრაში გზების საკეთებლად, სადაც დიდ-ხნობით მოშორებული ყოფილა სახლ-კარსა, ცოლ-შვილსა და უბინადრობა, შიმშილ-წყურვილი აუტანია. აი შარშანაც მთელი გარეთ-კახეთის სოფლები გარეკათ გლდნისკენ თიანეთის გზის საკეთებლად.

ხალხს არ მოენდომნა თავის ხელით იმისთანა გზების გაკეთება, რომელზედაც თავის სიცოცხლეში იქნება ორჯერაც არ შეჰხვედროდა გავლა და იჯარით მიეცა, მაგრამ ზოგიერთს მოიჯარადრეს ეცუღლუტნა, არ შეესრულებინა საქმე წესიერად და ხალხს უიმისოდაც მძიმედ ასატანი ტვირთი გაორკეცებოდა.

გარდა სახელმწიფო ხარჯისა, ტყის ფულისა და ბეგრისა, ხალხს კიდევ ზოგი სხვა ხარჯი აწევს კისერზე. ერთი მათგანი არის საძოვრის ქირა. ს. საგარეჯოს, მაგალითად, და გიორგი-წმინდას ზაფხულში თავის საქონელი ცივის მთაზედ დაუდის. ეს მთა სახელმწიფოა და სახელმწიფო ქონებათა გამგეობა სამის წლით გასცემს ხოლმე იჯარით. ამ მთის გაცემაზედ ეტყობოდა, რა ცუდი წესები იყო უწინ შემოღებული სახელმწიფო მამულების გაცემის დროს და როგორ საჭირო იყო მათი შეცვლა. უწინ ვაჭრობა სახელმწიფო მამულების იჯარით გაცემაზე ისე დახლართული და საძნელო იყო თვითონ მიწის მომქმედ გლეხ-კაცისათვის, რომ უკანასკნელს ვაჭრობაში შესვლა არ შეეძლო. ზემოხსენებული მთა იჯარით ყოველთვის მოსულ ვაჭრებსა რჩებოდათ, რომელნიც ასუკან ერთი სამად მაინც გადაახდევინებდენ ხოლმე საქონლის პატრონებს. სამის წლის განმავლობაში 1879 წლიდამ 1882 წლამდე ეს მთა თურმე ჰქონოდა დარჩენილი ვიღაც სომეხს ოც-და-ცამეტ თუმნად წელიწადში და თითონ კი სამოც-და-ათს თუმანს იღებდა საგარეჯოსა და გიორგი-წმინდისაგან და კიდევ ფშაველებიც ეყვანა. ამ გვარად, სრულებით ხარჯ-გაუწეველად და დროს დაუკარგავად ვიღაც გარდმოხვეწილი ერთი-ორად და სამად მეტს იღებდა თავისაგან მიცემულზე და იღებდა, რასაკვირველია, გლეხების კისრიდამ. წრეულს იგივე მთა სხვა ვაჭარს დარჩენია თბი-

ლისში, მაგრამ ადგილობრივ მცხოვრებლებს უთხოვნიათ ხელმეორედ დანიშნეთ ვაჭრობა, რადგან ჩვენ არა გვქონდა გაგებული, როდის და სად იყო ეგ ვაჭრობაო. გუბერნატორს მიუღია გლეხ-კაცობის თხოვნა მხედველობაში და ხელმეორედ დაუნიშნავს შიგ სოფელს გიორგი-წმინდაში, რომ გლეხ-კაცობას უფრო გაადვილებოდა ვაჭრობაში შესვლა. უეჭველია, გუბერნატორი ხელმძღვანელობდა იმ ახალის განკარგულებით, რომელზედაც შარშან «ივერიის» მეშვიდე წიგნის შინაურ მიმოხილვაში იყო ლაპარაკი და რომლის ძალითაც შეძლებისამებრ შუა-კაცნი სახელმწიფო ქონებათა გამგეობასა და თვით მწარმოებელთ შორის უნდა თავიდამ აცილებულ იქმნან. ეს განკარგულება ფრიად სასარგებლოა და ბევრს შეღავათსაც მისცემს გლეხ-კაცობას, თუ რიგიანი აღმასრულებელიც აღმოუჩნდა ჩვენს ქვეყანაში. ეს იმისთანა ღონისძიებაა, რომელიც შეიძლება შეუცვლელად გადმოინერგოს ჩვენში და შეეფეროს კიდეც ჩვენის ქვეყნის წარმატებას.

ეს ღონისძიება კარგია, მაგრამ ბევრი კი იმისთანაა, რომლის შემოღებასაც ჩვენს ქვეყანაში წინ უნდა ეს გონივრული ანდაზა მიუძღოდეს: «ათჯერ გაზომე, ერთხელ გამოსჭერი», თორემ რუსეთში შემოღებულ წესის შეუცვლელად გადმორგვამ ჩვენს ქვეყანაში შეიძლება დიდი ზარალი მოიტანოს. ამის მაგალითების მოძებნაც დიდ-ხანს არ დაგვჭირდება; უწინ სად იყო ჩვენს სოფლებში ამდენი დუქნები, რასაც ეხლა ვხედავთ. რომელს სოფელშიაც კი მიხვალთ (მე კიდევ გარეთკახეთზე ვლაპარაკობ), ყველგან რამდენიმე დუქანია, მედუქნეს გლეხ-კაცები შემოხვევიან და ზოგან არაყსა სმენ, ზოგან ღვინოს.

აქ მეტი იქნება იმაზედ ლაპარაკი, რა გამრყვნელი მოქ-

მედება აქვს დუქანს გლეხ-კაცობაზედ, როგორ აშორებს თავის ჯალაბობას და აჩვევს გარე-გარე სიარულს, სმას, ლოთობას, ერთ ჩარექა ღვინოზედ, ერთ ბოთლა არაყზედ სიმართლის და პატიოსნების გაყიდვას. მეტი იქნება ამაზედ ლაპარაკი, რადგან ეს მოქმედება დუქნისა ხალხზედ ყველასთვის ადვილად გასაგებია. მე მინდოდა მხოლოდ შემენიშნა, რომ უკანასკნელს ხანში უფრო გამრავლდა დუქნები ჩვენში და მედუქნეებსაც უფრო მეტი კეთილ-დღეობა დაეტყოთ. ამ ავის მოვლენის ერთი უმთავრესი მიზეზთაგანი არაყზედ ბაჟის დადებაა. ვიდრე ამ ბაჟს შემოიღებდენ, თითქმის ყოველი გლეხ-კაცი არაყსა ხდიდა სახლში, ხან ჭირნახულისას, ხან სიმინდისას, ხან თხლისა დ ჭაჭისას, მეტადრე უფრო თხლისა და ჭაჭისას. ბაჟის დადების შემდეგ ვიღასა აქვს შეძლება, ან რა სასარგებლოა, რომ პატენტის აღებასა სდიოს ორიოდ ქვაბის არაყისთვის, რომელსაც მთელ წელიწადს ძლივს გამოჰხდის. ამ მიზეზით მამულის პატრონებს ცალკე ჭაჭა და თხლე უფუჭდებათ, ცალკე უნდა მოაკლდენ ერთის უსაჭიროესს სასმელს მუშაობის დროს და მეტადრე ზამთრის სიცივეებში.

რუსეთში ძველის-ძველადგანვე გაუდგამს ფეხი დუქნებს ანუ «კაბაკებს» სოფლებში; იქ ხალხი დიდი ხანია გადაჩვეულა ოჯახში დროს გატარებას და როდესაც კი ქეიფის სურვილი მოუვლის, უნდა დუქნისკენ გასწიოს. იქ არაყს იმისთანა მასალისაგანა ჰხდიან, რომელიც დიდ ხანს შეინახება და თუ ამ მასალის პატრონი თითონ ვერ გამოჰხდის, იმდენს ხანს შეინახავს, ვიდრე კაი ფასის მომცემს ვაჭარს არ იშოვის. ჩვენში კი სულ სხვაა: არაყს აქ უმთავრესად ჭაჭისა და თხლისასა ჰხდიან და თუ ვისმე ახლო-მახლო არყის ზავოდი არა აქვს გამართული, ეს მასალა ტყუილად უნდა გაფუჭდეს და თუნდა

იყოს კიდეც ამისთანა ზავოდი, მაინც მის პატრონი მესამედს და მეოთხედს ფასსაც არ მისცემს ჭაჭასა და თხლეში, რადგან კარგად იცის, გამყიდავს იმის მეტი გზა არსად აქვს.

ამ რიგად არაყის გამოხდაზედ ბაჟის შემოღებამ მრავალგვარი ზარალი მოუტანა ჩვენს გლეხ-კაცობას:

პირველი: შექმნა მონოპოლია არაყის გამოხდისა და ვაჭრობისა. მხოლოდ ზოგიერთა შეძლებულთ პირთა აქვთ ღონისძიება გამართონ არაყის ზავოდი და ეს შეძლებული პირები რა ფასადაც უნდათ, იმ ფასად ჰყიდულობენ თხლესა და ჭაჭას და რა ფასადაცვე უნდათ, იმ ფასად ჰყიდიან არაყს.

მეორე: სადაც კი არაყის ზავოდი არ არის, თხლე და ჭაჭა ან სრულებით ფუჭდება, ან მხოლოდ ღორების საჭმელად გამოდგება.

მესამე: აქამდის თითქმის ყველა ოჯახსა ჰქონდა არაყი, ეხლა კი გლეხ-კაცობამ უნდა მოსძებნოს დუქნებში, რომელნიც არაყის ბაჟის შემდეგ სოკოებივით მრავლდებიან სოფლებში. დუქანში არაყის ყიდვას, დუქანში ტრიალს კი კარგად იცის ყველამ რა გავლენაცა აქვს ხალხის ზნეობაზედ.

გაზეთებში იყო ამას წინად ნათქვამი, რომ ყირიმსა და ბესარაბიაში მთავრობამ ნება მისცა თხლისა და ჭაჭის არაყის უბაჟოდ გამოხდისა. თუ ეს ხმა მართალია, უეჭველია მთავრობას იმავ საბუთებით უხელმძღვანელნია, რომელზედაც ზემოდ იყო ლაპარაკი და ფრიად სასურველია, რომ ჩვენშიაც გავრცელებულიყოს ეს წესი და მოსპობილიყოს არაყის გამოხდაზედ ბაჟი, თუ არ სხვა არაყზედ, თხლისა და ჭაჭისაზედ მაინც. თუ ყირიმის და ბესარაბიის განსაკუთრებული მეურნეობა მიიღეს სახეში და იმას მიაქციეს ყურადღება, რომ იქ

ვენახები ბლომად არის და მცხოვრებლებს ეს ბაჟი მეტის-მეტ ტვირთად დააწვებოდათ, ჩვენში უფრო საყურადღებოდ მისალების ჩვენი განსაკუთრებული მეურნეობა და ვენახების სიმრავლე.

უმთავრესი სოფელი გარეთ-კახეთში არის საგარეჯო. ეს სოფელი მარტო იმითი კი არ არის შესანიშნავი, რომ ბაზარი-ადგილია და რვაასამდე კომლი სცხოვრობს. აქ სოფელს კიდევ ერთი რამ ეტყობა, რომლითაც ადვილად გაირჩევა სხვა მსგავსს სოფლებისაგან. საგარეჯოს ქუჩებზედ ოთხგან-ხუთგან შეხვდებით სახლებზედ წარწერილ განცხადებებს, რომელზედაც ჩვეულებრივი «духанъ, распивочно и на выносъ»-ი კი არ აწერია, რომელიც გამვლელ-გამომვლელს სალოთავად იწვევს,—აწერია ერთგან: «ივრის დამზოგველ საზოგადოების დეპო.» მეორედგან: «ივრის გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობა.» მესამედგან: «საგარეჯოს სკოლა.» მეოთხედგან: «საგარეჯოს სასოფლო მაღაზია ნიშნად 1881 წლის შიმშილობისა.» ერთის სიტყვით, ამ სოფელს ეტყობა, რომ ის სხვა სოფლებისაგან გამორჩეულია, რომ რაც კი მოუგონია განათლებას ეკონომიურ ცხოვრების წარმატებისათვის, თითქმის ყოველისფერი აქ არის მოქცეული.

ბევრს ხალხის კეთილის მოსურნეს შეხვდებით, რომელნიც უარ-ჰყოფენ ამ გვარ დაწესებულებათა და მათგან კარგს არას გამოელიან. ისინი ამბობენ, რას არგებს ხალხს დამზოგველი ამხანაგობა, რომ დასაზოგი არაფერი აქვსო, რად უნდა სკოლა, რომ შიმშილით კუჭი უხმებაო, რად უნდა მაღაზია დამშეულ თაგვების საბუდრადაო? ამ გვარ პირებს კაცმა საგარეჯო უნდა წარუდგინოს მაგალითად, და ეს მაგალითი აშკარად დაანახვებს, როგორა სცდებიან ისინი და როგორ სა-

სარგებლოს ყოველი ამ გვარი დაწესებულება, თუ კი ხელმძღვანელად თაოსანი და ხალხისათვის გულ-შემატკივარი კაცი ეყოლება. საგარეჯოს ხალხი ლოცავს იმ პირთ, რომელთაც ბანკი, სკოლა და სხვ. შემოიღეს, ლოცავს ამ საქმეების მოთავეს. თითქმის ყველა ეს საქმეები აქაურ სკოლის მასწავლებლის ა. ც—მისაგან არის დაწყობილი და იგივეა აქამდის მათი თვალ-ყურის მადევნებელი. ბევრი თავში ცემა უნდა მათ გაძღოლას, ბევრი წვრილმანი უკან მიდევნა: კაცი ცოტა ბუხჰალტერიც უნდა იყოს, ცოტა ვაჭარიც, ფულის ყადრიც უნდა იცოდეს, რომ ამდენს საქმეს ყური უგდოს. საგარეჯოს მასწავლებელი ყოველ ამ საქმეში გამოცდილია და ამიტომ აღარ ეშლება გზა და კვალი ამდენს დახლართულ საქმეში. ჭეშმარიტად მადლობის ღირსია, ვინც კი ამისთანა საქმეს ხელს მოჰკიდებს, კარგად წაიყვანს მას და გლეხ-კაცებს ნდობას გაუღვიძებს; მადლობის ღირსია მეტადრე ეხლა, როდესაც პირველმა კარგად წადგმულმა ნაბიჯმა შეიძლება თვით საქმის დედა-აზრი შეაყვაროს ხალხსა და პირველმა წაბორძიკებამ კი საქმე რამდენისამე შთამომავლობისათვის მაინც მიწაში ჩამარხოს. ამიტომ, როგორც პირველნი მადლობის ღირსნი არიან, ისე გასაკიცხნი არიან ის პირნი, რომელთაც საქმე ათჯერ და ოცჯერ არ გაჩხრიკეს და მიჰყვეს მას დაუფიქრებლად ხელი; ბოლო არ გაადევნეს და საქმე ჩასაფუში გაჰხადეს.

საგარეჯოს სკოლა კარგა მოზრდილი სკოლაა ოთხის განყოფილებით და სამის მასწავლებლით. ამ სკოლაში 92 მოწაფეა. ბავშვები ოთხს წელიწადს რჩებიან და რუსულსაც სწავლობენ მეორე წლიდამ მოყოლებული. ამის მეტად მე არ ჰყოფილვარ ქართულ სასოფლო სკოლაში და გამიკვირდა რომ ასე გავითარებული ბავშვები ვნახე. მეოთხე განყოფილებაში

მყოფთ თითქმის ყოველივე ქართულის წიგნის ენა შეგნებული აქვთ, რაც უნდა ღრმად იყოს დაწერილი და ეტყობა კიდეც, რომ კითხვის ხალისი აღძრულა მათში. ერთი მოწაფე ეუბნებოდა წასვლის დროს მასწავლებელს — გუშინ ხომ ამას (ერთს მოწაფეს) ჰქონდა შინ «ბუნების კარი» საკითხავად, ეხლა მე მათხოვოსო. კარგი იქნება, რომ ყოველს რიგიანად მოწყობილს სკოლასთან იყოს პატარა ბიბლიოთეკა მაინც ქართულის წიგნებისა, რომ ბავშვებმა სკოლის მიტოვების შემდეგ ამ ბიბლიოთეკის გულისთვის კავშირი არ შესწყვიტონ სკოლასთან. დარწმუნებული ვარ, რომ თუ საგარეჯოში ეხლანდელი ენერგიული მასწავლებელი დიდ ხანს თავის ალაგას დარჩა, ბიბლიოთეკასაც დააარსებს და ბევრს სხვა სასარგებლო ცვლილებასაც შემოიღებს ამ სოფლის ცხოვრებაში თავის მოწაფეების შუამავლობით.

სხვათა შორის ერთი რამ მართლა რომ აუცილებლად საჭიროა სოფლელის ხალხისათვის—ეს არის სუფთაობა. მეტად სამძიმოა სასოფლო სკოლაში შესვლა იმ მძიმე სუნის გამო, რომელიც ოთახში ტრიალებს და სამძიმოა აგრეთვე ჭუჭყიანის ბავშვების დანახვაც ჭუჭყიანსავე ტანისამოსში. მართალია, ამ უსუფთაობის უმთავრესი მიზეზი სიღარიბეა, მაგრამ ჩვეულებასაც დიდი წილი უძევს. სასოფლო მასწავლებელს და მეტადრე იმისთანა გავლენის მქონეს, როგორიც არის საგარეჯოს მასწავლებელი, შეუძლიან აბანოები გაამართვინოს და ამით ცოტათიც არის შეამციროს სოფელში ეხლანდელი უწმინდურობა.

ფართო ასპარეზი აქვს წინ გადაშლილი სასოფლო მასწავლებელს, მაგრამ რომელს მათგანსაც კი გულში ღვთიური ცეცხლი უღვივის, დიდი სარგებლობის მოტანაც შეუძლიან.

მართალია დიდი წვალებაც მოუნდება, ბევრის საქმის მიდევნაც, მაგრამ რათა ღირს ის სინიდისის დამაყოფილება, რომელიც ამისთანა კაცს წილად შეხვდება, რათა ღირს რომ ყოველს გაჭირებაში გლეხკაცმა იმას უნდა მიმართოს რჩევისათვის, იმისაგან მიიღოს შეღავათი და შვება, იმისაგან გაიგონოს კაცური სიტყვა და დაინახოს კაცური საქმე.

მინდოდა გიორგი-წმინდის სკოლის ნახვაც, მაგრამ იმ ჟამად მასწავლებელი იქ არ იყო. როგორც მითხრეს, ეს მასწავლებელი, თუმცა ჯამაგირს იღებს, მაგრამ მოწაფეები კი არა ჰყავს და არც სახლი აქვს სკოლისათვისაო. ორიოდ ბავშვი კი დაუდის ხან თავის სახლში, ხან სოფლის კოშკში და იქ ასწავლისო. სოფლის კოშკში სკოლის გამართვა! კარგადაც იქნება ჰიგიენის მოთხოვნილება შესრულებული და ბევრი სინათლეც შემოვა სათოფურებიდამ!

პასუხად

(«იბერიის» № XII-ში დაბეჭდილის ი. ბ-ძის ლექსისა.)

ქართველების ბედის ვარსკვლავს
ნუ დაეძებ ძმაო ცაზედ,
სჯობს თვალები ძირს დაიღო
და მოსძებნო ქვეყანაზედ:

ის ციდამ ჩამოუგდია
უკუღმართსა ჟამთა-ტრიალს,
ქართველთ სენი—უმეცრება
თვის სამსალის გვასმევს ფიალს...

ვიდრე ამ სენს არ განვკურნებთ,
ამაოა ძებნა მისი...
გვიჯობს ჩვენს თავს ნუ ვატყუებთ—
თორემ ხარობს გული მტრისი.

მაშ მოდი, ძმავ, ვუერთგულოთ
დიდ-წინა-პართ დიდ-ანდერძსა:
სული—ჭკვა—ზნე ავიმაღლოთ
და აღვიგზნოთ გული მკერდსა,

. . . .

ვ.

31 დეკემ. 1881 წ.

შინაური მიმოხილვა.

II *)

ეროვნული მნიშვნელობა დედა-ენის და ლიტერატურის შესწავლისა.—უნუგეშო მდგომარეობა ამ საქმისა საერო სასწავლებლებში.—მეტის-მეტი მცირე რიცხვი ქართულის ენის გაკვეთილებისა.—ამ ენის მასწავლებლების მეტის-მეტი უვარგისობა.—რა და როგორ უნდა ეშველოს ამ საქმეს?— ჩვენის ქვეყნის სასწავლებლებში ადგილობრივ ენათაგან მარტო ქართული უნდა იქმნას გალდებული.—სამღვდელოება და ერი.—ეროვნულის პრინციპის უარყოფა ჩვენს სასულიერო სასწავლებლებსა და სემინარიაში.—ვინ არის ამაში დამნაშავე?—უვარგისობა სამღვდელოებისა.—ამ საქმეს როგორღა უნდა ეშველოს?—მარჯვე დრო სასულიერო სასწავლებლების და სემინარიის პროგრამის შეცვლისათვის.—მიმართვა ქუთაისის სამღვდელოებისადმი.

მჭიდრო სულიერი კავშირი ინტელიგენციასა და ერს შორის არის ერთი დედა-ბოძთაგანი ქვეყნის წარმატებისა. ამ კავშირს ისე არაფერი განამტკიცებს და განაძლიერებს, როგორც ხალხოსნურის ენის, ეროვნულის ლიტერატურის, სამშობლო ქვეყნის ისტორიის შესწავლა. ენა, ლიტერატურა არის უმდიდრესი სალარო, რომელშიაც მრავალთა თაობათა ქვირ-

---

*) რედაქციაზედ დამოუკიდებელ მიზეზის გამო ეს ორი თავი პირველ წიგნის მაგივრად ამ მეორე წიგნში იბეჭდება და ისიც შემოკლებით.

რედ.

ფასის განძივით შეუნახავთ საუკეთესო ნაწარმოები გონებისა, უმაღლესი და უკეთილშობილესი გრძნობანი გულისა. ენის, ლიტერატურის და ისტორიის შესწავლით ყოველი მოწაფე გულით და სულით შეუთვისდება წარსულს და აწმდგომს თავის ერისას და შეიქნება მისი ჭეშმარიტი სულიერი შვილი. ამიტომ ყოველს ქვეყანაში სამშობლო ენის ისტორიის და ლიტერატურის შესწავლა შეადგენს ერთს უმთავრესს საგანს ზრუნვისას და ყოველს სასწავლებელში დათმობილი აქვს უპირველესი ადგილი. მაგრამ ჩვენი ქვეყანა ამ მხრითაც გამოკლებულია სხვა ქვეყნების დასიდგან. ძნელად წარმოიდგენს კაცი იმაზედ სამაგელს მდგომარეობას, როგორშიაც არის ჩავარდნილი ჩვენის ენის და ლიტერატურის სწავლება გიმნაზიებში და სხვა სასწავლებლებში სავაჟოში, თუ საქალოში . . . ქართულის ენისათვის დაუნიშნავთ თითქმის ყველგან მეექვსე გაკვეთილები, ის დრო, როდესაც ხუთის გაკვეთილით დაქანცულს ბავშვებს უჭირთ დასვენება და სწავლისათვის ყურადღება აღარა აქვთ შერჩენილი. ეს მეექვსე გაკვეთილიც კვირაში მხოლოდ ერთხელ-ორჯერ აქვს ქართულს ენას ნაწილადევი და ისიც მხოლოდ უმცროსს კლასებში, უფროს კლასებში კი მისი სახსენებელიც მოსპობილია. ამ თითო-ოროლა გაკვეთილის მოხმარებასაც მეტად აბრკოლებს ერთი გარემოება: ქართულის ენის სწავლების დროს ერთათ ჰკრებენ სხვა-და-სხვა კლასების მოსწავლეებს, რომელნიც, რასაკვირველია, სხვა-და-სხვა ცოდნის ხარისხზედ სდგანან ქართულ ენაშიაც და ამიტომ აღგენენ რავდენსამე განყოფილებას; ამის გამო მასწავლებელი ვერასოფერს აწყობს და ხეირიანად ვერასოფერს ასწავლის. ამ წესის და რიგის შედეგი ის გახლავთ, რომ რაოდენობა ქართულის ენის გაკვეთილებისა წლის განმავლობაში ისე მცირეა

სხვა-და-სხვა სასწავლებლებში, რომ არამც თუ უკან ჩამორჩება მეორე და მესამე ხარისხის საგნებსა, ზოგს შემთხვევაში სომხურს ენასაც კი უჯობნებია ქართულის ენისათვის.

ეს ცხადად სჩანს წარსულის წლის გაკვეთილების უწყებიდგან (ВѢДОМОСТЬ ОБЪ УРОКАХЪ), რომელიც დაბეჭდილია კავკასიის სამოსწავლო ოლქის ცირკულიარში № 8.

ავიღოთ, მაგალითად თბილისის გიმნაზია. გალობას დ წერას ხომ უკანასკნელი ადგილი უჭირავთ საგნებს შორის დ ისწავლებიან მხოლოდ უმცროსს კლასებში; მაგრამ ქართულს ენაზედ კი გაშორებით მომეტებული გაკვეთილი ჰქონიათ; წერისათვის განწესებული ყოფილა 299 გაკვეთილი, გალობისათვის 242 დ ქართულის ენისათვის მხოლოდ 156 გაკვეთილი. თბილისის საქალებო გიმნაზიაში განწესებული ყოფილა ქართულის ენისათვის მთელის წლის განმავლობაში—იცით რამდენი გაკვეთილი? 23 (ოც-და-სამი), მაშინ როდესაც სომხურს ენას ამ სასწავლებელში რგებია 101 გაკვეთილი. საქალებო პროგიმნაზიაში ხელ-საქმისათვის დადებულია 306 გაკვეთილი, ტანცობისათვის და გიმნასტიკისათვის 194 და ქართულის ენისათვის მხოლოდ 26 გაკვეთილი. ერთს სასწავლებელში, სახელდობრ ალექსანდროვის სამასწავლებლო ინსტიტუტში, სადაც უფრო საჭიროა ქართულის ენის სწავლება, რადგანაც ეს ერთად-ერთი სასწავლებელია თბილისში, სადაც ქართველობა უმრავლესობას შეადგენს და საიდგანაც გამოდიან მასწავლებელნი საქალაქო სკოლებისათვის, ქართულის ენის ხსენებაც არა ყოფილა.

. . . სავაჟო გიმნაზიის გარდა, ყველგან ქართული ენა აბარიათ მოუმზადებელ მასწავლებლებს, გაუხსნელთ დ უმეცართ ქართულს ენაში და ლიტერატურაში. საკვირველიც არ არის ეს

სიმდარე მასწავლებლებისა. ყველა სასწავლებელში შვეიცარს თითქმის უფრო მომეტებული ჯამაგირი აქვს, მანამ ქართულის ენის მასწავლებელსა. სამსახურიც მას არ ეთვლება, რადგანაც ქართული ენა მოკლებულია შტატის, ვალდებულობითის საგნის უფლებასა. მისი პატრონი, ყურის-მგდებელი არავინ არის. სვინიდისიანად ასრულებს მასწავლებელი თავის თანამდებობასა და გონიერს პროგრამას მისდევს? კარგი. ტყუილ-უბრალოდ დაეთრევა გაკვეთილებზედ და თავის უგუნურის სწავლებით აძულებს მოწაფეებს დედა-ენას და ეროვნულს ლიტერატურას? არცა-რა მაგას უშავს. მოწაფის ბედზედაც არავითარი გავლენა არა აქვს ქართულის ენის სწავლებასა. იცის მან კარგად თავისი დედა-ენა? არაფერი ემატება მთავრობის თვალში. გულ-აცრუებულია და სრულიად არა სწავლობს? არაფერი აკლდება. მოწაფე გადაჰყავთ ერთის კლასიდგან მეორეში, თუნდაც რომ ქართულს ენაში სულ ერთეულები ჰქონდეს გამწკრივებული; და სტოვებენ იმავე კლასში უბრალო მიზეზის გამო, თუნდაც ქართულში სულ ხუთები ესხას. ერთის სიტყვით ქართული ენა საქართველოს სასწავლებლებში ემგზავსება უბედურს ყოველ უფლებას მოკლებულ ბუშს. . . .

ჩვენს ლიტერატურაში ხშირად იყო ბაასი ამ საგნის შესახებ,—არა ერთხელ წარმოითქვა, რომ მეტის-მეტი უკუღმართობაა ქართულის ენის გამოკლება სხვა საგნათა რიცხვიდგან, უმზგავსი სწავლება მისი სასწავლებლებში, რომელნიც ინახებიან უმთავრესად ქართველის ხალხის ხარჯით და რომელთაც აწევსთ კალად კისერზედ მოუმზადონ მას ერთგულნი და მის ავკარგის მცოდნე მოსამსახურე პირნი. შარშან სამოსწავლო მთავრობამაც თითქო გულ-წრფელად მისცა ბანი ამ საზოგადო მოთხოვნილებას. . . . ოფიციალურს გაზეთში «კავკასშიაც» კი იყო

დაბეჭდილი რამდენიმე წერილი იმ აზრის დასამტკიცებლად, რომ საჭიროა და სახელმწიფო ინტერესიც მოითხოვს,—ადგილობრივ ენებს ისეთივე ადგილი და მნიშვნელობა მიენიჭოთ ყველა სასწავლებელში, როგორც ჰქონდათ მათ ვარანცოვის დროსაო. მაგრამ გავიდა ერთი წელიწადი, მიდის მეორეც და აღსრულების ჩამი-ჩუმიც არსაიდგან ისმის. ლიტერატურა და საზოგადოება გაკვირვებულია და არ იცის, რას მიაწეროს ასეთი უცები დაოჩნება. კერძოდაც და ბეჭდვითაც ასახელებენ ერთს დაბრკოლებას, რომელიც ვითომც უშლიდეს საზოგადოების და მთავრობის სურვილის ასრულებას; ეს ვითომც არის მრავალ-ენოვანება კავკასიის მცხოვრებლებისა. მაგრამ ეს გარემოება დაბრკოლებათ არ ჩაითვლება . . . მრავალ-ენოვანება მხოლოდ მაშინ იქნებოდა ნამდვილი დამაბრკოლებელი მიზეზი, როდესაც კავკასიის ტერიტორიას დაყოფილი კი არა ჰქონოდა სხვა-და-სხვა ხალხსა, არამედ ყოველს გუბერნიაში და სათემოში ერთმანერთში ყოფილიყვნენ თანასწორად არეულნი. მაგრამ, როგორც მოგეხსენებათ, ეს ასე არ გახლავთ. ქართველებს უჭირავთ თბილისის და ქუთაისის გუბერნია და ბათუმის მაზრა, სომხებს ეკუთვნით ერევნის გუბერნია და თათრები მოსახლობენ ბაქოს გუბერნიაში და სხვანი. ყოველს გუბერნიაში ვალდებულ საგნად უნდა ჩაირიცხოს მხოლოდ ის ენა, რომელზედაც ლაპარაკობს უმრავლესობა ამ გუპერნიის მცხოვრებლებისა. ეს მით უფრო სამართლიანი იქნება, რომ უფრო ამ უმრავლესობის ხარჯით ინახება სასწავლებლები. უმრავლესობის პრინციპი ყველგან აღიარებულია და ჩვენც მასზედ უნდა ვიქმნათ დამყარებულნი, თუ მართლა საქმის გაკეთება გვინდა . . . მართალია, შეიძლება, რომ რომელსამე სასწავლებელში უმრავლესობა მოწაფეებისა ეკუთვნოდეს მცხოვ-

რებლების უმცირესობას, როგორც ეს არის თბილისის გუბერნიაში, სადაც სომხობა ძლივს შეადგენს მეოთხედს ნაწილს მცხოვრებლებისას და თბილისის სასწავლებლები კი თავის შვილებითა აქვს გავსებული; მაგრამ ეს გარემოება არამც თუ არ არღვევს ჩვენის აზრის სიმართლეს, ერთი-ორად უფრო მეტს ძალას აძლევს. როცა სასწავლებელს ინახავს ერთი ხალხი თავის ფულით და მეორე კი სარგებლობს მითი, ეს დიდი უსამართლობაა, რომელიც უნდა უთუოდ მოისპოს შესაბამის ღონის-ძიებით. ამ ღონისძიებამ უნდა გაამრავლოს პირველის ხალხის შვილები სკოლებში თვით ხალხის სიმრავლის შესაბამად. მაგრამ თქვენ რომ მოითხოვოთ მცხოვრებლების უმცირესობის ენის ვალდებულებითი სწავლება იმ საბუთით, რომ მისი შვილები შეადგენენ მოწაფეთა უმრავლესობას,—ეს იქნება მეორე უსამართლობა. . . და ემგზავსება იმას, რომ ვისმეს სადილი გამოსტყუო და ვახშმათ შენი დაპატიჟებაც ვალად დაადო იმ საბუთის ძალით, რომ ვახშმის მადაზედაც ვარო.

ცხადია, რომ არც სომხებს, არც თათრებს და არც სხვა ხალხებს სამართალი არა აქვთ მოითხოვონ თავიანთ ენის ვალდებულობითი სწავლება თბილისის და ქუთაისის გუბერნიაში, სადაც მხოლოდ ქართული ენა უნდა იქმნას შეტანილი ვალდებულებითს, შტატის საგნების სიაში. სომხებს და სხვა ხალხებს, რომელთა შვილები სწავლობენ საქართველოს სასწავლებლებში, რასაკვირველია, შეუძლიანთ ასწავლონ თავისი ენა, მაგრამ თავის განსაკუთრებულის ხარჯით და ისე, როგორც კერძო, უვალდებულო საგანი. ხსენებულის საბუთის ძალით ერევნის გუბერნიაში სომხური ენა უნდა გახდეს ვალდებულობით საგნათ, თათრული—ბაქოს გუბერნიაში და სხვ.

საკვირველი იქნება, რომ ამ გვარი საქმის დაბოლოება ვისთვისმე საწყენად დარჩეს. ჩვენ ვთხოულობთ მხოლოდ ჩვენსას ჩვენს საკუთარს ქვეყანაში და არავის არ ვედავებით თქვენის ქვეყნის სასწავლებლებში ფეხი ჩაადგმევინე ჩვენს ენასა და უფლება მიანიჭეო. არც სხვა უნდა წამოგვედავოს ჯერ იმიტომ, რომ ეს წამოდავება უსამართლობა იქნება და მერმე იმიტომ რომ საზოგადო საჭიროების დაკმაყოფილებას ხელს მოუშლის, ჩვენც წაგვიხდენს საქმეს და სხვასაც ავნებს.

ქართულის ენის სწავლების აღდგენა სასწავლებლებში და დამკვიდრება ფართო საფუძველზედ ითხოვს ბეჯითს შუამავლობას მთავრობის წინაშე. ვის შეუძლიან იკისროს ეს შუამავლობა? წარმომადგენელი დაწესებულება ამ ჟამად ჩვენში მარტო ერთი არსებობს,—ეს გახლავთ თავად-აზნაურთა კრება და მხოლოდ მას შეუძლიან აღძრას ეს საქმე და იზრუნოს მის შესრულებისათვის. ქუთაისის და თბილისის თავად-აზნაურობის წმინდა ვალია იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე ჯეროვანის უფლების მინიჭებაზედ ქართულის ენისათვის ჩვენს სასწავლებლებში, ბეჯითად ადევნოს თვალი ამ საქმის მსვლელობას და ისმაროს ყოველი ღონისძიება, რომ იგი სტოლის უჯრაში არსად ჩარჩეს, არამედ ეღირსოს დროზედ ჯეროვან ყურადღებას და სასურველს ბოლოს.

ქართულის ენის და ლიტერატურის შესწავლა კიდევ უფრო მიუცილებელს საჭიროებას შეადგენს სასულიერო ახალგაზდობისათვის, რომელმაც უნდა მისცეს ხალხს ნამდვილნი მოძღვარნი, სულიერნი მოწაფენი. არა უწყებას არა აქვს ისეთი დაახლოებითი კავშირი ხალხთან, როგორც სასულიეროისა. სასამართლოს და ადმინისტრაციის წარმომადგენლები მხოლოდ ხანდახან, დრო-გამოშვებით შეეხებიან მას. სამღვდელო-

ება კი სამუდამოდ ხალხშია მოქცეული, არის მოწამე მის ჭირისა და ლხინისა, გაბმული და შეუწყვეტელი ერთი-ერთობა აქვს მასთან. ყოველი წევრი სამწყსოსი აკვნიდგან დაწყობილი ვიდრე სამარემდის მომღვრის გავლენის ქვეშ არის. ამ გავლენას შეუძლიან დიდი ნაყოფიც მოიტანოს და დიდი ვნებაცა. თუ მომღვარი შეკავშირებულია ერთან მასის წარსულის და აწმდგომის ცოდნით, მის ენის და ლიტერატურის შეთვისებით და აღზრდილი აქვს გულში სიყვარული და პატივისცემა თავის ხალხისა, ღმერთმა თქვენ ნუ მოგაკლოთ ის სიკეთე, ის ნუგეში, ის შვება და ლხენა, რომელსაც იგი ხალხში მოჰფენს. მაგრამ თუ მომღვარი სხვა გზით არის აღზრდილი, თუ მოკლებულია იგი ყოველს ეროვნულს საუნჯის ცოდნას და თანაგრძნობას, თუ მასში ამოუფხვრიათ თავის ერის პატივისცემა, გადაბირების გზაზედ დაუყენებიათ, დაუმახინჯებიათ და ყოველი სულიერი კავშირი მოუსპიათ მის და ერს შუა, მაშინ თქვენს მტერსაც აშოროს ის ვნება, ის ზარალი და ის გარყვნილობა, რომელსაც იგი შესძღვნის თავის სამწყსოსა. ეს უბრალო, ანბანური ჭეშმარიტებაა, რომლითაც ხელმძღვანელობდა უწინ ეკლესია და ხელმძღვანელობენ ახლა ყველგან სასულიერო ახალგაზდობის აღზრდაში. თვითონ მოციქულები მხოლოდ მაშინ ხედავდენ სახარების ქადაგებას რომელსამე ერს შორის, როდესაც ამ ერის ავ-კარგიანობას დაწვრილებით გაიგებდენ და დახელოვნდებოდენ მის სამშობლო ენაში. მათი ქადაგება მით უფრო ნაყოფიერი და ძლიერი იყო, რამდენიც მოციქულს მომეტებული კავშირი ჰქონდა ხალხთან და რამდენადაც უფრო მარჯვედ ხმარობდა იმ ეროვნულს ძალას, რომელსაც წარმოადგენს ხალხის ენა. ამ გვარის ნიჭით, ამ გვარის ცოდნით და თანაგრძნობით ყველა

მოციქულზედ ბევრით მდიდარი იყო მოციქული პავლე, რომელმაც მშვენივრად შეისწავლა პროვინციალური ლათინური დიალექტები და რომელთაც იგი ხმარობდა ქადაგებაში, ნაცვლად ვირგილის და სენეკის გარანდულ ლათინურ ენისა. ამიტომაც იყო მისი ქადაგება ისეთი ძლიერი და ნაყოფიერი. წმინდა მამების მოქმედებაშიაც ამასვე ვხედავთ. ოქროპირი, დიდი ვასილი, გრიგოლ ღვთის-მეტყველი და სხვანი შეიქმნენ ისეთის მძლავრის და კეთილის გავლენის მქონენი იმ გარემოების მეოხებით, რომ სულით და გულით იყვნენ დაკავშირებულნი თავის სამწყსოსთან, მის წარსულთან, ენასთან, ლიტერატურასთან. უბრალო მღვდელმა არიიმ გამოუცხადა ომი მთელს მართლ-მადიდებელს ქრისტიანობას მისის მრავალის პატრიარხებით, კათალიკოზებით და ეპისკოპოზებით, მძლავრად იბრძოლა, თითქმის ნახევარი ქრისტიანობა თავისკენ გადიიყვანა და თავისი ერესული სწავლა დაამკვიდრა დიდ ხანს უფრო იმის გამო, რომ ფარად და ხმალად ხმარობდა ისიც და იმის მომხრენიც ხალხურს ენებს და დიალექტებს. მსოფლიო საეკლესიო კრებებს ეს კარგად ესმოდათ, რასაკვირველია, და ამიტომ ითხოვდენ, რომ ყოველს მღვდელს ზედ-მიწევნით სცოდნოდა ენა თავის სამწყსოსი და ექადაგნა მხოლოდ ამ ენაზედ. ასე იყო უწინ და ასევე გახლავთ ახლაცა. კათოლიკების და ლოტრანგების მისიონერების ნაყოფიერი მოქმედება, მათის სამღვდელოების მძლავრი გავლენა სამწყსოზედ იმის შედეგია, რომ სასულიერო ახალგაზდობის სწავლა და აღზრდა არის დაფუძნებული ეროვნულს ნიადაგზედ, ზედგამოჭრილია ხალხის მოთხოვნილებაზედ.

ერთის სიტყვით ქრისტიანობრივი ეკლესია ყველგან და ყოველთვის მისდევდა იმ აზრსა, რომელიც გამოსთქვა «ღვთის

ჯრმა» დავით წინასწარ-მეტყველის პირით: ჩვენ ვადიდებთ მათ, ვინც უბნობს ჩვენის ენითა.

ჩვენში რაღასა ვჰხედავთ? სრულს უკუღმართობას. მოისპო თუ არა კათოლიკოსობა საქართველოში და დამკვიდრდა ექსარხოსობა, სასულიერო ახალგაზდობის აღზრდა და სწავლა დაასცდინეს თავის წმინდა მიზანს—ქართველ ხალხისათვის ჭეშმარიტის მოძღვრების მომზადებას—და დააყენეს გადაბირების გზაზედ. ნამდვილ ქართულის სასულიერო სემინარიების ნაცვლად, რომელნიც არსებობდენ წარსულს საუკუნის გასულს და რომელნიც დაკეტილ იქმნენ ახალის წყობილების შემოღების დროს, დააფუძნეს სხოლასტიური ბერძნულ-ლათინურ-რუსული სემინარია, რომელსაც თითქმის იმდენი კავშირი აქვს ქართველ ხალხთან და მის მოთხოვნილებასთან, რამდენიც თათრების მედრესეებს. სასწავლებელი, რომელიც ინახება მთლად ქართველის ერის ხარჯით და ვალდებულია მოუმზადოს მას ჭეშმარიტნი სასულიერო მწყემსნი,—ასწავლის ბევრს სხვა-და-სხვა რამეს, მაგრამ ის კი სრულიად უყურადღებოდ არის დარჩენილი, რაც ასჯერ უფრო უსაჭიროესს ცოდნას შეადგენს ქართველის ერის მომავალთა მოძღვართათვის. ქართულის ენის, ქართულის ლიტერატურის საეროსი და სასულიეროსა, ქართულის ისტორიისა საეკლესიოს და სამოქალაქოსა აქ სახსენებელიც არ მოიპოება. მხოლოდ ხუცურის მეხანიკურის კითხვისათვის ძლივს-ძლიობით გაამწესებინეს ოთხი გაკვეთილი კვირაში ექვს-კლასიან სასწავლებელში, მაშინ, როდესაც ბერძნულისა და ლათინურისათვის დადებულია ოც-და-ცხრამეტი გაკვეთილი კვირაში.

მეტად შესანიშნავია ის ფაქტი, რომ სასულიერო სემინარიაში მის დაარსებიდგანვე დღეინდელ დღემდე გამოკლებუ-

ლია, უარ-ყოფილია ქართული ელემენტი, მაშინ, როდესაც საერო სასწავლებლებში ხშირად სჭერია ამ ელემენტს ჯეროვანი ადგილი, თუმცა ეს ელემენტი კიდევ უფრო მომეტებულად უჭირდა და უჭირს სასულიერო სასწავლებლებს. ეს სამწუხარო მოვლენა წარმოსდგება იმ მიზეზისაგან, რომელიც თითქმის არავის არ შეუმჩნევია და გამოურკვევია ჩვენში. საქმე ის გახლავთ, რომ ჩვენის ქვეყნის სასულიერო საქმეებს განაგებს არა ადგილობრივი მთავრობა— საქართველოს ექსარხოსი,—რომელმაც უფრო დაახლოებით იცის თავის ეპარხიის ავი და კარგი, საჭიროება და მოთხოვნილება და რომელზედაც სამწყსოს უნდა ჰქონდეს მეტ-ნაკლებობით გავლენა, არამედ უმაღლესი ინსტანცია პეტერბურღიდგან, უწმინდესი სინოდი, რომელიც ყოველთვის იმასა ცდილობდა და ცდილობს, რომ საზოგადო რუსულს დონეზედ დააყენოს ჩვენი სასულიერო სასწავლებლები. საქართველოს ექსარხოსის უფლება ბევრით არაფრით გაირჩევა უბრალო არხიეპისკოპოზის უფლებათაგან და აჩრდილიც არ არის იმ მძლავრის უფლებისა, რომლითაც იყო შემოსილი საქართველოს კათოლიკოზი. ამითი უნდა ავხსნათ, სხვათა შორის, ის მოვლენა, რომ თუმცა საქართველოს ექსარხოსებში ერივნენ ნიჭიერნი და სათნოპირნი, მაგრამ სიკეთე კი მაგდენი არაფერი დაუთესნიათ. თუ ისინი რაიმე გონიერს მოსაზრებას წარადგენდენ ხოლმე სინოდში, იმ მოსაზრებას, რომელიც ზედგამოჭრილი იყო ჩვენს განსაკუთრებულს ცხოვრებაზედ, უარი მოსდიოდათ — იმ საბუთით, რომ თქვენის წადილის შესრულება საზოგადო წესდების ჰარმონიას დაფუშავსო, თითქოს ერის ცხოვრება იყოს დაარსებული წესდებისათვის და არა წესდება ცხოვრებისათვის. მაგალითად, განსვენებულმა ექსარხოსმა ევსევიმ იძულებულმა

ადგილობრივის მოთხოვნილობით, სინოდში წარადგინა პროექტი ქართულის ენის კათედრის დაარსებისა სასულიერო სემინარიაში, მაგრამ უარი მოუვიდა. სამწუხაროდ ამ გვარივე უარი არ მოსდიოდათ ეგზარხოსებს მაშინ, როდესაც სხვა ზომას გამოითხოვდენ იმ მოსაზრების ძალით, რომ აქ აზიაა და ევროპიულს წესდებას ვერ შეიმშვნევენო. ამ შემთხვევაში ხშირად დაუყოვნებლივ მოსდიოდათ თანხმობა და ლოცვა-კურთხევა...

თუ საერო უწყებაში უფრო უკეთ მიდიოდა საქმე, თუ აქ ადგილობრივ ელემენტს ცოტაოდენი მაინც პატივი და უფლება ჰქონდა, ეს უნდა აიხსნას იმით, რომ მთავარ-მართებელი და ნამესტნიკი შემოსილი იყვნენ დიდის უფლებითა და შეეძლოთ ბევრი კეთილიც ექმნათ და ბევრი ბოროტიცა; და რადგანაც ამ დიდს უფლებას მოსდევდა ზნეობითი პასუხის გება ჩვენის ქვეყნის წინაშე, ამიტომ ცდილობდენ, რომ ადგილობრივის ელემენტის პატივის დებით დაემსახურებინათ თანაგრძნობა მცხოვრებლებისა, რომელთა წინაშე თავის გამართლება შეუძლებელი იყო პეტერბურგისაკენ მითითებით.

აქედამ ცხადად სჩანს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ავტონომიურს, თვით მმართებლობის პრინციპს ჩვენის ქვეყნისათვის და რამდენად საჭიროა, რომ ჩვენის ეკლესიის მართვა და განგება უმთავრესად იყოს საქართველოს ეგზარხოსის ხელში და პირდაპირ არ ექვემდებარებოდეს პეტერბურგის ინსტანციას...

შესანიშნავი ვნება შესძლვნა ჩვენს ქვეყანას ქართულის ელემენტის გამოკლებამ ჩვენის სასულიერო ახალგაზდობის აღზრდისა და სწავლისაგან. ამ მიზეზის წყალობით ჩვენი ერი მოაკლდა მოძღვართა, სულით და გულით მასთან დაკავშირე-

ბულთა. სახარების მაღალის სწავლის ქადაგება იშვიათად ისმის ასე, რომ არამც თუ სოფლებში, ქალაქებშიაც ძვირად გაიგონებ; საეკლესიო კათედრიდგან მოძღვრებასა. მღვდლების გულის აცრუებამ ქადაგებაზედ იქამდის მიაღწია, რომ მზა-მზარეული ქადაგების წარმოთქმაც კი მრევლის წინაშე ეძნელებათ და ეზარებათ. ქართულს ენაზედ კარგა ხანია დაიბეჭდა მშვენიერნი ქადაგებანი იმერეთის ეპისკოპოზის ყოვლად-სამღვდელო გაბრიელისა. ყოველი სამღვდელოება, რომელშიაც კი ცოტაოდენად მაინც ღვივის ღვთის ნაპერწკალი, სიხარულით მიეგებებოდა ამ გვარ ქადაგებათა მოვლენას, შეიძენდა მათ და გამოიყენებდა საეკლესიო კათედრის გაცოცხლებისათვის. მაგრამ ჩვენმა სამღვდელოებამ იმდენად უყურადღებოდ დააგდოეს ქადაგებანი, რომ ათის წლის განმავლობაში ერთი გამოცემაც ვერ გაისყიდა. ეს მით უფრო სამწუხაროა ჩვენის სამღვდელოებისათვის, რომ ეს ქადაგებანი ევროპაში მოკლე ხნის განმავლობაში ღირსეულად დააფასეს. არ გავიდა ერთი წელიწადი მათის დაბეჭდვის შემდეგ, რომ ლონდონში გამოვიდა ცალკე ლაზათიან ტომათ მათი თარგმანი. ინგლისელებს ტყუილა-უბრალოდ რაიმე გარჯა და ხარჯი არ უყვართ. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ჩვენის ყოვლად-სამღვდელო გაბრიელის ქადაგებანი არამც თუ თვითონ ინგლისში წარმოითქმებიან იქაურ პასტორების პირით, კალონიებშიაც კი უთუოდ ხშირად დაამშვენებენ საეკლესიო კათედრასა. როგორ ჯავრით არ აევსება ქართველს გული, როდესაც წარმოიდგენს, რომ ჩვენის ქვეყნის შვილის გონების ნაწარმოები უნდა უნათლებდეს გონებას და უმაღლებდეს ზნეობას ავსტრალიის და დიდის ოკეანის კუნძულების მცხოვრებლებს და ესევე ნაწარმოები სრულიად უცნობელი და უნაყო-

ფო უნდა რჩებოდეს ჩვენის ხალხისათვის, იმ გარემოების მეოხებით, რომ ჩვენი სამღვდელოება, აღზრდილი გადამბირებელს გზაზედ, იჩენს საშინელს დაუდევრობას, უხეირობას და უკუღმართობას თავის წმინდა მოწოდების შესრულებაში.

მაგრამ მარტო ქადაგება არ გაუქმდა ჩვენში. მას თან გაჰყვა სასულიერო ლიტერატურაც, რომელიც წარსულს საუკუნის დამლევს მდიდარი იყო ბევრ-ნაირ თხზულებებით. მთელის ოთხმოცის წლის განმავლობაში ორი სასულიერო წიგნი არ გამოსულა ქართულს ენაზედ. მთელს საქართველოს სამღვდელოს არ აბადია არც ერთი სასულიერო ჟურნალი: სასულიერო მოთხოვნილება თავის სამწყსოსი ჩვენს სამღვდელოებას იმდენად მივიწყებული აქვს, რომ ოცის წლის განმავლობაში ვერ ითავა გადათარგმნა რუსულიდგან ერთის პატარა სასულიერო წიგნისა, რომელიც უსაჭიროესს რასმე შეადგენდა სახლობისათვისაც და სკოლისათვისაც და რომელიც მხოლოდ ერთის წლის წინედ გადმოთარგმნილ იქმნა საერო პირის შრომითა.

ბლაღოჩინების და მაზრის უფროსების მოხსენებათაგან, რომელნიც მიღებულნი არიან სინოდალურს კანტორაში და გუბერნიის მმართველობაში, სჩანს, რომ მტრული განწყობილება მღვდელსა და სამწყსოს შორის საზღვარს გადასულა. სასულიერო მთავრობამ საქმის წაღმა დატრიალებისათვის და ნაყოფიერის კავშირის აღდგენისათვის მღვდელთა და სამწყსოთა შორის რაღაც საცოდავი ტაქცია მრევლის გადასახადისა გამოიგონა, მაგრამ თუ ამისთანა წვნიკის ღონის-ძიებით შეიძლებოდეს დიდის ბოროტების მოსპობა, ქვეყანაზედ ბედნიერების დამყარება უადვილესი საქმე იქნებოდა. აქ სრულიად სხვა-გვარი ღონისძიებანი არიან საჭირონი.

ერთი უმთავრესი ღონის-ძიება არის ჭეშმარიტს გზაზედ დაყენება სასულიერო ახალგაზდობის აღზრდისა და სწავლისა. სასულიერო სასწავლებლების და სემინარიის ორგანიზაცია სრულიად უნდა შეცვლილ იქმნას. ბერძნულ-ლათინურ-რუსულის ხასიათის მაგივრად, მათ უნდა მიიღონ ქართულ-რუსული ხასიათი. ძველის ენების სწავლება საჭიროა სრულიად მოისპოს და მათ მაგიერ საფუძვლიანად და განვითარებით ასწავლონ ქართული და რუსული ენები. უფრო დიდი წილი ძველის ენებისათვის გადადებულის გაკვეთილებისა უნდა ეწილადოს ქართულის ენის კათედრას, რომელიც უნდა იპყრობდეს: ქართულს ვრცელს გრამატიკას, ჩვენს სასულიერო და საერო ლიტერატურას, საქართველოს ისტორიას საეკლესიოსა და სამოქალაქოსა და სხვ. მაგრამ მარტო ქართულის კათედრის დაარსებით საქმე ვერ გასწორდება. ეს ცვლილება მხოლოდ შეამცირებს ბოროტებასა, მაგრამ მის მოსპობას კი ვერ შეიძლებს. ნამდვილის სასულიერო მწყემსების აღზრდას ქართველის ხალხისათვის მხოლოდ მაშინ მოვესწრებით, როდესაც სასულიერო სასწავლებლებში დაწესდება სწავლება ყველა საგნებისა ქართულს ენაზედ, რუსულს ენაზედ გამეორებით და სემინარიაში ნახევარი წილი საგნებისა ისწავლება ქართულს ენაზედ. ამ გვარი მომართვა და დაწყობა სწავლისა საფუძვლიანად შეასწავლინებს მოწაფეებს არა მარტო საგნებს და ქართულს ენასა, არამედ რუსულშიაც ახლანდელზედ ერთიორად მომეტებულად დაახელოვნებს მათ, რადგანაც სრულიად მოსპობს იმ თუთიყუშობას, მექანიკურს ზეპირ-სწავლობას, რომელიც ეხლა სასულიერო ახალგაზდობას ტვინს უწყალებს, საგნების შეგნებას უშლის და რუსულის ენის გონივრულს შეთვისებას თითქმის შეუძლებელსა ხდის.

ძალიან შემცდარი იქნება მკითხველი, თუ ამ ჩვენს აზრს რადიკალურ რამე ჩასთვლის: ქართულს ენაზედ სწავლება საგნების ხომ უფრო ძნელი ნაწილია ჩვენის მოსაზრებისა; მაგრამ ეს აზრი ერთხელ უკვე გამოთქმული იყო სასულიერო მთავრობისაგან ოფიციალურს ქაღალდში. 1866 წელს, თუ შემდეგში,—კარგად აღარ გვახსოვს, შენიშნეს ის მოვლენა, რომ ქართველი მღვდლები არამც თუ ქადაგებას არ ამბობენ ეკლესიებში, საეკლესიო წიგნებსაც კი ჯლოყინით, ჩათვლით და ბორძიკით კითხულობენო. ეს შეენიშნა მაშინდელს ექსარხოსს ევსევის და თავისით შეეტანა თბილისის სასულიერო სემინარიაში წინადადება ქართულის ენის სწავლების გაძლიერების შესახებ. ამ წინადადებაში სხვათა შორის აღიარებული იყო საჭიროება და სარგებლობა რამდენიმე საგნის სწავლებისა ქართულს ენაზედ. სამწუხაროდ ამ აზრის ასრულება გადადებულ იქმნა სემინარიის მთავრობის მხრივ ახალის წესდების შემოღებამდის და ამ შემოღების დროს მაშინდელის ობერ-პროკურორის გრაფის ტოლსტოის ჩინოვნიკები წინააღუდგნენ არამც თუ ქართულს ენაზედ საგნების სწავლებასა, ქართულის კათედრის დაარსებაც უსარგებლოდ ჩასთვალეს. ტოლსტოი ახლა აღარ არის, სინოდს ახალი ობერ-პროკურორი ჰყავს, კავკასიასაც ახალი მთავარ-მმართებელი მოსდის და გვგონია, რომ მარჯვე დროა აღვძრათ კითხვა ჩვენის სასულიერო სასწავლებლების და სემინარიის რეორგანიზაციაზედ, გადაკეთებაზედ, იმ სახით, როგორც ზევით მოვიხსენიეთ. თაოსნობა და შუამდგომლობა ამ საქმეში შეუძლიან იკისროს თავადაზნაურთა კრებამვე...

ამ სიტყვების მივმართავთ არა მარტო აღმოსავლეთის ქართველობას, არამედ უფრო მომეტებულად დასავლეთის სამ-

ღვდელოებას, რომელმაც წარსულს წელს გადასწყვიტა სასულიერო სემინარიის დაარსება ქუთაისში და თავისივე ღარიბის ჯიბიდგან აღუჩინა მას სახსარი არსებობისა. ამ სემინარიას შეუძლიან მოუტანოს დიდი სარგებლობა მთელს მხარეს მხოლოდ მაშინ, თუ იგი სხვა გზაზედ იქნება დაყენებული, სხვა ნიადაგზედ გამაგრებული და სხვა გვარად გაწყობილი, ვიდრე თბილისის სემინარია. მაგრამ, თუ ქუთაისის სემინარია შეიქნა კოპიო თბილისის სემინარიისა, მაშინ იქაც იმავე მწარეს და მავნე ნაყოფს მოვიმკით, რომელიც აქ შეგვძღვნეს. ეს სახეში უნდა იქონიოს იმერეთის სამღვდელოებამ და ყოველი ღონისძიება იხმაროს, რომ ბერძნულ-ლათინურ-რუსულის სემინარიის მაგივრად დაარსოს ქართულ-რუსული სემინარია. ჩვენის მოსაზრების ასრულება ბევრით უფრო ადვილია ქუთაისის სემინარიის შესახებ, ვიდრე თბილისისა: დასაარსებელ სასწავლებლის ახალ ფეხზედ დაყენება ერთი-ათად ნაკლებ ჯაფას ითხოვს, ვიდრე ძველის გარდაკეთება. თბილისის სემინარიას საეკლესიო ხაზინა ინახავს და ამიტომ სამღვდელოებას დიდი ხმა არა აქვს მის მართვაში და განგებაში. ქუთაისის სემინარია კი არსდება ადგილობრივის სამღვდელოების ხარჯით, რომელსაც ამის გამო სრული უფლება აქვს იმ გვარი ორგანიზაცია მისცეს, რაც უფრო ზედ-გამოჭრილად მიაჩნია ჩვენის ქვეყნის მოთხოვნილებაზედ.

III

ეროვნულის პრინციპის და ეკონომიურის აღორძინების ერთმანერთზედ დამოკიდებულება.— რად ჩამორჩით უკან ეკონომიურის კითხვების განვითარებაში?— ადგილ-მამულის სივიწროვე საქართველოში.— სად და ვინ უნდა იქმნას გადასახლებული ჩვენის ქვეყნიდგან.— ხმა სწავლების ფასის მომატებაზედ.

დიაღ, კარგი რამ გახლავთ ეროვნობითის პრინციპის დამყარება ყოველს სფეროში, მაგრამ მარტო ეს არ არის საკმარისი ქვეყნის დაყენებისათვის ბედნიერების გზაზედ. თუ მომეტებულად არა, იმოდენადვე მაინც საჭიროა ზრუნვა სოციალურს ცვლილებაზედ, ხალხის ეკონომიურ მდგომარეობის გაუკეთესოებაზედ. მართალია, დოვლათის აღორძინებაზედ ეროვნულს უფლებათა აღდგენასაც კეთილი გავლენა აქვს, მაგრამ პირდაპირ არა, მხოლოდ შუამავლობით. მეორე მხრით ეკონომიურად აყვავება ქვეყნისა ხდება შეურყეველს ბურჯათ ეროვნებითის აღორძინებისა. ამ სახით ეს ორი დედაბოძი ხალხის ცხოვრებისა ერთმანერთს მხარს აძლევენ, ხელი-ხელს არიან გადაბმულნი და მათი დაცალკევება და გაყრა ხეირს არ დააყრის არც ცალკე პირსა და არც საზოგადოებასა. ეს კარგად ესმოდა ჩვენს ინტელიგენციასა და ამიტომ იგი ცდილობდა, რომ ეროვნულ საქმეებთან ჯეროვანი ყურადღება მიექცია სოციალურ და ეკონომიურ კითხვებისათვისაც, მაგრამ უნდა გავტყდეთ და აღვიაროთ, რომ სოციალურის და ეკონომიურის კითხვების შემუშავება ტოლად არ მიდიოდა პირველის კითხვების განვითარებასთან და თვალ-საჩინოდ უკან რჩებოდა. ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ ეროვნული მდგომარეობა უფრო საშიში იყო,ვიდრე ეკონომიური; ეროვნული მხარე

ჩვენის არსებობისა უფრო ძლიერ გვტკიოდა, გვაღონებდა, ვიდრე სოციალური, ე. ი. ნათქვამია, რომ რაც უფრო მეტად სტკივა კაცს, იმაზე უფრო ხშირად სჩივის ხშირად ლაპარაკობსო. ქონებით ჩვენი გლეხობა უკან არ ჩამორჩება რუსეთის გლეხობასა; მაგრამ აბა შეადარეთ ჩვენის ენის, ლიტერატურის, ჩვენის მეცნიერების და სხვა ეროვნების ძალთა უფლებანი რუსეთისასა და თქვენ მათ შორის დაინახავთ გაუზომელს მანძილსა.

მცირეოდენი ნაწილი ჩვენის ინტელიგენციისა, რომელსაც არ ესმოდა ეროვნულის პრინციპის დიდი და მაღალი მნიშვნელობა და რომელიც იჩემებდა დემოკრატების სახელსა და მარტო ნივთიერობითს ცვლილებას ვითომ თაყვანსა სცემდა, ვალდებული იყო მიექცია თავისი ყურადღება ეკონომიურ კითხვებისათვის, გამოეკვლია იგინი და ცდილიყო შესაბამი ცვლილება გამოეწვია ხალხის ნივთიერის მდგომარეობისა. მაგრამ მან საბაკევიჩის თანამდებობა არჩია ამას. კიცხვა და ლანძღვა ეროვნობითის პრინციპის მოსარჩლეთა საქმეთ გაიხადა; ეკონომიურს მდგომარეობას ჩვენის ხალხისას ერთი წერილიც არ უწილადა და ამითი აშკარად დაამტკიცა, რომ ხალხის ნამდვილი მოყვარეობა მას ჯერედ ენის წვერის ქვემოთ არ წასვლია.

ეს გახლავთ უპირველესი მიზეზი, რომ, თუმცა გლეხობის განთავისუფლების შემდეგ გაიარა ჩვიდმეტმა წელიწადმა, მაგრამ ჩვენმა საზოგადოებამ აქამდის საფუძვლიანად არაფერი იცის ჩვენის ქვეყნის ეკონომიურს მდგომარეობაზედ. არ ვიცით, რამდენმა კომლმა გლეხმა დააღწია ბატონ-ყმობის უღელიდგან თავი, რამდენმა მიიღო სრული ნადელი, რამდენმა ნაკლები, რამდენი დარჩა სრულიად ბოგანოთ, ეულათ, რა გავ-

ლენა იქონია დოვლათის შემენაზედ ბატონ-ყმობის მოსპობამ, უკან წავიდა ჩვენი გლეხობა, როგორც რუსეთისა, თუ წინ მიდის, რამდენმა გამოისყიდა ნადელი და რამდენმა ვერა, რამდენი მამულ-დედული დაჰყიდა თავად-აზნაურობამ, რამდენი გადავიდა გაყიდული მამული გლეხების ხელში და რამდენი ჩაუვარდა სომხებს, სად და რაოდენი სივიწროვეა მიწისა, რამდენად უჭირს ჩვენს გლეხობას თავისუფალს მიწაზედ გადასახლება დ სად უფრო მოუხდება ეს გადასახლება და სხვანი და სხვანი.

ამ კითხვების გამოკვლევას ჩვენში განსაკუთრებულს მნიშვნელობას აძლევდა ის გარემოება. უკვე ხსენებული ჩვენგან განმარტებითს წერილში, რომ საქართველოში გლეხობა შეადგენს ცხრა ნაწილს მცხოვრებლებისას და მხოლოდ მეათე ნაწილი ქართველებისა ეკუთვნის სხვათა წოდებათა.

ჩვენი ჟურნალი შემდეგში ეცდება ეკონომიურს კითხვებს უმთავრესი ყურადღება მოახმაროს, რადგანაც ეროვნულის პრინციპის მნიშვნელობა თეორიით საკმაოდ არის განვითარებული და მოელის მხოლოდ პრაქტიკულს აღსრულებასა. ამ ჟამათ კი ჩვენ მოკლედ განვმარტავთ მხოლოდ ერთს ხსენებულს კითხვათაგანს. რამდენად უჭირს ჩვენს ხალხს თავისუფალი მიწები გადასახლებისათვის და სად უნდა გადასახლდეს?

რუსეთის უმიწო გლეხების გადასახლებაზედ ერთი წელიწადია რაც დიდი ბაასი დ სჯა არის მწერლობაში, საზოგადოებაში და თვით მმართებლობამაც იმდენი ზრუნვა ამოუჩინა, რომ დანიშნა განსაკუთრებითი კომმისია გადასახლების თაობაზედ, რომელმაც ავად თუ კარგად უკვე შეასრულა თავისი მინდობილობა. რუსეთის გლეხების გადმოსახლებას ჩვენშიაც აპირობენ. ამას ქადაგებდენ ზოგიერთა რუსული ჟურნალ-გა-

ზეთები, წარსულის წლის «კავკაზმაც» ბანი მისცა და მართებლობას კიდეც გამოუგზავნია აგენტები, რომელთაც უნდა დაათვალიერონ და ამოარჩინონ ცალიერი ადგილები შავის ზღვის ახლო რუსეთის გლეხობისათვის.

მაგრამ შინ რომ ყმაწვილი სტიროდეს, გარეთ ტაბლას რა უნდაო. საქართველოს გლეხობას... უფრო მომეტებულად უჭირს თავისუფალი მიწები და გადასახლება, ვიდრე რუსეთისასა. რუსეთში ერთს კვადრატის მილზედ საშუალო რიცხვით სცხოვრობს 500 სულამდის; ჩვენში ამავე სივრცეზედ მოთავსებულია 1000 სულამდე. თუ სახეში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ საქართველოს ნახევარი მთებს უჭირავთ, რომელნიც სახნავ-სათესად არ ვარგანან, მაშინ ცხადად დავინახავთ, თუ რამდენად აღემატება ჩვენებური სივიწროვე მიწისა რუსეთის სივიწროესა... კავკასიის ჰაერი და ბუნება ისე ძლიერ განსხვავდება რუსეთის ჰაერისა და ბუნებისაგან, რომ რუსის გლეხობა აქ ვერ გაძლებს და შეიქნება მსხვერპლი სხვა-და-სხვა ავადმყოფობისა. გამოცდილებამ უკვე დაამტკიცა ესა. ქართველი გლეხობა კი შავი ზღვის ნაპირას არხეინად იცხოვრებს, როგორც თავის სამშობლო ქვეყანაში; ნაბოძებ მიწებს კარგად მოიხმარებენ, დოვლათს შეიძენენ, თვითონაც ისარგებლებენ და სახელმწიფოსაც არგებენ...

მაგრამ სივიწროვე თანასწორად არ არის მთელს ჩვენს ქვეყანაში. თუმცა აღმოსავლეთის საქართველოშიაც სახნავ-სათესი იმდენად ნაკლებია, რომ ხიზნები ზოგან მეოთხედის მაგიერ ამ ჟამად იხდიან მემამულეების სასარგებლოდ მესამედზედაც მეტსა მიწის მოსავლიდგან, მაგრამ დასავლეთის საქართველო ერთი-ორად და სამად მომეტებულს სივიწროვეს ითმენს. ეს ცხადადა სჩანს პირველად სტატისტიკურის ცნობე-

ბიძგან. აღმოსავლეთის საქართველოში ერთს კვადრატის მილზედ ითვლება 800 სული, დასავლეთისაში 1200—1300 სული. თუ იმასაც დავუმატებთ, რომ ლიხის მთის იქით მთები და ჭაობები ბევრად მომეტებულია, ვიდრე აქეთ, დავრწმუნდებით, რომ ჩვენი დასავლეთელი ძმები ერთი-ორად მომეტებულს სივიწროეს იტანენ, ვიდრე ჩვენა. ეს გახლავთ იმ მოვლენის მიზეზი, რომ, თუმცა იმერლებს, მეგრელებს, რაჭველებს და გურულებს არავისზედ ნაკლებ არ უყვართ არც სამშობლო მხარე, არც თავისიანობა... მაგრამ იძულებულნი არიან დასტოვონ ყველაფერი, დაიფანტნენ აქეთ-იქით ან მთელის წლობით, ან მარტო ზამთრობით, გახდნენ ლაქიებათ, მზარეულებათ, კუჩრებათ, კურტნიან მუშებათ და მოიპოვონ საცხოვრებელი ღონისძიება, რომელსაც მათ ვერ აძლევს მათი პაწია, ერთის მტკაველის ოდენი უძრავი ქონება.

მაგრამ ჩვენის ქვეყნის დასავლეთის ნახევარსაც თანასწორად არ აწუხებს სივიწროვე. იმერეთი და გურია ისე შევიწროებულნი არ არიან მიწის ნაკლებულობით, როგორც რაჭა დ სამეგრელო. რაჭაში ღვიური მიწა ფასობს ოთხმოც თუმნამდის, სამეგრელოშიაც მიწა თითქმის ამდენადვე ძვირია. ეს საკვირველიც არ არის: სამეგრელოში თითო კვადრატის ვერსზედ სცხოვრობს 1800 სული. ამ სივიწროვეს ერთი-ორად ხდის ის გარემოება, რომ ნახევარი სამეგრელო ტყესა და ჭაობს უჭირავს, რის გამოც თითო გამოსადეგს კვადრატის ვერსზედ აქ 3600 სული მოდის. ეს ისეთი სივიწროვეა, რომელიც რუსეთის არც ერთს კუთხეში არ გაგონილა. ეს სივიწროვე ერეკება მეგრელებს სამუშაოდ ზოგს აღმოსავლეთისკენ, ზოგს დასავლეთისკენ და ზოგს სამხრეთისაკენ. ამისთა-

ნავე ვიწრო ტაიგაში იწვის, როგორცა ვსთქვი, რაჭაც თავის პატიოსანის და მუყაითის მცხოვრებლებითა.

ამაზედ უფრო დიდი ჭირი ჩვენს ქვეყანას ამ ჟამად არ ადგია. ამაზედ უსაჭიროესს საქმეს ჩვენი მწერლობა და საზოგადოება ვერ აღძრავს. ჩვენი გავლენიანი პირნი უდიდესს სიკეთეს შესძლვნიან ჩვენს ქვეყანას, თუ თავის შუამდგომლობით მთავრობის წინაშე ჩვენს უმამულო გლეხობას გამოუთხოვენ საკმარის თავისუფალს ადგილებს ბათუმის მაზრაში და აფხაზეთში. მეტადრე დიდი გარჯა და ყურადღება მართებს ამ საქმისათვის დასავლეთის საქართველოს განათლებულს ნაწილს საზოგადოებისას. წერით, თუ სიტყვით მან უნდა ხმა-მაღლა იღაღადოს ამ უდიდესის საჭიროების დაკმაყოფილებაზედ, სთხოვოს, სჩიოდეს, იშუამდგომლოს და იქამდის არ დაცხრეს, ვიდრე საქმე კეთილად არ დაბოლოვოს...

უსლარი და იმისი თხზულება

«უძველესნი თქმულებანი კავკასიაზე.»

(წერილი მეორე).

თვით თხზულება უსლარისა «უძველესნი თქმულებანი კავკასიაზე» შესდგება სულ ექვსის თავისაგან და შინაარსით შეიძლება განყოფილ იქმნას სამს ნაწილად. პირველს ნაწილს შეადგენს მეორე თავი. იგი შეიცავს საზოგადო ლინგვისტიურ მოსაზრებათა სხვა-და-სხვა საგნებზე და წარმოადგენს თითქო შესავალს, ხელ მძღვანელ დედა-აზრებს და გზის მაჩვენებელს ფარანს იმ გაუვალ ფაქტების ტყეში, რომელიც გადაჭიმულია დანარჩენს ნაწილებში. ჩვენ დავიწყებთ მეორე ჩვენს წერილს ამ შესავალზე საუბრით, თუმცა იგი ჩვენგან გაუგებარის მიზეზისა გამო თხზულების მეორე თავშია მოქცეული. ეს შესავალი, ეს პატარა თავი, ისე საინტერესოა თუ შინაარსით, თუ აზრების მოკლედ გამოხატულობით, რომ მკითხველი კარგს იზამდა, არ დასჯერებოდა ჩვენს შენიშვნებს და თვით ჩაეკითხნა იგი.

მეორე ნაწილში, რომელსაც ამ წერილშივე გავაცნობთ მკითხველს და რომელსაც მჭიდრო კავშირი აქვს პირველთან, უსლარი უახლოვდება თავის დიდის თხზულების საგანს, ჩვენს კავკასიას, ცდილობს მოაშოროს ბინდ-ბუნდი ისტორიის უწი-

ნარეს დროებისა, განუსაზღვროს მას ადგილი ძნელის და მი-
ბნელებულის უუმველეს თქმულებათა გარკვევით ისეთ საგ-
ნებზე, რომელნიც დიდი ხანია აწუხებენ კაცობრიობის გონებას
და მის ცხოველ-მყოფელს აზრს. ხოლო მესამე ნაწილი თხზუ-
ლებისა შეიცავს თვით თქმულებათა კავკასიაზე, იმ დროიდამ
დაწყობილი, საიდამდისაც კაცს გონება მიუწვდება და საიდამდი-
საც შორს-გამჭვრეტელი ლინგვისტიკის და ენათა შედარების
ანალიზი მიაღწევს.

ეს ნაწილი ჩვენთვის ისე შესანიშნავია, რომ ვგონებთ
მკითხველი არ დაგვემდურება, თუ მის განხილვას მოვანდო-
მებთ საკუთრად მესამეს და უკანასკნელს ჩვენს წერილს.

რისგან წარმოსდგება, რომ ერთი ერი მეორე ერს არა
ჰგავს, ერთის ერის განსაკუთრებული ფერი და თვისებანი სხვა
არის და მეორესი სხვა? ან კიდევ: ერთის წყვილისაგან წარ-
მოსდგა მთელი კაცობრიობა, თუ სხვა-და-სხვა ადგილას სხვა-
და-სხვა დროს გაჩნდა კაცი? ენა კაცობრიობისა ერთს საფუძ-
ველზედ არის დამყარებული, ე. ი. ერთის პირველ-ქმნილის
ენისაგან წარმოსდგება ენა ყოველ-გვარის ხალხისა, თუ სხვა-
და-სხვა ხალხს სხვა-და-სხვა ენაც თან დაჰყვა? აი ამ გვარის
კითხვების გარკვევით იწყობს უსლარი თავის თხზულების მე-
ორე თავს.

კაცის ზრდა და განვითარება, რასაკვირველია, დამოკი-
დებულია გარეგან ბუნების ზედ-მოქმედებაზედ, რომელიც შექ-
ქმნის შემდეგ შინაგანს მიზეზებს და ეს ორი ძალა, გარეგა-
ნის და შინაგანის ზედ-მოქმედებისა კაცის ბუნებაზე ზრდის
და ავითარებს კაცის როგორც ბუნებრივს, ისე სულიერს მხა-
რეს. კაცი შედეგი არისო მიზეზებისა და გარემოებათაო, ამ-

ბობენ მცოდნენი, მაგრამ მართალია განა, რომ კაცი სრულიად დამოკიდებულია იმ მიზეზებზედ, რომელნიც მის დაბადების შემდეგ მოქმედობენ მასზედ? განა, მართალია, რომ კაცი ქაღალდია, რომელზედაც რასაც გინდა იმას დასწერ? არა, არ ითქმის ესა. აგრეთვე არ ითქმის ეს ხალხზედ, მთელს ერზედ. როგორც კაცი იბადება და თან ჰყვება მას მემკვიდრეობითის ნიჭის გამო აგებულება მშობლებისა, წინა-პართა, მათი სულის თვისებანი, აგრეთვე მას ჰყვება თან ისეთი თვისებაც, რომელიც გაარჩევს სხვა კაცისაგან. არ არის და არც ყოფილა ორი კაცი ყოველისფერში ერთმანერთის მზგავსი; აგრეთვე არ არის ორი ერი, რომელიც ერთმანერთში არ განსხვავდებოდეს.

მართლადაც, ნუ თუ მარტო გარეშემო ბუნებასა აქვს ისეთი დიდი გავლენა ხალხზედ, როგორც ზოგიერთებსა ჰგონიათ? ამბობენ, ერთი და იგივე ბუნება ერთს გვარად აღზრდის და ერთის ბეჭდით აღბეჭდავს სულ სხვა-და-სხვა ხალხსაო. მაშ რატომ ოსმალო, რომელმაც საბერძნეთი დაიპყრო და მშვენიერ ბუნების გავლენის ქვეშ იზრდება, არ დაემზგავსა უწინდელს ბერძენს, ან ამერიკელნი რატომ ფიზიკურის და სულიერის ორგანიზაციით არ დაემზგავსებიან წითელ-კანიან ინდიელებს, რომელთაც ეს ქვეყანა ევროპიელების მისვლამდე ეჭირათ? არა. ბუნების გარდა სხვა მიზეზიც არის განსხვავებისა ხალხთა შორის. ეს უფრო დაბეჯითებით ითქმის იმათზე, რომელნიც ეკუთვნიან სხვა-და-სხვა მოდგმის (раса) ხალხთ, რომელთ შორის განსხვავება თვით ფიზიკურს აგებულებასავე ეტყობა. მაგ., უსლარის აზრით, ზანგი რა გვარის გარემოებითაც უნდა იყოს მოცული, პროგრესის მიუწდომლობას გამოიჩენს და ევროპიელს ვერ დაედრება. ჩინეთს ათასი და ათი-ათასი წე-

ლიწადი უცნოვრია და ერთი ხანა არ არის მის ხანგრძლივს ისტორიაში, რომელშიაც მას გამოეჩინა უმაღლესი ნიჭიერება კაცობრიობის სულისა. ამ გვარსავე მდგომარეობაში იმპერია ინკებისა და აცტეკებისა. «ველურნი ოკეანიისა, განაგრძობს უსლარი, ვერც შეიძლებენ შეითვისონ ევროპიული განათლება, ვერც შეიძლებენ განვითარდენ თავისით; იგინი არიან ბავშვნი, რომელნიც დიდებს აჯავრებენ, ბავშვობაში ბერდებიან და ჩქარის ნაბიჯით მიილტვიან უდროვოდ საფლავისაკენ.» ჯერ ამ უსიხარულო მოვლენას ვამჩნევთო და შემდეგ არ ვიცით, რა იქნება, თუმცა კი არ უარ-ვყოფთ სრულიად, რომ როდისმე შემდეგში მათაც არ შეეძლოთ განვითარების გზაზე დადგომაო. რისგან წარმოსდგა საზოგადოდ ეს განსხვავება? ვიდრე ამ კითხვაზედ პასუხს მივუგებდეთ, საჭიროა სხვა საგანი გამოვიკვლიოთ. იგი მოგვცემს შეძლებას, რომ ამ კითხვასაც პასუხი ვუპოვოთ.

აი ეს მეორე საგანი: როგორ გაჩნდა თავდაპირველად ენა და ლაპარაკი? ამ საგნის გარკვევით, სხვათა შორის, თვალწინ გადგვეშლება ის დიდი მნიშვნელობა და ინტერესი, რომელიც შედარებითს ენათა გამოკვლევას, ანუ შედარებითს ენათაცოდნასა აქვს.

იმ თავიდამვე საასპარეზოდ გამოდის ისტორიაში ხან ერთი მოწინავე ხალხი, ხან მეორე. ერთი იღვაწებს, იწაღმართებს, თავის ნიჭსა და გონებას დაასრულებს, შექმნის თავისებურს კულტურას, განათლებას და გაჰქრება, გადაშენდება; მერე გამოდის მეორე, მესამე და სხვანი. დანარჩენნი მათ მისდევენ უკან და მოწინავეობას ვერ იჩენენ. ერთს კულტურას მეორე კულტურა ზედ ეშლება, ზედ ეფინება «გეოლოგიურ ზოდებსავით.» ყველა ეს ასპარეზზე გამოსულნი ხალხნი

კავკასიის ხალხთა მოდგმას (кавказская раса) ეკუთვნიან, სახელდობრ: ინდუსები, ეგვიპტელები, ბაბილონელნი, ასურელნი, ფინიკიელნი, ებრაელნი, რომაელნი, გერმანიელნი და სხვ.

უკეთუ ეს უპირატესობა კავკასიის მოდგმის ხალხისა სხვა მოდგმის ხალხებზედ, მაგ. მონგოლებზედ, მარტო გარეშე მიზეზებისაგან წარმომდგარი არ არის, იგი უნდა იყოს ზნეობითი, მორალური. თუ ეს მართალია, ეს ზნეობითი უპირატესობა ისე თვალ-საჩინოდ არას დროს აღმოჩნდებოდა, როგორც ამ მოდგმის ხალხთა სიყმაწვილის ჟამს, როცა ის იყო გამოდიოდენ სასპარეზოდ. უსლარი ამბობს, რომ ეხლა კავკასიის მოდგმა დაყოფილია ათას ტომად და ხალხებად, რომელნიც დიდად განირჩევიან ერთმანერთში, თუმცა ჩვენ ვხედავთ მათში ერთს შემაერთებელს კავშირს, ერთს დასაბამს. ეს საერთო დასაბამი მაშინ უფრო აშკარა იქნებოდა, როცა მთელი მოდგმა ერთს ხალხს წარმოადგენდა, ერთს საზოგადოებას, იქნება ერთს ოჯახსაცა.

«რაღა საშუალება გვაქვს, ჰკითხულობს უსლარი, რომ ცოტათი მაინც თვალი მოვკრათ იმ ისტორიისათვის ძნელად მისაწდომელს დროს? უძველესნი მატიანენი ხალხისა ეკუთვნიან უფრო ახალს დროებას; პოეტური კოსმოგონიები და სამღვთო მითები მხოლოდ ნაგვიანევი ცდა არის კაცობრიობის გონებისა — ახსნას საკვირველი სასწაული კაცისა და ქვეყნის შემოქმედობისა,—მაგრამ არის ერთი სხვა საშუალება.»

«პირველ-ქმნილმა კაცმა თავის გაჩენის პირველსავე დღეს ენა აიდგა. ბანი იმათის ლაპარაკისა ისმის დღესაც; ყური რომ დაუგდო კაცის ლაპარაკს, შეადგენ აზრს თვით კაცზე.»

უსლარი აღიარებს, რომ ენის გაჩენის ახსნა ძნელია,

ისე რომ ყოველივე ეჭვი გაფანტული იყოს. ენა არ არის საუკუნოებით ნაწარმოები კაცის გამოგონების ნიჭისა, როგორც ჰფიქრობდენ ზოგიერთნიო (კონდილიაკ, კონდორსე, რუსო) ჲ არც უმაღლესად შექმნილია შემოქმედისაგან, როგორც ჰგონიათ სხვებსაო (ბონალდ, მესტრ ჲ სხვ.) და აი რათაო: პირველი აზრი, რომ მართალი იყოს, მაშინ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ ყოფილა დრო, როცა კაცს არ შესძლებია ლაპარაკი, უტყვი ყოფილა და აზროვნობა კი ჰქონია, რომელსაც ტანის მოძრაობით, ან სახის გამომეტყველებით, ან კიდევ უკავშირო შორის-დებულით გამოხატავდა; ვითომ მერე საჭიროებისამებრ პირველმა ხალხმა სიტყვას მიჰმართა და პირი შეჰკრა ამ ნაირად ერთი-ერთობა გავწიოთო. აქ ორი აზრი გამოდის ერთი-ერთმანერთთან მოუთავსებელი. უტყვნი სულიერნი აზროვნობის ნიჭით არიან აღჭურვილნი; რომელი შემდგომი გამოგონება-ღა შეიძლება დაედაროს ენის გამოგონებას, თუ კი ოდესმე ენა მოგონილი ყოფილა! მეორე აზრი თუ მართალია, უნდა წარმოვიდგინოთ, რომ ღმერთმა ასწავლა ლაპარაკი კაცსა, რომელსაც ლაპარაკის ნიჭი კი არა ჰქონია. თუ ლაპარაკის ნიჭი არა ჰქონდა კაცს, როგორღა ისმენდა იგი ღვთის სწავლებას?

«მაშასადამე, ამბობს უსლარი, ერთიღა გვრჩება: ენის დასაბამი და მის გაჩენის დასაწყისი უნდა მოვძებნოთ კაცის თანშობილს ნიჭიერებაში, რომელიც სრულიად თავისუფალია, არ ემორჩილება არა რაიმე წინად-განზრახულებას და სდგას გარეშე ყოველ-გვარის ძალ-დატანებისა. ამ ნიჭიერების მოქმედება მაშინ იწყობა, როცა გარეგანი შთაბეჭდილება, ბუნების გავლენა მგრძნობიარე კაცის არსებაზე შთაისახება ტვინში და გარდიქმნება ცნებად. ამ ცნებას კაცი განამარტოვებს, განზი-

დავს ცალკე სხვა ცნებათაგან და განაერთებს მას სხვა იმნაირთავე ცნებათაგან განსაკუთრებით ხმის შემწეობით, სიტყვის მეოხებით. ეს თითქმის სუნთქვაა კაცის სულიერს ცხოვრებაში: მოქცევა შთაბეჭდილებისა და უკუქცევა სიტყვისა. სიტყვა რომ დია ნამდვილი გამომხატველი გარეგანის ბუნებისა, იგი გამოჰხატავს მას მარტო ისე, როგორც გარეგანი ბუნება შთაისახა კაცის სულიერს არსებაში. მაგრამ შინაგანი არსება ყოველის კაცისა ხომ ერთგვარი არ არის. ყოველის კაცის შინაგანი არსება, გარეშე ზოგად კანონებისა, თავის საკუთარის კანონების თანახმად მოქმედობს. მაშასადამე გარეგანი შთაბეჭდილებაც იხატება და ჰკრთის მასში იმავე კანონების თანახმად. ენა შეიქმნება, როგორცა ვთქვით, ინსტინკტიურად, როცა კაცს ჯერ არ შეუძლიან თავის შინაგანს არსებაზე დაფიქრება; ენა თავის გაჩენის პირველსავე დღეს კაცის მიერ ჩამოისხმის განსაკუთრებულს ყალიბში, მიიღებს ისეთს სახეს, რომელსაც შემდეგ ვერაფრით ვერ შესცვლით, ვერც მაღლ-დატანებით, ვერც ჭკუის ძალით. ამას ჰქვიან ერედ-წოდებული სული, ანუ ცხოველება ენისა. ვთქვათ ეხლა რომ ორმა თუ სამმა კაცმა ერთმანერთისაგან დამოუკიდებელად შექმნა ორი თუ სამი ენა: ყოველს მათგანში საერთო ნიჭი შემოქმედობისა სხვა-და-სხვა ნაირად გამოიხატება თანხმად იმ გარჩევისა, რომელიც არსებობს შემქმნელთა სულიერს არსების შორის და პირიქით თვით შემოქმედიც ცხადად გამოიხატება მისგან შექმნილს ენაში. აქედამ ვხედავთ, რა მნიშვნელობაცა აქვს შედარებითს ფილოლოგიას ისტორიაში!»

ამ ნაწყვეტიდამ ჩვენ მივხვდით, როგორ გაჩნდა პირველ-ქმნილი ენა და ისიც დავინახეთ, თუ რა მნიშვნელობა აქვს შედარებითის ფილოლოგიას; იმასაც მივხვდით, მართალად მაინც,

საიდამ იწყობა ის გარჩევა ხალხთა შორის, რომელიც თან-და-თან უფრო ძლიერდება და ბოლოს იქამდის მიაღწევს, რომ ორს მონათესავე ენით მოლაპარაკესაც ველარ შეატყობ, რაიმე ნათესავური კავშირი არსებობს, თუ არა მათ შორის.

თვით ენების მონათესავობას ზოგჯერ ძლიერ ადვილად შეატყობს კაცი, ზოგჯერ ისე ძნელია, რომ საჭიროა მის გამოსაშკარავებისათვის ღრმა ფილოლოგიური გამოკვლევა. რუსულის და პოლშურის ენის, ან ფრანცუზულისა და იტალიურის მონათესავობას სულ ადვილად შენიშნავს კაცი. გარნა ძნელია მონათესავობა შეამჩნიო ინდუსების და ევროპის მცხოვრებთა ენებს შორის, თუმცა შედარებით ენათა გამოკვლევამ ეს მტკიცედ აღიარა. შეიძლება ადვილადაც მოსტყუვდეს კაცი, თუ მომზადებული არ არის და გარეგანი, შემთხვევითი ნიშნები მიიღოს ნათესაობის ნამდვილს საბუთად. აქ იმასვე ვხედავთ, რასაც ქიმიაში, რომელიც ერთობას ჰპოვებს ნახშირსა და ალმასს შორის, თუმცა გარეგნობით სრულიად არა ჰგვანან ერთმანერთს; მაგრამ ქიმიავე ამტკიცებს, რომ არაფერია საერთო სრულიად მჟავ-ბადსა და წყალ-ბადს შორის, თუმცა განსხვავება მათი უსწავლელთათვის ეგრე ადვილი შესამჩნევი არ არის.

ამ ოცის წლის წინად იმასაც ამბობდენ, რომ პირველში ერთი ენა იყო და ამ ენისაგან წარმოსდგა ყოველი ენაო. კლაპროტი ამბობს: წმინდად იგი აღარსად დარჩენილა, მაგრამ მის ნაშთნი ყოველს ენაში მოიძებნებაო («Asia polyglotta»). ამ აზრს არ ეთანხმება უსლარი და ამბობს, რომ შედარებითს ფილოლოგიას ბევრი საბუთი აქვს მის დარღვევისათვისო და სხვათა შორის აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ ეგრეც რომ ყოფილიყო, იგი მაინც გაჰქრებოდა ისე, რომ არა-

ვითარს კვალს არ დასტოვებდაო. «ახლა სხვა-და-სხვა ენა დედა-მიწაზე ითვლება თითქმის 1000-მდე. ყოველს მათგანში 1000-მდე სიტყვის ფესვი მოიძებნება. თუ ახლანდელი ენები ერთის საზოგადო ენისაგან წარმოსდგნენ, იმ საზოგადო ენაში მილიონამდე მარტო სიტყვის ფესვები (коренные слова) უნდა ყოფილიყო! პირ-იქით, თუ იმ ენაშიაც 1000-სზე მეტი ფესვი არ იყო,—რაც ადვილად დასაჯერებელია,—მაშინ ის ათასი ფესვი ახლანდელის ათასის ენისათვის რომ გაგვეყო, თითოს თითო მეტი არ შეხვდებოდა.» ამას გარდა უსლარი ამბობს: ერთი ენა რომ ყოფილიყო პირველად, მაშინ ისიც უნდა მართალი ყოფილიყო, რომ გარეგანი ბუნება ერთ-გვარად გამოხატულა კაცობრიობის შინაგანს არსებაშიო. მაშინ ისიც უნდა აღგვეარა, რომ შემდეგი განვითარება კაცობრიობისა ერთისა-და-იგივე დასაწყისიდამ წარმოსდგება, როდესაც ისტორიის ფილოსოფიური შესწავლა სრულიად სხვას ამტკიცებს: ის განვითარება ერთის დასაბამისგან კი არა, არამედ სხვა-და-სხვა ერთი-ერთმანერთისაგან დამოუკიდებულ—დასაბამთაგან წარმოსდგებაო...

შემდეგ უსლარი განმარტებს—როგორ შეიქმნა პირველად სიტყვები, ანუ ლექსიკონი და ამ სიტყვების დამოკიდებულებისა და ურთი-ერთობის გამოსახატავად თვით გრამატიკაც.

ენა შექმნა კაცმა ინსტინკტურად, უფრო გრძნობის შემწეობით, როცა ჭკუა და გონება სუსტად ჰქონდა მას გახსნილი. ახლაც ხმასა და შთაბეჭდილებას შორის იდუმალს დამოკიდებულებას უფრო მიხვდება ხოლმე გლეხი, რომელიც ინსტინკტით უფრო ხელ-მძღვანელობს ვიდრე გონებით. ჩვენთვის ეს დამოკიდებულება სრულებით მიუწდომელია. გლეხი

უფრო მარჯვედ მონახავს სიტყვას რომელიმე პირველად ნახული საგნის გამოსახატავად, ვიდრე განათლებული კაცი. იმ შთაბეჭდილებათა შორის, რომელთაც საგანი ან მოვლენა სახავს კაცზე, იგი არჩევს ერთს უფრო მძლავრს, შესაფერს და იმას აძლევს სახელწოდებად საგანს ანუ მოვლენას. ამ საქმეში, ანუ პირველად ენის შექმნის დროს, რასაკვირველია, დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ხმის-მიმზგავსებას. ამით აიხსნება, რომ რომელისამე ცნების გამოსახატავად სხვა-და-სხვა ენაში ხშირად ერთი-და-იგივე ხმები ისმის, თუნდ იმ ენებს შორის არავითარი მონათესავობაც არ არსებობდეს. უფრო ძნელი ასახსნელია,—როგორ წარმოსდგნენ ისეთი სიტყვები, რომელნიც ნივთიერს საგანს კი არ გამოსატვენ, არამედ თვისებას, მაგ. სამწარე, სიტკბოება, წყურვილი, სურვილი და სხვ. ჩინურს ენაში დღესაც არ არის სიტყვა «ღმერთი.» რასაკვირველია, უფრო დიდის ნიჭით დაბადებულს ხალხს შეუძლიან შექმნას ენა მდიდარი იმ გვარ სიტყვებით, რომელნიც ნივთიერ ბუნებას არ ეკუთვნიან.

მაგრამ ამაზე უფრო საყურადღებოა შექმნა გრამატიკისა ხალხისაგან. თუ ხალხს სიტყვა არა აქვს, სხვა ხალხის ენიდგან გადმოიღებს და შეითვისებს, მაგრამ გრამატიკულის ფორმის შექმნა ახლად შეუძლებელია; ამისთვის ყოველი გადმოღებული სიტყვა, რომელს ენაშიაც გადმოსულა, მის გრამატიკის ფორმებს შესთვისებია. «საჭიროც არ არის მოვიხსენოთ, რომ ნამდვილი სიმდიდრე ენისა გრამატიკაშია დაცული. ენა არის ორგანიზმი, ცოცხალი ორგანოვანი არსება, ხოლო გრამატიკა—მისი ფიზიოლოგია.

გრამატიკულის სისტემის მხრივ ენები სამს გვარად განიყოფებიან. პირველ-გვარი, როგორც მაგ. ჩინური ენა წარ-

მოადგენს დაბალს ხარისხს ენის გავითარებისას. ჩინურს ენაში არის ფესვები სიტყვისა, და არა თვით სიტყვები, რომელნიც ერთ-მარცვლოვანნი არიან და მუდამ უცვალებადნი. მაგალ. სიტყვებს: წერილი, ვწერ, მოწერილობა, წერილობითი—ერთი ფესვი ეტყობათ; წერ. ეს წერ არაფერს არ წარმოადგენს: არც სახელ-არსებითს, არც ზედ-შესრულს, არც ზმნას. მაგრამ შეიძლება ისიც გახდეს, ესეც. ამ ფესვებს და ხმებს ვერ გადასცილდება ჩინეთის გრამატიკა, ამბობს უსლარი. იმ ენაში არც ლექსთ-წარმომავლობაა (словопроизводство), არც სიტყვის ნაწილნი, არც განკლედობანი და არც უღვლილებანი. ურთი-ერთობა სიტყვებისა გამოიხატება გარეგანის განწყობილებით, ისე მკაცრად, როგორც ციფირების წერაში. სიტყვას მნიშვნელობა ეძლევა იმ ალაგის კვალობაზედ, რა ალაგიც უჭირავს. საშინელებაა ამ ნაირი ენა. როგორ არ მოჰკლამს ცხოველს აზრს ეს უსულო მექანიზმი და როგორ არ დაალრჩობს იგი კაცის შემოქმედობის ნიჭს, მის ფრთა-შესხმულის აზრის ალმა-ფრენას! ცხოველი სიტყვა! ყოველს ჩვენგანს ესმის რა ღრმა აზრი სძევს ამ გამოხატულებაში: «განა შეიძლება, რომ ჩვენი ცხოველი სიტყვა ჩინეთის ენის ყალიბში მოთავსდეს? განა შეუძლიანთ ჩინელებს რაიმე ნაყოფიერი წყობილება შეითვისონ ევროპის განათლებისა? შეუძლიანთ მისწვდენ იგინი პროგრესს, რომლის ცხოველი სიარული საათის ხაზინის (механизмъ) გაუკეთესოებას კი არა ჰგავს—ამ ნაირს პროგრესს იგინი მიწდომილნიც არიან—არა, იმ ნაირს პროგრესს, რომელიც იხატება კაცობრიობის თან-და-თანს სულიერს განვითარებაში და რომლისათვისაც იგი უმაღლესად მოწოდებულია.»

ჩინური ენა ეკუთვნის პირველ გვარს ენებს, მონოსილაბიურს ანუ ერთ-მარცვლოვანს (языки уединяющіе). მეორე

გვარს ენებს, რომელნიც შემაერთებელს კავშირად ჩაითვლება პირველის და მესამე გვარის შორის, ჰქვიან შეწყობილი ენები (языки совокупляющіе). ამ მეორე გვარ ენების განსაკუთრებითი თვისება შემდეგია: უცვალებადს ფესვსავე ემატება თანდებულის მსგავსი სიტყვა, რომელიც გამოჰხატავს სიტყვების ურთი-ერთობას ლექსთა-წყობაში, სწორედ ისე, როგორც ალგებრაში რომელსამე რაოდენობას მიემატება ალგებრული ნიშანი + ანუ — და შესცვლის რაოდენობის მნიშვნელობას. მესამე გვარის ენები იწოდებიან განვითარებულ ენებად (языки развивающіе), რადგან წარმოადგენენ უმაღლესს ხარისხს ენების განვითარებისას. ამ გვარს ენებს უფრო მეტად ეტყობათ, რომ იგინი ცოცხალნი არსებანი არიან.

ამ სამ-გვარ ენათა შორის შემაერთებელი კავშირი ისე სუსტია, ისე ძნელად შესამჩნევია, როგორც კავშირი სამ-გვარს ბუნების სამეფოთა შორის: ბუნებაში სამინერალო სამეფო თავდება და იწყობა შეუმჩნევლად სამეფო მცენარეობისა და ამის შემდეგ, შეუნიშვნელად—ცხოველებისა.

«როგორც ყოველი ცდა განუწყვეტელის კავშირის აღმოსაჩენად მინერალების, მცენარეებისა და ცხოველების შორის არ აღმოჩნდა სარწმუნო, ეგრეთვე არ გამოდგა ნაყოფიერი შედარებითის ფილოლოგიის ცდა — დაემყარებინა შეუწყვეტელი პროგრესიული კავშირი ერთ-მარცვლოვანებიდამ დაწყობილი განვითარებულ ენებამდე. ამ აზრის ანუ თეორიის მომხრენი ჰფიქრობენ, რომ ოდესმე ყველა ენები თავის აგებულებით წააგავდენ ჩინეთისას, რომ ის დრო იყო მათთვის დრო გრამატიკის უწინარესი (дограматическая эпоха); რომ თან-და-თან ვითარდებოდენ, მეორე ხარისხსაც გადმოსცილდებოდენ ხოლმე და მერე ჩერდებოდენ მესამე გვარის ენების სხვა-და-

სხვა ხარისხზე. ისტორიული შესწავლა ენების სიცოცხლისა სრულიად ეწინააღმდეგება ამ გვარს აზრსა. რაც უფრო შორს განვჭვრეტთ წარსულში, მით განსაკუთრებითი თვისებანი, რომელნიც განასხვავებენ ყოველს ამ სამის კატეგორიის ენებს, უფრო ცხადად სჩანან და იხატებიან; განვითარებულ ენებ შორის ყველაზედ უძველესნი, ეხლა მკვდარ ენებად ცნობილნი, წარმოადგენენ იმ გვარ განვითარებას, რომელიც უმაგალითოა ახლანდელ ენებ შორის. ასეც უნდა იყოს: ენა შექმნილ იქმნა ინსტინკტიურად, ცნობიერების გარეშე და შემოქმედობა ინსტინკტიურად სუსტად სწარმოებს მაშინ, როცა დროს განმავლობაში გონება გაიმარჯვებს, გამაგრდება და ცნობიერება განძლიერდება...»

«მთავარი ენები კაცობრიობისა გაჩნდენ ისტორიის უწინარეს დროში და მათი გაჩენა ამტკიცებს, რომ კაცობრიობას მაშინვე დაჰკარგვია ერთობა. გამოქანდაკებულებანი ეგვიპტის პირამიდებისა, რომელნიც არიან აგებულნი ისტორიისათვის მიუწდომელსავე დროს, ცხადად აღნიშნავენ განსხვავებას ხალხთა მოდგმათა შორის. ეს განსხვავება, მაშასადამე, ჯერ ისევ ნამდვილ ისტორიის დაწყებამდე, ისეთივე ღრმა იყო, როგორც ჩვენს დროს... ჩვენ უკვე ვთქვით, რომ მთავარს ხელმძღვანელობას ამ მხრივ გვიწევს კაცობრიობის ენათა შედარებითი შესწავლა ფილოსოფიურად. ცხადია, რომ ეს შესწავლა მით უფრო ნაყოფიერს ხელმძღვანელობას გაგვიწევს, რაც უფრო ძველია ენები, რომელსაც ვიკვლევთ, რაც უფრო მცირედა ჰქონდათ მათზედ გავლენა სხვა-და-სხვა შემთხვევითს გარემოებას. ჩვენ შეგვიძლიან გონებაში გამოვიხატოთ, რომ ყველა აწინდელი ენები ცოტათი თუ ბევრად შთამომავალნი არიან რამდენიმე პირველ-ქმნილ, თვით-მდგომარე, არავითარ ერთი-ერ-

თობის მქონე ენებისა, გარდა, რასაკვირველია, იმ ურთი-ერთობისა, რომელიც წარმოსდგება გაცობრიულ სულიერ არსებობის საერთო პირობებისაგან. ამ ენათა განსხვავებაში ცხადად დავინახავდით იმ სულიერს განსხვავებას პირველ-ხალხთა შორის, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, პირველ ადამიანთ ჯგუფებს შორის, რომელთაც შექმნეს საკაცობრივო სიტყვა. მაგრამ ის სხვა-და-სხვაობრივი სიტყვა დიდი ხნის დადუმდა ქვეყანაზედ და მხოლოდ მისი ნაწილი ოდნავ-ღა, ცოტად თუ ბევრად გადასხვაფერებული, მოაღწევს ჩვენამდე ხალხის დაუწყნარებელს ხმაურობაში. მაგრამ ერთის მხრით ჩვენ გვაქვს საშუალებანი, რომ ცოტად თუ ბევრად აღვადგინოთ ის პირველ-ქმნილი ენები. მართლად არის ნათქვამი, რომ უკეთუ ლათინური ენა გამქრალიყო და არც ერთი წერილობითი სახსოვარი არ დარჩენილიყო, შედარებითი შესწავლა აწინდელის რომანულ ენებისა, როგორც მაგ. ფრანცუზულისა, იტალიურისა, ესპანიურისა და სხვ. მოგვცემდა შეძლებას, არამც თუ მიმხვდარვიყავით მათის წინაპარის წარსულს ცხოვრებას, არამედ შეგვეძლო შეგვედგინა ცხადი წარმოდგენა მის განსაკუთრებითს აგებულებაზე, უმთავრესს ხასიათზე. ცხადია, რომ რაც საერთო არის ამ ახალს ენებში, იგი მომდინარეობს საერთო წყაროდამ; რაც საერთოა მარტო ზოგიერთა მათგანისათვის, ის ჩაითვლება არა ყველა ენებისათვის ნაანდერძევ საკუთრებად იმ საერთო მემკვიდრეობისა. ენა ძირითადი, ანუ ის ენა, რომლისაგან მერე სხვა ენებიც წარმოსდგებიან, საზოგადოდ უფრო მდიდარია ფორმებით, ვიდრე; ენა, რომელიც წარმომდგარია სხვა ენისაგან და არ არის ძირითადი. და ეს სიმდიდრე უფრო მომეტებულია მის სიახლის ჟამს, ვიდრე დროს განმავლობის შემდეგ. სიახლის დრო არის ენისთვის დრო დუღილისა, დაუ-

წუნარებლობისა. ყოველი მეტყველი მონაწილეობს მის შემოქმედობაში, ასვამს თავის პიროვნების დაღს, აბრუნებს და აუღვლილებს სიტყვებს თავისებურად. არ არის კერძო თვით-მნებელობისათვის მაშინ სამზღვარი, გარდა იმისა, როდესაც გვეღარ გაუგებენ აზრსა და ლაპარაკს. მაგრამ იმ დროს დიდი ურთი-ერთობა არ არსებობს, ყველა სცხოვრობს ნათესავთა და ახლო მეზობლების მჭიდროდ განსაზღვრულს წრეში და ამ ნაირს შემოზღუდულს ალაგს, რასაკვირველია, ძნელი არ იქნება ერთმანერთის გაგება. ასრე უნდა გაჩენილიყვნენ დიალექტები, შტოქბიენისა ენის გაჩენის დროსვე. ერთიანობა (единство) ამ უკანასკნელისა არ მოიძებნება სხვაგან, თუ არ ერთს ოჯახში, თუ არ ცოლ-ქმარ-შუა; მაგრამ ცოლ-ქმარნიც კი ერთნაირად არა ლაპარაკობდენ: აქვე წარმოსდგა მდედრობითი და მამრობითი სქესის გამოსახატავად განსაკუთრებითი დაბოლოვება სიტყვისა. მხოლოდ დროს განმავლობაში სწარმოვობს ოჯახების გარდაქცევა და გარდაქმნა სოფლებად, თემებად, ერებად, სამეფოებად. წინანდელის მონათესავეების წრენი ფართოვდებიან: ლოცვები, კანონები, სიმღერა საჭიროა ესმოდეს უმრავლესობას ხალხისას, რომელიც წარმოადგენს ერს, სამეფოს; ჩნდება საზოგადო, საერო ენა, რომელიც ელტვის სიმარტივეს, ერთ-ნაირობას, ჰკარგავს ყოველს იმას, რასაც აზის ცხადი ბეჭედი კერძოობისა, პირადობისა. ზოგადობაში იკარგება კერძოობითნი დაწვლილებანი; ენა ღარიბდება ფორმებით, ჰკარგავს თავის გამომხატველობითს ძალას, სიცხოველეს (выразительность). ეს არის საზოგადო ბედი ყველა ენებისა; მათი განვითარების ისტორია, როგორც იტყვის ჰეგელი, პირდაპირს წინააღმდეგობაშია კაცობრიობის განვითარების ისტორიასთან შედარებით. მაგრამ ამ გვარი გაღარიბე-

ბა სწარმოობს ნელ-ნელა; როგორცა ვთქვით, რაც უფრო მვე-ლია ენა, მით უფრო მდიდარია. ის სიმდიდრე, რომელსაც იპყრობს ძირითადი ენა, ნაწილდება და იყოფა მის შვილების, შვილის-შვილების და შვილის-შვილის-შვილებ შორის. ყოველი ამათგანი სცხოვრობს მარტო იმით, რაც მას ხვდა წილად. ამ სახით ძირითადს ენაში ისახებიან ყველა მისგან წარმომდგარი ენები. რაცა ვთქვით, იქიდამ სჩანს, რა გზას ადგია შედარებითი ფილოლოგია ძირითად ენების აღმოსაჩენად. აგრეთვე ვთქვით, რომ მისი გამოკვლევანი უარ-ჰყოფენ მარტო ერთის ენის არსე-ბობას, რომლისგანაც ყველა სხვა წარმომდგარა. ეს გამოკვლევა-ნი ნებას გვაძლევენ ჩავიხედოთ უფრო ღრმად ჟამთა უფსკრულ-ში, ვიდრე სხვა რომელიმე ხერხი ისტორიის ანალიზისა, მაგ-რამ ეს იმას როდი ჰნიშნავს, რომ ჩვენ შეგვიძლიან მივაგ-ნოთ იმ ენასაც ჟამთა წყვდიადში, რომელზედაც ლაპარაკობ-და პირველ-ქმნილი ხალხი. შედარებითს ფილოლოგიის გა-მოკვლევანი წააგვანან გეოლოგიის გამოკვლევათ... გეოლოგიის შემწეობით თვით უკანასკნელად აღმოჩენილნი ზოდები, სრუ-ლებით ის ზოდები არ არიან, რომელნიც შეადგენენ დედა-მი-წის შუაგულს, ცენტროსს.

ამ საზოგადო ლინგვისტიურის მოსაზრებით სარგებლობს უსლარი და შემდეგს საზოგადო აზრს ამყარებს შესახებ კავ-კასიის მოდგმის ხალხთა:

დროებით რომ ყური არ ვათხოვოთ იმ კავკასიის მოდ-გმის ერთობის საბუთს, რომელიც მოჰყავს ანტროპოლოგიას, ე. ი. რომ სახეში არ მივიღოთ ფიზიკებრივი საერთო ნიშ-ნები, რომელნიც ამტკიცებენ კავკასიის მოდგმის ხალხთა ერ-თობას და მივმართოთ ფილოლოგიას, მაშინ ჩვენ იძულებულ-

ნი ვიქნებით ვაღიაროთ, რომ ფილოლოგიურად კავკასიის მოდგმის ხალხნი სამს განცალკევებულს მოდგმად განიყოფებიან. ფილოლოგიურად ის ხალხნი ითვლებიან ერთის მოდგმის ხალხებად, რომელთა ენებიც ერთმანერთში მონათესავობას წარმოადგენენ. ამ გვარი მოდგმა სამი იქნება მაშინ კავკასიის მოდგმაში: ქუშიტისა, სიმისა და არიისა.

პირველად გამოდის სასპარეზოდ ქუშიტის მოდგმა და შექმნის თავისებურს კულტურას და ცივილიზაციას, რომლის შესახებ ნამდვილმა ისტორიამ თითქმის არავითარი ცნობა არ დაგვიტოვა. იმ მოდგმას უკვე დასრულებინა თავისი ნიჭი კულტურისა და მალზე ჭაღარა-შერეულ მოხუცსავით ემზადებოდა საუკუნოდ განსასვენებლად თვისგან შექმნილს პირამიდებსა და სფინქსებს შორის, როცა მეორე მოდგმა ის იყო ახლად ემზადებოდა სასპარეზოდ გამოსვლას. ამ მოდგმაზე რაც ვიცით,—ვიცით უფრო იმ მეცნიერების წყალობით, რომელსაც ჰქვიან არხეოლოგია და რომლის გამოკვლევანი ამ საუკუნის დასაწყისში განძლიერდა. არხეოლოგიურად გამოკვლეულნი ნაშთნი ქუშიტის მოდგმისა ამტკიცებენ რომ ამ მოდგმის ხალხნი კარგა დიდს სივრცეზე იყვნენ დასახლებულნი ეგვიპტიდამ და ნუმიდიიდამ დაწყობილი მდ. ინდამდე და მის აყოლება აზიის შუა-გულამდე. აგრეთვე ლინგვისტიკა, ინგლისის მფლობელობასთან ერთად გავრცელებული აზიაში, აღმოაჩენს მთელს ჯგუფს ენებისას, რომელნიც ქუშიტის მოდგმას ეკუთვნიან და რომელთა შორის მონათესაობა ყოველსავე ეჭვს გარეშე უნდა იყოს; ეს აღმოჩენა მოხდა იეროგლიფებისა და ლურსმულის წერის გარჩევით, რომელიც ისე ძნელი იყო, რომ ამ სიძნელის მორევნა შეიძლება ჩათვლილ იქმნას საბუთად კაცობრიობის გონების ყოვლად-შემძლებლობი-

სა. უცნაურის ნაწერის წაკითხვა უცნაურისავე ენაზე როგორც იყო შესძლო მეცნიერებმა ერთად-ერთის კოპტურის, ეხლა უკვე მკვდარის ენის შემწეობით, რომელზედაც აღმოჩნდა გადათარგმნილი სამღვთო წერილი. ეხლა დამტკიცებულია, რომ კოპტური ენა წარმოსდგება პირდაპირ ეგვიპტურის ენისგან. ცხადი მონათესაობა აქვთ მასთან—ლიბიის და ნუმიდიის ენებს ჩრდილო-აფრიკაში, ეხკილთა ენას შუა არაბეთში და სხვ. ამ ჯგუფის ენები ეკუთვნიან პირველ-გვარს ენებს, მონოსილაბურს, როგორც ჩინეთის ენა. მაგ. კოპტურად ანხ ნიშნავს ცხოვრება, მცხოვრებელი, ცოცხალი. როგორც ჩინეთში, ისე აქ შესანიშნავია წერის ერთ-გვარი სისტემა, იდეოგრაფიული. ყოველი ცნება გამოიხატვის ცალკე ნიშნით. ჩინეთისა და ქუშიტის მოდგმა ხალხთა შორის მზგავსება მარტო ენაში არა სჩანს; ქუშიტების ცივილიზაციაც მოგვაგონებს ეხლანდელის ჩინეთის განათლებას. იგი გამოიხატება აგრეთვე ზნეობრივს მხარეში. გადაჭარბებული მატერიალიზმი შეადგენს მის საფუძველს; რელიგიური გრძნობა არეულია პირუტყულ გულის-თქმასთან. სორციელი სიყვარული გაღმერთებულია და ყოველივე იდეალური უარ-ყოფილი. მეცნიერება ძალას ატანს მოვლენათა გარეგანს აღწერას, ასტრონომიულ დაკვირვებათა და ზომა-ანგარიშის სისტემების შექმნას. ხელოვნება ეტყობა მხოლოდ შენობებს, რომელნიც განსაცვიფრებელნი არიან უშველებელის სიდიდით და შნო და ლაზათი კი არა აქვთ. ვაჭრობა უფრო ანგარიშებს მისცემია, ვიდრე სამართლიან აღებ-მიცემობას. ომის რიდი, საშინელი დესპოტიზმი, პიროვნების დაჩაგვრა და დახლართული პოლიტიკური მოწყობილობა,—აი ეს არის თვისება ქუშიტების განათლებისა, რომელიც ჩვენ გავიცანით, როგორც ეგვიპტის შესწავლით, ისე იმის შესწავლით, რაც

მათგან ბოლოს ქანდერმა ფინიკიელებს და ასირო-ბაბილონელებს.

სხვა გვარი ხასიათი აქვს სიმიტების ცივილიზაციას, რომელიც ძლიერ იყო ქუშიტების გავლენის ქვეშ დ̃ რომელმაც კიდეც შეითვისა ბევრი ცუდი დ̃ კარგი მხარე მათის განათლებისა. თუმცა წმინდა მისის ხასიათის აღდგენა ძნელია, მაინც სიმიტურ ენების ჯგუფის შემწეობით ჩვენ შეგვიძლიან მთავარი მისი თვისებანი შევნიშნოთ და შევიგნოთ ის მნიშვნელობა, რომელიც მას ჰქონდა კაცობრიობის წარმატების ასპარეზზედ. სიმიტურის ენების ლექსიკონი, რომელიც განსაცვიფრებლად მდიდარია *), ამტკიცებს ამ მოდგმის ხალხთა ძლიერს გრძნობიარობას, სრულს დამონავებას გარეშე შთაბეჭდილებისადმი. თუმცა სიმიტების ენები გავითარებულს ეკუთვნიან და მაღალს ხარისხზედაც სდგანან, მაგრამ ლექსით—თხზულება მეტად ღარიბია. ყოველი პერიოდი წარმოადგენს მოკლე, მარტივს წინადადებას. კილო ანუ სტილი გაყოლებაა ამ გვარს მარტივ წინადადებათა, გადაბმულია ერთმანერთს შორის კავშირით და. უსლარი დაწვრილებით განიხილავს სიმიტურს ენებს და მათ გარკვევით გამოჰყავს შემდეგი საზოგადო დასკვნა სიმიტების ნიჭიერების შესახებ: სიმიტის გრძნობა ღრმა და ძალოვანია, მაგრამ ამის გამოვლა იგი ცალმხრივი, მარტივი; სიმიტს არ შეუძლიან შეადაროს, შეათანხმოს, აიღოს და დაიღოს, გაუზომოს საგანსა თუ მოვლენას სიგძე სიგანე. რადგან აზროვ-

*) ამბობენო, იტყვის უსლარი, რომ ლომს ხუთასი სხვა და-სხვა სახელი აქვს არაბულადაო, გველს ორასამდისაო, თაფლს 80, ხმალს 1000. ჰამმერმა დასთვალაო 5744 სახელი აქლემისა. E. Renan. De l'origine du langage, 1856. p. 142.

ნობა სუსტი აქვს. აქედამ წარმოსდგება მათი საშინელი თავ-
მოყვარეობა, ეგოიზმი, ძლიერი გულის-თქმანი, აჩემება საკუ-
თარის აზრისა და სხვის აზრის უარ-ყოფა; აგრეთვე მძლავრი
ფანატიზმი.

ყველა ეს თვისებანი სულისა და გრძნობისა ვერ არიან
საზოგადობრივის წარმატებისათვის სანატრელნი. ყოველი სი-
მიტი მეტად ძვირად აფასებს თავის პირადს თავისუფლებას
და ვერ შესთვისებია რომელსამე საზოგადობრივ ცხოვრების
პირობას. თვით სიმიტების სჯულთ-მდებელნი მეტად ძლიერ
არიან გამსჭვალულნი ერთის აზრით, ვერ იტანენ მის სხვა-
და-სხვაობას და არა სთვლიან მას კანონიერს და ბუნებრივს
მოვლენად. სიმიტური სჯული ეგრედვე შეუწყალებელია, რო-
გორც თვით სიმიტი. იგი სცდილობს შეიპყრას და შეაბორ-
კილოს კაცის ცხოვრება ისე რომ არ არსებობდეს არამც თუ
შინაარსის სხვა-და-სხვაობა, არამედ თვით ფორმისაც ამისა-
თვის კაცსა და საზოგადოებას შორის თანხმობა ხანგრძლივი
არ არის, იგი არის მხოლოდ დროებითი. ესევე მიზეზია,
რომ სიმიტები მარტო დროებით და თითქო შემთხვევით თა-
მაშობენ ღირს-შესანიშნავს როლს მსოფლიო ისტორიაში;
ყოველსავე მათს პოლიტიკურს ქმნილებას აკლია სიმტკიცე,
ჩნდება უცბად, უცბადვე ძლიერდება და ბრწყინვალებით იმოსე-
ბა და კვალად უცბადვე ირღვევა. მაგრამ სიმიტებმა სხვა სფე-
რაში გამოიჩინეს ნიჭი. მათ მიერ შექმნილი განძი კაცობრიო-
ბის წარმატების სალაროში—სხვა განძია: «ნიჭი ღრმად გრძნო-
ბისა, რომელსაც კაცს არ უშლის და არ აშფოთებს იჭვიანი
გონება, აღბეჭდავს სიმიტების ხასიათს ღრმა-რელიგიურის მი-
მართულებით...» მარტო სიმიტებმა იცნეს პირველად ღმერთი
ღმერთად და აღიარეს იგი მხურვალე გრძნობით... მაგრამ სი-

მიტებმა მოამზადეს გზა უფრო უხვის ნიჭიერებით დაჯილდოებულის რასის განვითარებისათვის. ეს რასა არიელების მოდგმაა.

არიელების რასის შემადგენელ ხალხთა მონათესაობის აღმოჩენა შედარებითის ფილოლოგიის ძლევა-მოსილი გამარჯვებაა. სრულიად ევროპის აწინდელნი და უწინდელნი ხალხნი, ინდოეთისა და წინა-აზიის მომეტებული წილი ლაპარაკობს ისეთს ენებზე, რომელთა მონათესაობა ყოველსავე ეჭვს გარეშეა. «მათს შედარებით შესწავლიდამ სჩანს რომ ყველა ეს ენები შტონი არიან ერთის ენისა, რომლისთვისაც ჩვენ ვერ მიგვიგნია და თავის დღეშიაც ვერ მივაგნებთ. ამ შესწავლიდამვე სჩანს რომ ეს ხალხნი ერთის სამშობლოს მექონენი ყოფილან და შტოებს წარმოადგენენ ერთ პირველ-ქმნილის ხალხისას, იქნება, ერთის პატარა ტომისასაც, ერთის ოჯახისას, ერთის წყვილისასაც.»

«ეს აღმოჩენა მეცნიერებისა ეკუთვნის უუდიდესს აღმოჩენათაგანს კაცობრიობის ცოდნის სფეროში. მან მისცა ძალი და სიმტკიცე ისტორიულს მეცნიერებას და საკვირველად განზედ გასწია მისი საზღვარი.» ჩვენ ამას წინად აღვნიშნეთ, რა დროს და რა ქვეყანას ეკუთვნის ეს აღმოჩენა. ახლა ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ ყველა ამ მონათესავე ხალხს და მათ ენების ჯგუფს სხვა-და-სხვა სახელი დაერქვა სხვა-და-სხვა გამომკვლეველთაგან, როგორც მაგალითად: მოდგმა ინდო-გერმანიული, ინდო-ევროპიული, არიული, სანსკრიტული; მაგრამ თანხმად ლასენისა, ამ სახელ-წოდებათაგან უფრო შესაბამი აღმოჩნდა სახელ-წოდება—არიული. ამ მოდგმის ხალხთა შორის გარეგნობით სხვა-და-სხვაობა და განრჩევა ისე ღრმა და დიდია, რომ მარტო მათის ენების გამორკვევით თუ მიხვდებით მათს

შეჭმელს მონათესაობას და შეადგენთ საზოგადო აზრს მათს ნიჭიერებაზე. არიული ენები ეკუთვნიან განვითარებულს ენებს და წარმოადგენენ უმაღლესს ხარისხს განვითარებისას, შედარებით სიმიტურს ენებთან. სიტყვები მასში ცოცხალს არსებასავით არიან და აზრის ყოველ-გვარს მიმოხვრას გამოჰხატვენ, მეტადრე საგნებიდგან განზიდული ცნებანი (отвлеченныя понятія) ადვილად იხატებიან მასში, ისე რომ ცხადად სჩანს ამ ენების ყოველ-მხრივი უპირატესობა სემიტურს და ქუშიტურს ენებზე. ეს გარემოება ამტკიცებს დაურღვეველად, რომ თვით არიელნიც ბევრით მაღლა სდგანან სიმიტებზე და ქუშიტებზე, ბევრით უფრო უხვად არიან მინიჭებულნი გონების მხრივ. არიელი ნაკლებ ეძლევა და ემონება გარეგანს შთაბეჭდილებას და უფრო მაღლას აყენს აზროვნობას, გონების ვარჯიშს. არიელი გულ-ჩახვეული შესცქერის და შესტრფიალებს გარეშემო ბუნებას, რომელიც მას წარმოდგენილი აქვს გასულდგმულებულად, იდუმალ ძალით სავსედ. არიელი, როგორც იდეალისტი და ჭეშმარიტების მქებნელი, მალე მიეცა შეცდომილებას. მთელი გარეშე ბუნება ღმერთებით დასახლებული წარმოიდგინა და შექმნა მრავალ-ღმერთოვანი რელიგიური კულტი. მაგრამ ეს უფრო იქ მოხდა, სადაც შეძლება ჰქონდა მას ეფილოსოფოსნა და კუჭიც გაძღარი ჰქონოდა. სადაც ბუნება ისე უწყალო იყო, რომ ფილოსოფოსი და იდეალისტი მშიერი უნდა მომკვდარიყო, თუ არ ებრძოლა ლუკმა-პურისათვის, იქ არიელი ისტორიულს ხალხად გადაიქცა. მატერიალისტმა ქუშიტმა ცოტაც არ იყო გააგრილა იდეალისტი არიელი. სიმიტმა გადასცა მას აზრი ერთს ღვთაებაზე და ამ სახით იგი სრულიად გადასხვაფერდა და დიდის დიდებითაც გამოვიდა თავის ისტორიულ სარბიელზედ.

დასასრულ, უსლარი შეეხება ერთს საყურადღებო გარე-მოებას, რომელიც არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ აქ, თუმცა კი უსლარის თეორია მეცნიერებაში აღიარებულს თეორიას ეწი-ნააღმდეგება. ეს თეორია ის არის, რომ ველური მდგომარეო-ბა არ გამოუვლიათ არამც თუ არიულს მოდგმას, არამედ სი-მიტურს და ქუშიტურს მოდგმასაცა. მეთვრამეტე საუკუნის ფი-ლოსოფოსები ჰგონებდნენ, რომ არამც თუ ისტორიულნი ხალ-ხნი, არამედ მთლად კაცობრიობა ველურს მდგომარეობიდამ ნელ-ნელა გამოვიდაო. ამ გვარი აზრი ეხლა საზოგადოდ უარ-ყოფილია, როგორადაც ის, რომ ხალხი ერთს დროს პირ-უტყვი იყო და მერე გამოიგონეს ენა ნელ-ნელა და თან და თან ძნელის შრომით და გონების ძალ-დატანებითაო. ეხლა ველური მდგომარეობა ნიშანია კაცობრიობის დაცემისა; აქ იგულისხმე-ბა, რომ წინაპარნი ველურებისა უფრო მაღალს ხარისხზედ იდგნენ გონებით. არ არიან იმისთანა ველურნიო, რომელთაც არა ჰქონდეთ ენა, არ იცოდნენ ცეცხლის ხმარება და გაჩენა, იარაღის მომზადება ომისა და ნადირობისათვის — ყველა ეს იციან ველურებმა, მაგრამ ამაზე შორს აღარ მიდიან. თუ ეს გამოიგონეს, როგორღა შეჩერდაო მათი გონება და ამისათვის არ შეგვიძლიან არა ვთქვათო, რომ ყველა ის მცირედი ცოდნა, რომელიც მათა აქვთ, დარჩათ თავიანთ წინა-პართა უმაღლე-სის კულტურისაგან, როგორც ამ უკანასკნელის ნაწილიო. «მა-შასადამე განათლებულის მდგომარეობიდამ შეიძლება დაიბა-დოს ველური მდგომარეობა, ეს უკანასკნელი კი განუკურნებე-ლის ავად-მყოფის მდგომარეობაა, რადგან არ ყოფილან ჯერ ველურნი, რომელთაც შეეთვისებინოთ განათლება.»

ისტორიულის ხალხის მოდგმანი თავის გაფანტვის დროს დედა მიწის ზურგზე ჰპოულობენ ახლად ამორჩეულს სამშობ-

ლოში კიდევ სხვა მკვიდრ ხალხებს, მაშასადამე ისტორიულის რასის დასაწყისი სრულიად არ ჩაითვლება კაცობრიობის დასაწყისად. როცა ამბობენ ამა და ამ ქვეყნის მკვიდრნიო, ეს აზრი ისე კი არ უნდა მივიღოთ, რომ მართლა პირველი ხალხი ეს არის, რომელსაც ესა და ეს ადგილი დაუსახლებია. აქედამ სჩანს, რომ შედარებითს ფილოლოგიას და მეცნიერებას სრულიადაც არა აქვს სახეში, რომ კაცობრიობის დასაწყისი გვაჩვენოს და ვერც გვაჩვენებს ამას. პირ-იქით, თუმცა გვაძლევს ის ბევრს ნამდვილს ცნობებს, განსაცვიფრებელს და სრულიად მოულოდნელს ცოდნას, იგივე მეცნიერება აფარებს წყვდიადის ზეწარს ბევრს ისეთს, რაც ჩვენ კარგა გამოკვლეული გვეგონა.

«ამ სახით, როცა ამბობენ «კაცობრიობის პირველი აკვანი», სახეში უნდა გვქონდეს მარტო ისტორიულის რასების პირველი აკვანი, მათის გაჩენის პირველი ადგილი, ე. ი. ის ქვეყანა დედა-მიწის ზურგზე, რომელიც შეიძლება იქმნეს ცნობილი პირველ-სამშობლოდ ყველა ერთის მოდგმის ხალხების წინა-პართა.»

რა მნიშვნელობა აქვს ყველა ამას ცნობის-მოყვარეობის დაკმაყოფილების გარდა ფილოსოფიურად ისტორიის შესწავლისათვის? ჩვენ წინადვე ვსთქვით, რომ ისტორიულნი მოვლენანი არ აიხსნებიან ისე, თუ არ იქმნა აღიარებული და სახეში მიღებული ის განსხვავება, რომელიც არსებობს ხალხის სხვა-და-სხვა მოდგმათა შორის, სდგას გარეშე ყოველ-გვარ გარეგან ზედ-მოქმედებათა და რომელიც გამოიხატა მათ მიერ ენათა გაჩენაში. მაგრამ პირველსავე წამს თავის გაჩენის შემდეგ, ხალხი ექვემდებარება გარეგანის ბუნების ზედ-მოქმედებას, გარეგანის მიზეზების მრავალ გვარს გავლენას, გავლენას

იმ ქვეყნისას, რომელშიაც გაჩენილა. თუ ჩვენს გვაქვს რაიმე საშუალება ვიპოვნოთ ამ გვარი პირველი ადგილი ანუ აკვანი ერთ-ერთის ხალხთა მოდგმისა, რომელსაც ნამდვილი ისტორია შეხვდება უკვე გაფანტულს სხვა-და-სხვა ალაგას და სხვა-და-სხვა ხალხების სახელ-წოდებით, მაშინ ჩვენ იმასაც შევიტყობთ, რა გვარი გარეგანი გავლენა აიტანა ხალხმა, ვიდრე იქ მივიდოდა, სადაც ნამდვილმა ისტორიამ იგი აღმოაჩინა. ენა და ადგილი არის ორი ლამპარი, რომელნიც განანათლებენ ხალხის პირველს თავ-გარდასავალს უფრო უკეთ, ვიდრე მკვდარი ქრონიკები და მატიანენი ეხლანდელის მისის ცხოვრებისა.

ახლა დავიჭიროთ რკინის ჯოხი, ჩავიცვათ რკინის ქალამნები და მსგავსად ჩვენის ზღაპრების გმირებისა, მოვძებნოთ ის პირველი აკვანი კაცობრიობისა, რომელზედაც გარდმოცემა ყოველს ხალხს ცხოვლად შეუნახავს, რომელსაც ზოგი ედემს ეძახის, ზოგი სამოთხეს და რომელიც შეადგენს თვით ებრაელთა «დაბადების» პირველ დასაწყისსაც.

(შემდეგი მესამე წიგნში).

პოლიტიკური მიმოხილვა.

როცა ჩვენ «ივერიის» იანვრის წიგნში ვსთქვით, ომის სუნი მოგვდისო, მაშინ ჯერ ომის ატეხის შესახებ არამც თუ ხმა რამ, ჩამი-ჩუმიც არ იყო გაზეთებში. ამ ბოლოს დროს კი ეგ ხმა მეტად გაძლიერდა და დღეს თუ ევროპაში ლაპარაკია რაზედმე, სალაპარაკო საგანთა შორის ომის (და დიდის ომისაც) მოლოდინს უკანასკნელი ადგილი არ უჭირავს. არ არის ევროპაში არც ერთი თვალ-საჩინო სახელმწიფო ომის ფიქრში არ იყოს და იმის ცდაში, თუ მხედრობა როგორ ისე მოაწყოს კაცით, ტყვია-წამლით, თუ თოფ-იარაღით, რომ ყოველ შემთხვევისათვის მზად იყოს. გერმანია, რომელმაც საფრანგეთის დამარცხების შემდეგ პატრონობა დაიჩემა ევროპის საქმეებში, დიდი ხანია შემდგარია თავისი გამოჩენილი მხედრობა უფრო გააძლიეროს დ ეს საქმე უხუმრად ისე მიჰყავს, რომ ძილს და მოსვენებას უფთხობს მოსამზღვრეებსა. ავსტრო-ვენგრია, რომელიც ძალა-უნებურად აითრია ბისმარკმა, დიდ ძალას ატანს თავის ჯიბეს და არა ხარჯს არ ერიდება, რომ ომს მოუმზადებელი და კარგად გაუმართველი არ შეესწროს. იტალიის სამხედრო მინისტრმა მოსთხოვა პარლამენტს —ღონისძიება მომეცითო, მხედრობას ჯარის-კაცი მოვუმატოვო. აქამდის იტალიის მხედრობა შესდგებოდა 430 ათასის კაცისაგან და ეხლა მინისტრი ითხოვს, საჭიროაო 200 ათასი კაცი კიდევ ჩავუმატოთო და ამ სახით თოფ-ქვეშ 630

ათასი კაცი ვიყოლიოთ. გარდა ამისა თვით იტალიის დედა-ქალაქი უნდა შესაფერად გამაგრებულ იქმნასო ბურჯებით და ციხეებით და ამისათვის წინად გადადებულ თერთმეტს მილიონს კიდევ ათი მილიონი უნდა დავუმატოთ. საფრანგეთიც არ ჩამორჩომია სხვებს ამ საქმეში. აქაო და ტუნისზედ გავილაშქრე დ ეგვიპტეშიაც საქმე გამიჩნდაო, ამ მიზეზს ხელზედ იხვევს და თავის მხედრობის საქმეს დიდის მეცადინეობით აწყობს და წინა ჰსწევს, მითამ-და ევროპის გაჭირვებული ყოფა და მდგომარეობა აქ არაფერს შუაშია. სამხედრო მინისტრი საფრანგეთისა, გაზეთების სიტყვით, აპირებს თურმე მოჰსთხოვოს პარლამენტს უფლება რეზერვების მოწვევისა პარლამენტის წინასწარ დაუკითხავად. ესეც ფრიად საყურადღებო ნიშანია: მაგისთანა უფლებას თხოულობენ ხოლმე მხოლოდ მაშინ, როცა უეცარის შემთხვევის, ანუ ფათერაკის მოლოდინი აზრად ასაღებია და კარში მოსასვლელი.

რომ ეგ მოლოდინი მართლა-და აზრად ასაღებია, ამტკიცებს ის გარემოება, რომ სადაც კი მაგ საგანზედ ლაპარაკი ჩამოვარდნილა, არც ერთს მინისტრს გადაწყვეტილად ვერა უთქვამს-რა. როცა იტალიის პარლამენტის დეპუტატმა რიკოტტიმ შეიტყო, რომ სამხედრო მინისტრი ჯარის გაძლიერებას თხოულობსო, წინადადება შეიტანა პარლამენტში მთავრობას ჰკითხოსო, რა მდგომარეობაშია ევროპის პოლიტიკური საქმეებიო. მინისტრმა მაჩინიმ მთავრობის სახელით უპასუხა, რომ იმ საზოგადო გარემოებათა გამო, რომელშიაც იმყოფება დღეს ევროპაო, წინასწარ თქმა რისამე ძნელი რამ არისო. მაგრამ მე კი ვფიქრობო, რომ თუ ნიშნებია ერთმან-ერთთან შეჯახებია, იმის იმედიც არისო, რომ მშვიდობიანობა არ შეირყევაო. ყველამ კარგად იცის, რომ ომიანობის

ხმის დაყრას ყოველი დიპლომატი ძალიან ერიდება მაშინაც კი, როცა ომი ცხვირ-წინ უდგათ. მაგრამ ესეც კი ვიცით, რომ ჩვეულებადა აქვთ მშვიდობიანობის ხმა გააგდონ მაშინაც, როცა მშვიდობიანობა მირიანად შერყეულია. ჰსჩანს ეხლა საქმე სამზღვარს იქით გასულა, რომ იტალიის დიპლომატი ერთსა და იმავე დროს დ̃ ერთსა დ̃ იმავე საგანზედ ჰოსაც ამბობს და არასაც და გადაწყვეტილად და მოჭრით არ აღიარებს მშვიდობიანობის შეურყევლობას.

ეს ომის ატეხის ხმა უფრო გაძლიერდა და გახშირდა მას შემდეგ, რაც გათქმულმა რუსის გენერალმა სკობელევმა პარიჟში სიტყვა წარმოსთქვა სერბიელ სტუდენტების წინაშე. სკობელევმა პირდაპირ უთხრა სტუდენტებს, რომ რუსეთმა სლავიანების კარგად განწყობისათვის ხელი, როგორც რიგია, ვერ გამოიღოვო. ამისი მიზეზი თვითონ რუსეთი არ არისო. ჩვენ რუსებს, ერთი დიდი გაიძვერა და მანქანა მტერი გვყავსო. მაგ მტერმა ისე გაგვაბა თავის მახეში, ისე ხელთ იგდო ბედი მთელის რუსეთისა შინა, თუ გარეთა, რომ ყურ-მოჭრილ ყმებსავით ხან აქედ გვაბრუნებს, ხან იქითაო—ის მტერი ნემეციაო. დღეს იქნება, თუ ხვალე, რუსეთი დაეჯახება მაგ მტერსაო, ასტყდება ძლიერი ბრძოლა და სისხლის ღვრა დ̃ იმედი მაქვს გამარჯვებული ჩვენ ვიქნებითო. «გახსოვდეთო, უთხრა თურმე ბოლოს სკობელევმა,—ჩვენი, სლავიანების მტერი, ნემეციაო. მშვიდობითო იმ დრომდის, ვიდრე მე და თქვენ საომარს ველზედ ერთმანერთს შევხვდებით და ერთმანერთს ძმურად მხარში ამოვუდგებითო.»

ამისთანა გაკადნიერებულმა სიტყვამ და მუქარამ ძალიან გააწბილა გერმანია დ̃ ევროპაც შეაფუცხუნა. პასუხად ამა სიტყვისა გერმანიის ჟურნალ-გაზეთობამ ერთ-ხმად დაიძახა: ნუ

თუ წინ-დაუხედავს რუსის გენერალს ჰგონია, რომ გერმანია მოუმზადებელია და გულ და გულ ვერ დაუხვდება ამხედრებულ რუსეთსაო. თუ საქმეთა გარემოებამ სისხლის-ღვრას მოითხოვს ჩვენგან, მაშინ საომარი მოედანი გამოაჩენს გამარჯვება ვის დარჩებაო.

ლონდონის გაზეთს «Standard»-ს აუწყებს მის კორეს-პონდენტი, თუ როგორ ჰსწყენია გერმანიის იმპერატორს ეს სკობელევის თამამი სიტყვა.

«მე, ამბობს ის კორესპონდენტი,— ყოვლად სარწმუნო წყაროდამ შემიძლიან გაცნობოთ, რომ იმპერატორმა ვილჰელ-მა დიდის მწუხარებით და ნანვით მოიხსენა რუსის გენერ-ლის სიტყვა. მისმა დიდებულებამ ბძანა: «იმედი მქონდა და-ნაშთენნი დღენი ჩემის მოხუცებულებისა მშვიდობით გამეტა-რებინა. ვწუხვარ, რომ იმ დღეს მოვესწარ, როცა ეგრე წინ-დაუხედავად მუქარას მითვლიან. თუ ამ მუქარას ბოლო არ მოეღო, მეც იძულებულ ვიქნები სასტიკი ზომები მივიღოვო. თუ წინ-დაუხედავს ამხედრებას სლავიანებისას, რომელსაც ეგ-რე თამამად ჰქადაგებს გენერალი სკობელევი გარედ და კატ-კოვი და მისი მეგობრები შინ, არ შეაყენებს ამის შემძლებე-ლი ხელი და თუ იქამდის მივა საქმე, რომ რუსეთი საომრად გამოვა, მაშინ იცოდეს რუსეთმა, რომ ნემცები, ანუ ავსტრი-ელები დასახვედრად მზად იქნებიან. ბოლო ერთის მაგისთა-ნა ამხედრებისა სულ სხვა იქნება და არა ისეთი, როგორსაც ეგეთის გულ დაჯერებით მოელოდება გენერალი სკობელევი.»

თუმცა გაზეთები ამბობენ, იმპერატორი ვილჰელმი მა-გას არ იტყოდაო, მაგრამ მაინც და მაინც რუსეთის მთავ-რობამ საჭიროდ დაინახა გამოეცხადებინა, რომ გენერალი სკობელევი თავისით ლაპარაკობს, როგორც კერძო კაცი და

მის სიტყვებთან არავითარი კავშირი არა აქვს თვითონ მთავრობასაო. ერთს რომელსღაც გაზეთს ნემეცებისას ამ გამოცხადების გამო ენაზედ მოჰსდგომია მოსწრებული სიტყვა ერთის დიპლომატისა და ის სიტყვა ამ რიგად მოჰყავს: «გაზეთებისაგან მოთხრობილი ამბები მარტო მაშინ არიან დასაჯერნი, როცა ოფიციალურად ამ ამბებს უარს ჰყოფენო.»

ესეა თუ ისე, ეხლა თვითეული სახელმწიფო ევროპაში იმის იდუმალ ცდაშია, რომ მომხრენი და მოზავენი იშოვოს და ომმა ისე არ მოასწროს, რომ განმარტოებული დარჩეს და უმხსნავად იძულებულ იქმნას საომრად გავიდეს. ჩვენა გვგონია არ იქნება მეტი ვაუწყოთ მკითხველებს ზოგიერთი ამბავი იმის შესახებ, თუ რავდენ ბანაკად გაეწყობა ევროპა და ვინ ვის მიემხრობა, თუ ვინიცობაა ომი ატყდა.

გერმანიამ, როგორც უკვე ვიცით იანვრის წერილიდამ, ავსტრია ძალიან მიიმხრო. თუმცა ავსტრიას ჯერაც არ დავიწყებია ის მარცხი, რაც პრუსიამ მიაყენა და ბისმარკისაგან მწარედ დაკოდილი გული ჯერ აქამომდე არ გაჰმთელებია, მაგრამ, რაკი ესე შორს შეტოპა სლავიანების საქმეში, რაკი ეგრედ წოდებულს აღმოსავლეთის საქმეს ეგრე მჭიდროდ ჩაჰკიდა ხელი, უგერმანიოდ ერთს ბიჯსაც ველარ გადაჰსდგამს და ძალა-უნებურად უნდა მიემხროს. ოსმალოც ძალიან შეეტყუცა ბისმარკის პოლიტიკასა და ბისმარკისაგან დიდს ავლა-დიდებას მოელის.

იტალია ჯერ როგორღაც ტოკავს. თუ გერმანიას მიუდგება, ავსტრიასაც უნდა მიუდგეს და მაშინ ხელი უნდა აიღოს იმ იტალიელების გამოხსნაზედ, რომელნიც ჯერ კიდევ ავსტრიის ქვეშევრდომად არიან. თუ გერმანია დაჰპირდება იტალიას მაგ გულის-წადილს აგისრულებო, მაშინ ავსტრია გა-

დუდგენა გერმანიას და ეგ ვერაფერი საქმე იქნება ბისმარკისათვის. ბისმარკმა ამის გამო არ იცის საიდამ მოუაროს იტალიას, რომ მიიმხროს. იტალიაზედ ვერც იმ მანქანებამ გასჭრა, რომ ამას წინად ბისმარკმა პაპის საერო უფლების აღდგენის მომხრეობა გამოიჩინა. იტალიის კაროლმა ჰუმბერტმა ამის შესახებ პირდაპირ და მტკიცედ წარმოსთქვა: «მე ვხედავ, რომ ცდილობენ ერთხელ მორჩომილი საქმე (პაპის საერო უფლების მოსპობა) ხელახლად ფეხზედ წამოაყენონო. მაგრამ იტალია ამას არამც თუ ვისმე აქმნევინებს, ამაზედ ლაპარაკის ნებასაც არავის მისცემსო.» როცა ასე ცხარედ და მოჭრით იტყვის ხოლმე იმისთანა კაცი, რომელსაც 630 ათასი კაცი თოფ-ქვეშ უდგა, მაშინ იმის სიტყვას თავისი რიხი და ფასი აქვს. ბისმარკმა იგრძნო ამ სიტყვების მნიშვნელობა და მაშინვე შეუთვალა იტალიას, რომ პაპის მომხრეობა მე ფიქრად არა მქონია, და თუ გერმანიაში კათოლიკე სამღვდელოების საქმეს ხელი მოვკიდე, აზრად მქონდაო—მარტო გერმანიის შინაურის წყობილების განკარგება და სხვა არაფერიო. ამით იქნება ცოტად თუ ბევრად მოიმადლიერა იტალია, მაგრამ მომხრეობაზედ ჯერ კიდევ შორს არის.

მარტო საფრანგეთს და რუსეთს მთელს ევროპაში შეუძლიანთ დაახარბონ იტალია და მოიმხრონ. ამისათვის საჭიროა მარტო დაჰპირდენ იტალიას იმ ადგილებს, რომელთ მკვიდრნი მცხოვრებნი ნამდვილი იტალიელები არიან და ავსტრიას კი ძალ-მომრეობით უჭირავს. იმ ადგილების ხელში ჩაგდება დიდი-ხნის სანატრელია იტალიისათვის. მაშასადამე საფრანგეთს, რომელიც არას გზით არ მიემხრობა ბისმარკს, თუ ელზას-ლოტარინგია უომრად არ დაუთმო, და რუსეთს, რომლის წინააღმდეგაც ესლა ბისმარკი მოქმედობს, იტალიის

მომხრობა უფრო უნდა ეადვილებოდეთ, ვიდრე ბისმარკს; იმიტომ-რომ იტალიის ამ მხრით დასაკმაყოფილებლად არც საფრანგეთს და რუსეთს დააკლდებათ რამე და არც მათთა მოზავეთათვის იქნება საწყინო. თვითონ გამბეტა ამ მოკლე ხანში იყო იტალიაში და არა გვგონია საგნად იტალიასთან ზავის შეკვრა არა ჰქონოდეს. მოასწრო გამბეტამ ეგ თუ არა, არ ვიცით. მხოლოდ ზოგიერთი ნიშნებით ვიფიქროთ, რომ ამ საქმეში გამბეტას მარცხი არ მოსვლია. მას შემდეგ რაკი გამბეტა იტალიაში იყო, დესპანი საფრანგეთისა ტუნისში რუსტანი დესპანობიდამ დაითხოვეს და ტუნისიდამ ამერიკაში გაისტუმრეს დესპანადვე. ეს რუსტანი იტალიისათვის საამური კაცი არ იყო და იტალია ემდუროდა საფრანგეთს, რომ იგი ტუნისიდამ არ წაიყვანეს, თუმცა იტალია არა ერთხელ ამის სურვილს აცხადებდა. ეხლა კი საფრანგეთის მთავრობამ პატივი სცა იტალიას და მისი უსიამოვნო კაცი მოაშორეს ტუნისსა. ამას გარდა, ამბობენ, საფრანგეთმა რვა იტალიის გაზეთი იყიდაო, რომ მათის შემწეობით იმოქმედოს იტალიის ერზედ თავის სასარგებლოდ და გერმანიის წინააღმდეგ. ყოველ ამის შემდეგ იმის ხმაც დავარდა, რომ იტალიას ავსტრიაზედ გული შეეცვალაო და ცოტა რამ სამდურავი გამოუჩნდაო. არც ეს არის კარგი ნიშანი ბისმარკისათვის, თუ მართალია.

რუსეთისა დ საფრანგეთის შორის ზავის ჩამოგდება გერმანიის წინააღმდეგ, თუ გერმანია რუსეთზედ გამოილაშქრებს, ხომ ყველაზედ უფრო შესაძლებელია და ჭკუაში მოსასვლელი. ამ ბოლოს დროს საფრანგეთი ცდილობს რუსეთს პატივის-ცემა გამოუცხადოს და მისი გული მოიგოს. მინამ პოლ ტიკური მზე ბისმარკისა ევროპაში გაიბმოდა და ომის სუ-

ნი დატრიალდებოდა, რუსეთის მთავრობა ძალიან ემდუროდა საფრანგეთსა, რომ ემიგრანტებს რუსეთისას არა ჰსდევნიდა და საფრანგეთში ბინას აძლევდა. ეს კიდევ არაფერი: ყველასაგან ცნობილთა ვერა ზასულიჩმა და პეტრე ლავროვმა როშფორის გაზეთში «Intransigeant» საქვეყნოდ გამოსცეს მანიფესტი და ითხოვეს საზოგადოებას შეეწიოს ფულით, რათა შესდგეს თანხა „რუსის მტარვალების მსხვერპლთა შესაწევნელადაო." მთავრობამ საფრანგეთისამ ამისთანა საქმეზედ მაშინ ყური მოიყრუა და გაზეთს საყვედურიც არ მისცა და ეხლა კი თვით ლავროვი და ზასულიჩი გამოჰრეკა საფრანგეთიდამ, თქვენი ფეხი ჩვენს ქვეყანაში აღარ იყოსო. ინგლისის გულის მოსაგებადაც ამისთანა ღონისძიებას იხმარა საფრანგეთმა. დღეის აქამომდე ირლანდიის აგიტატორები და რესპუბლიკის მომხრენი ბლომად იყვნენ საფრანგეთში და აქედგან აწარმოებდენ თავიანთ საქმეს ინგლისის წინააღმდეგ. საფრანგეთის მთავრობას ეხლასან გამოუცხადებია ამათთვის, რომ ერთის თვის განმავლობაში საფრანგეთის სამზღვრებიდამ უნდა გასვიდეთო.

ამ სახით, თუ უეცარი მიზეზი რამ არ ჩამოერია ევროპის საპოლიტიკო საქმეში, ევროპა ორ დიდ-ბანაკად შესაძლოა გაიყოს. ერთის მხრით გერმანია, ავსტრო-ვენგრია და ოსმალო, მეორეს მხრით—რუსეთი, საფრანგეთი და იტალია. საფრანგეთი და იტალია იმისთვის კი არ ჩაერევიან საქმეში, რომ რუსეთს უშველონ, არამედ იმისათვის, რომ პირველმა გერმანიას ჩამოართვას ელზას-ლოტარინგია და მეორემ ავსტრიას იტალიის საკუთნო ადგილები. ერთიც და მეორეც ჩამოეცლება რუსეთს, რომ ეს გულის წადილი როგორმე სხვა გზით აუსრულდეთ.

წერილი სიღნაღის მაზრიდამ.

ჩვენში ეშმაკები ჯერ კიდევ არ გამოლეულან.— განათლების მცველნი სახელით და განათლების მტერნი საქმით.— ბედი სასოფლო სკოლებისა.— რა გავლენა იქონია სოფლის მასწავლებლებზედ «განმარტებითმა წერილმა?— სოფლის მასწავლებლების საუბარი.— სკოლები უმზრუნველოდ და მზრუნველობის ქვეშ.— რა სარგებლობას მოუტანს სასოფლო სკოლებს «წერა-კითხვის საზოგადოება» აგენტობის დაარსებით?— ვინ უნდა იყვნენ აგენტებად და სად უნდა სცხოვრობდნენ?—

ძალიან ბუდე გაიკეთეს ჩვენს მაზრაში.... ეშმაკებმა. ბავშვი ცუდად ჩააწვინეს აკვანში და დაიხრჩო— ვისი ბრალია? ეშმაკისა. მშობიარეს დროზედ ბებია ვერ მიაშველეს და მუცელს გადაჰყვა— ვისი ბრალია? კიდევ ეშმაკისა. მთვრალს კაცს გზა აერია და ფოტოროზედ გადიჩეხა— ვისი ბრალია? კიდევ და კიდევ ეშმაკისა. ერთის სიტყვით ხალხი ყოველსავე განსაცდელს ეშმაკს აბრალებს და მართლის ჩამგონებელი არავინა ჰყავს.

მღვდლებიო!— ბძანებთ— მღვდლები ხომ ხალხის პატრონებად და მათის სულისა და გონების მოძღვრად არიან დანიშნულნიო. თვით მაცხოვარმა არ უწოდა მღვდლებს «ნათელი» და «მარილი» ამ ქვეყნისაო! მაგრამ ძნელი ეს არის, რომ მღვდლების მომეტებულმა ნაწილმა (რა კარგია ეს სიტყვა? «მომეტებული ნაწილი»— ყოველი მღვდელი უმცირესს ნა-

წილში ჩაითვლის თავსა) უფრო დაბნელოა და გაუმართლოა ქვეყანა. ჩვენში მღვდელს მხოლოდ ანაფორაზედ იცნობთ და კიდევ იმაზედ, რომ ხშირად ქადაგებს — უ-აზრამის ტაბლოდ მკვდარი არა ცხონდებათ. ნეტავი, თქვენის სიცოცხლით, თუ თითონ არას აკეთებენ, სხვებს მაინც არ უშლიდენ ხელს, თორემ ის დალოცვილები სასოფლო სკოლების წინააღმდეგაც უქადაგებენ ხალხს: «ეჰ, ძალიან ცუდ საქმესა შვრებიან, რომ სოფლებში სკოლებსა ჰხსნიან: ხალხი ეშმაკდება, მღვდელსაც პატივი აყუარა მათგან და ერსაც, აღარც შენდობის აღება იციან, აღარც თავის დაკვრა, აღარც სხვა პატივის ცემა... ამას იქით კიდევ უფრო არაფრად ჩაგვაგდებენ!» — „აბა რა დამაკლდება, რომ ჭაბაანთ ნოდარას ბიჭმა წიგნი არ იცოდეს“ — უცემენ კვერს მთავრები დიაკვნებითურთ. მათ ბანს აძლევენ ზოგიერთნი იმისთანა პირნიც, რომელნიც თავიანთ თავს განათლებულს უწოდებენ: „ყველამ რომ წიგნი ისწავლოს, აღარც პატივისცემა იქნება ვისიმე და აღარც მუშაობაზედ მიუვა ხალხს გული. აბა გუთანზედ რად უნდა კაცს წიგნი, თუ არ დუქანზედ? ყველანი რომ მედუქნეებად გახდნენ, მუშტარი ვინღა იქნება?“ — «კლაუზნიკობის მეტს ვერას ისწავლიან გლეხის შვილები სოფლის სკოლაში.» ამბობენ კიდევ სხვანი. არც ჩინოვნიკობა უყურებს კეთილის თვალით სკოლებს. ერთმა ჩემმა ნაცნობმა სოფლის მასწავლებელმა შემომჩივლა გულ-მტკივნეულად: „დირექციიდამ რამდენსამე სოფლის სკოლას სასწავლო ნივთები დ წიგნები მოუვიდა სიღნაღშიო. მე თითონ წავედი იმათ მისაღებად; მივიღე და დავბრუნდიო. ხელში დედა-მიწის გლობუსი მეჭირაო; შემომხვდა ერთი ნაცნობი ჩინოვნიკი და მითხრაო: Это что такой, земной шаръ?» «Да, земной глобусъ.» მივუგე მეო.

«Напрасно грабятъ казну! На что крестьянскимъ дѣтямъ земной шаръ.»

აი ასეთი ხალხი ახვევია სოფლის სკოლებს გარშემო. გლეხების თანაგრძნობისა ხომ, აბა, რა იმედი უნდა ჰქონდეს კაცსა? იმათ რომ „ჭკვა ჰქონდეთ“ ვაჭრები ხომ შიმშილით დაიხოცებოდენ, როგორც თვითონვე აღიარებენ კარაპეტ-მარტიროზაები...

აი ამისთანა ხალხში შედის მასწავლებელი, როდესაც მიდის რომელსამე სოფლის სკოლაში. დილიდამ საღამომდე ეჩიჩინებს გლეხის შვილებს, რომელთაც «ჭამის», «დალევას» და „ლანძღვის“ სიტყვების მეტი არაფერი არა იციან-რა. საღამოთი გამოდის მასწავლებელი სკოლიდამ და კაცს ვერა ჰპოულობს, რომ თავის მწუხარება შესჩივლოს, გული გაართოს როგორმე და მეორე დღეს ისევ განცხოველებული შეუდგეს თავის მძიმე საქმეს. გარდა ამისა, შესცივა,— ხმას ვერ ამოიღებს, სხვა რამე გაჭირებაში ჩავარდება,—ხმას ვერ ამოიღებს: რადგანაც ლაპარაკით მარტო ისეც შეწუხებულ თავს შეიწუხებს და მამასახლისებსა და მათ უფროსებს კი ვერაფერს ჩააგონებს. ამ გვარად ჰკოდებათ სოფლის მასწავლებლებს გული, ჰკარგავენ წმინდა აზრს ხალხის სამსახურისას; უცივდებათ გულში ის წმინდა სურვილი, რომელმაც გამოიწვია სოფლად ხალხის სამსახურად, და ოთხი-ხუთის თვისა, თუ გაჭირდა—ერთის წლის შემდეგ, ანებებენ თავს სოფლის სკოლას დ მიდიან სხვა ცხოვრების გზაზედ. მათ ადგილს იჭერენ მეორენი, მესამენი, და ისინიც მისდევენ თავიანთ მოწინავეთა კვალს. ამ ნაირად სოფლის სკოლები ჰკარგამენ თავის მნიშვნელობას —სწავლა-განათლება დაბალის ხალხისა—და ჰხდებიან დროებით სადგურად ცხოვრების გზაზედ მოწანწალე პირთა. მგო-

ნია, ამ გვარს ტანტალში მასწავლებლები ისე ვერაფერს ვერას გააკეთებენ ხალხის სასარგებლოდ, როგორც ჩვენ ვერას ვაკეთებთ ფოსტის სტანციებში მოგზაურობის დროს. ეს არის მიზეზი, რომ ჯერ არა სოფლის სკოლას არ მოუტანია—აქეთ, თორემ, იქნება, სხვაგან ბევრი რამ გაკეთდა—თვალ-საჩენი სარგებლობა; არა სკოლას არ გამოუყვანია ჯერ ცხოვრებაში შეძლებისამებრ გონებით განვითარებული შეგირდები, რომელთაც ცოტათი მაინც გარჩევა ჰქონოდათ სრულებით უსწავლელთაგან.

ვინ არის ამაში დამნაშავე, თვითონ მასწავლებელი თუ სხვა ვინმე? სხვისა კი რა მოგახსენოთ, მაგრამ მასწავლებლების დანაშაულობას კი ჩვენ ვერა ვხედავთ. სოფლის მასწავლებლები დიდ განწირულებაში ცვივიან. არავინ კარგის თვალით არ უყურებს მათ და არც არაფერს მოელიან თავიანთ მომავალში: არც ჯამაგირის მომატებას, არც რაიმე „ჯილდოს“ სიბერისა და უძლურების დროისათვის. მართალია, სოფლის მასწავლებლებმა იციან, რომ იმათ არაფერი მატერიალური და გარეგანი თვალ-საჩინო ამაღლება არ მოელით და გამოდიან ბევრნი სოფლად, სურვილით გატაცებულნი ემსახურონ დაბალ ხალხს,—მაგრამ მატერიალური წარჩინება რომ ჰქონდეთ სოფლის მასწავლებლებს არ აწყენდათ და, იქნება, სკოლებს ის სენიც ასცდენოდა, რომელიც ახლა სჭირთ მათ—არ იქნებოდნენ სადგურად ცხოვრების გზაზედ მოტანტალე პირთა, არამედ გაავრცელებდნენ ხალხში სწავლა-განათლებას. ეს უნდა ვიფიქროთ მით უფრო, რომ სოფლის მასწავლებლები იქეთივე კაცნი არიან და იმავე ბუნებისანი, როგორც ჩვენ ყველანი. არც ისეთი რკინის ხასიათისანი არიან რომ მრავალმა შეწუხებამ მათ გული არ შეურყიოს. იმათაცა აქვთ თავის-მოყვარეობა და ისეთი

უანგარობაც არ ეტყობათ, რომ იმათზედ მატერიალურმა წარ-ჩანებამ კეთილად არ იმოქმედოს. არამც თუ ჯამაგირის მომატებამ, ცარიელი სიტყვებიც კი გულს უკეთებთ საწყალ დაჩაგრულ მასწავლებლებს და ახალისებთ თავიანთ საქმეზედ. უნდა გენახათ—რა აღტაცებაში მოსულიყვნენ სოფლის მასწავლებლები, როდესაც წაეკითხათ «განმარტებითი წერილი» „ივერიის“ მე-XII წიგნში. იმ წერილს ყოველი ტანჯვა-წვალება დაევიწყებინა მათთვის და აპირებდნენ ახლად შემოკრებილის ღონით შესდგომოდნენ თავიანთ საქმეს. თუმცა იმ წერილში მასწავლებლებზედ ბევრი არაფერი არის—უფრო რუსულის ენის სწავლებაზედ არის ლაპარაკი; მაგრამ იმათ ის უხარიანთ, რომ იმათგან შემჩნეულ უსარგებლობას და სიძნელეს რუსულის ენის სწავლებისას—ნამეტნავად პირველის წლიდამვე, როგორც ახალი პროგრამა უბძანებს მათ,—იზიარებენ სხვანიც. იმათ შესახებ მარტო ის არის, რომ ისინი არ ეძებენ არც ჯილდოს, არც ჩინს, არც ორდენს. ეს ქება არის იმათი და, ვისაც ესმის, ამაზედ დიდი დაჯილდოება, მგონია, არ უნდა იყოს.

საყურადღებო იყო მასწავლებლების ამ საგანზედ ლაპარაკი, რომელსაც მე ყური მოვკარი: ბაასი «განმარტებითის წერილის» გამო იყო გამოწვეული;—კაცო, სთქვა ერთმა, მე ეს მიკვირს, რატომ სოფლის მასწავლებლებს სამსახური არ ჰეთვლება?—იმისთვის, რომ ჩვენ გლეხებს ვემსახურებით,—მიუგო მეორემ.—მე მგონია, მომეტებულ ნაწილს სახელმწიფოსას გლეხობა შეადგენს და ყველა წოდების ჩინოვნიკობა იმასაც ემსახურება: ჯარმა უნდა დაიცვას გარეშე მტრებისაგან, პოლიციელებმა და სასამართლოებმა უნდა დაიცვან მშვიდობიანობა გლეხებს შორის. მაგრამ იმ მოსამსახურე პირთ სამსახური ეთვლებათ. ამასთანავე, ისინი გლეხებს მხოლოდ მო-

რიდამ ემსახურებიან; ჩვენ კი ვემსახურებით გლეხების იმ თვისებას, რაც ყოველის კაცისათვის ძვირფასია და ვემსახურებით თითქმის სახლში, ჩვენ რატომ არ უნდა ჩაგვეთვალოს შრომა სამსახურში? იმიტომ რომ ხალხის ნება-ყოფლობით არის დაარსებული სკოლები. მერე მთავრობას რომ ძალ-დატანებით დაემართა, განა ცოდო იქნებოდა, ან სვინიდისის წინააღმდეგი? თუ კი ფოსტის ფულის მოკრეფა და გზების გაკეთება ძალდატანებით სვინიდისის წინააღმდეგი არ არის, რადგანაც ხალხის სასარგებლოდ სჩადიან,—სკოლების დამართვა ძალ-დატანებით სვინიდისის წინააღმდეგი იქნება?... გზების გაკეთებაც არ მიაჩნდათ გლეხებს სასარგებლოდ და უარობდენ, მაგრამ ეხლა კი ილოცებიან გზების გაკეთებისათვის. სადაც არის სკოლები, ხალხს უფრო მთავრობისაგან დაარსებულად არ მიაჩნიათ, ვიდრე თავის დაარსებულად?!

ასე სამწუხარო მდგომარეობაში არის ეხლა ჩვენი სკოლები და გულ-შემატკივარი კი არავინა ჭყავს, რომ ცოტათი მაინც წამალი დასდოს. ცოტაოდენი წამალი, ჩვენის აზრით, არის მზრუნველობის დანიშვნა სკოლებში. კეთილ-სვინიდისიანი მზრუნველი ძალიან დიდ სარგებლობას მოუტანს სკოლას. ის იქნება ამხანაგი მასწავლებლისა სკოლის საქმეში. მასწავლებელი იმეცადინებს სკოლის გონებით წარმატებისთვის და მზრუნველი იმავე დროს სკოლის შეძლებისათვის იზრუნებს. ამ რიგად შეუმსუბუქდება მასწავლებელს ჯაფა და იმ დროს, რასაც მამასახლისთან ან მაზრის უფროსთან ლაპარაკსა და ხვეწნაში დაჭკარგამდა, შეგირდების გონებითს წარმატებას მოახმარებს. გარდა ამისა, მასწავლებლებად სოფლებში ინიშნებიან პირდაპირ სასწავლებლებიდამვე უმაწვილი-კაცები, სრულიად გამოუცდელნი და ცხოვრებაში გამოუსვლელნი. სოფ-

ლის მასწავლებლებისათვის კი ეს ორი თვისება—გამოცდილება და ცხოვრებაში გამოსულობა—ძალიან საჭირო არის. გამოუცდელობით მოსდით მასწავლებლებს, როდესაც ჯერ მირბიან სოფლებში იმ აზრით, რომ გაანათლონ უბრალო ხალხი, და როდესაც დაატყდებათ ვაი-ვაგლახი, ანებებენ თავსა და ისევ უკან მორბიან, ან ერთის სოფლიდამ მეორეში გადარბიან; გამოუცდელობითა ჰხდება მრავალი უსიამოვნობა სოფლელებსა, ნამეტნავად მოხელეთა, და მასწავლებელთ შუა, გამოუცდელობითა ჰხდება, რომ ზოგიერთ მასწავლებელს იტაცებს ქართველთ პურ-მარილობა, ეწყობა ღვინოს და ანებებს თავის მოვალეობას თავსა. ამისთანა შემთხვევებში კეთილ-სინიდისიანი და გამოცდილი მზრუნველი ძვირფასი რამ არის. ის იქნება მასწავლებლის მხრის დამჭერი და გამაფრთხილებელი, რომ არ მოჰხვდეს ბოროტთა პირთა ბადეს და ამით არ დაიცაროს სკოლის საქმე. მარტო კეთილ-სვინიდისიან მზრუნველს შეუძლიან ამხანაგობა გაუწიოს აზრების გადაცემ-გადმოცემაშიაც და სიამოვნებაშიაც მასწავლებელს. აი სწორედ იმისთანა სკოლებს ეცვლებათ მალ-მალე მასწავლებლები, სადაც არ არიან მზრუნველები და არც სწავლის საქმე მიდის იქ კარგად. თუ სადმე სწავლა უმზრუნველო სკოლებში კარგად არის დაყენებული, უეჭველია, რომ კეთილ-სვინიდისიანის მზრუნველის ხელში ერთი-ორად გარდიქცეოდა. მაგრამ ჩვენში, მგონია, არსად არ არიან მზრუნველები არც სკოლებისა და არც სხვისა. თავს კი არსად იჩენენ და თუ ტყუილად არიან, არ ვიცით.

ჩვენ სრული იმედი გვაქვს—ამ საგანს ყურადღებას მიაქცევს „წერა-კითხვის საზოგადოება“ და, როგორც სკოლების სხვა გვარ საჭიროებიდამ გამოხსნასა ცდილობს, ამ გაჭირვებიდამაც გამოიხსნის. მაგრამ ჩვენ კიდევ სხვა იმედი გვაქვს ამ

საზოგადოებისა. ჩვენ გავიგეთ, რომ მას ჰსურს იყოლიოს ყოველ მაზრაში აგენტები, რომელთ მოვალეობაც იქნება სკოლების ყურის გდება. თუ ეს ამბავი მართალი გამოდგა, სწორედ უნდა მოვახსენოთ, რომ სასოფლო სკოლებს კარგი ბედი მოელით. აგენტობის დაწესება «წერა-კითხვის საზოგადოების» მხრით ყველა ნივთიერ შემწეობაზედ უდიდესი რამ იქნება სკოლებისთვის. ღმერთმა ბძანოს, რომ ეს ამბავი მართალი გამოდგეს. აგენტები იქნებიან სკოლების მეთვალ-ყურედ სწავლის მხრითაც და მატერიალურის მხრითაც. როგორც მზრუნველები—მათზედ უფრო უკეთ—აგენტები შეუმსუბუქებენ მასწავლებლებს შრომას და რადგანაც ახლო იქნებიან და ყოველთვის შეიძლებენ სკოლების დათვალიერებას, ასე ხშირ-ხშირად თავს ვეღარ დაანებებენ მასწავლებლები სკოლებს და არ წავლენ აქეთ იქით საქეიფოდ. სრული იმედი გვაქვს ამ ამბის გამართლებისა. რასაკვირველია, «წერა-კითხვის საზოგადოება» იმასაც ეცდება, რომ აგენტების რიცხვში არ ჩაურიოს ისეთნი პირნი, რომელთაც ბრძანების მეტი არა იციან-რა ქვეყანაზედ და არც ისეთები, ვისაც ცოტაოდენი ხმა მაინც არა აქვთ მაზრის უფროსებთან. უამისოდ არაფერი არა გამოვა-რა, მხოლოდ საქმე ეს არის: სად უნდა სცხოვრობდენ აგენტები? აგენტებად სკოლებს მარტო ქალაქის მცხოვრებელნი არ გამოადგებათ, რადგანაც იმათ დაწვრილებით არ იციან სოფლის გარემოებანი და მოშორებულნიც იქნებიან სოფლებზედ: ისინი სკოლების საჭიროებას დაწვრილებით ვერ გაიგებენ. თუმცა იმათთვის უფრო ადვილი იქნება და დროც ექნებათ, რომ მაზრის უფროსისაგან შემწეობა მიიღონ, მაგრამ რაზედ, რისთვის, როდესაც საჭიროება არ იციან? არც მარტო სოფლელები შეიძლება იყვნენ აგენტებად. მაშინ, თუმცა სკოლების

საჭიროება ყველაფერი ეცოდინებათ მათ, მაგრამ მაზრის უფროსთან კავშირი არა ექნებათ-რა და რაც უნდა საჭიროება იცოდენ, თუ კი ვერ აუსრულებენ სკოლებს ამ საჭიროებას, ამაო იქნება მათი ყოფნა. მაშ ასე უნდა მოხდეს, რომ აგენტები ზოგნი სოფლებში სცხოვრობდენ, ზოგნი ქალაქებში. სოფლელი აგენტები ადევნებენ თვალ-ყურს სკოლების საჭიროებას და შეატყობინებენ ქალაქელებს. ისინი იქ ეცდებიან მაზრის უფროსებთან, ან სხვა უმაღლეს ადგილას, როგორც საჭირო იქნება. იმედია, ამ საშუალებით ცოტათი მაინც გაუმჯობესდეს სოფლის სკოლების მდგომარეობა.

სიღნაღელი.

30 იანვარს 1882 წ.

განცხადებანი.

ამა 1882 წელს ყოველ-დღიური გაზეთი

«დროება»

გამოვა იმავე პროგრამმითა და რიგით და იმავ თანა-მშრომლების დახმარებით, როგორც აქამდის გამოდიოდა. რომ გორც გაზეთის დაარსებიდამვე ცდილობდა რედაქცია, რო, მუდამ წელიწადს ცოტ-ცოტათი მაინც, შეძლებისა-და-გვარად გაეუმჯობესებინა გაზეთი, ისე მომავალ წელსაც ეცდება და იმედი აქვს, რომ ზოგიერთი სასიკეთო ცვლილებას შემოიღოს გაზეთში და გააუმჯობესოს იმის გამოცემა.

ჴელის-მოწერა მიიღება;

თბილისში: «დროების» რედაქციის კანტორაში, გალავინის პროსპექტზე, თ. ივ. კ. მუხრანსკის სახლებში, კლუბის ქვემოთ.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა მოითხოვონ გაზეთი. Въ Тифлисъ, Въ редакцію газеты «ДРОЭБА».

«დროებაზე» და «ივერიაზე» ორივეზე ერთად ჴელის-მოწერა მომავალის წლიდამ არ მიიღება.

ფასი ჴელის-მოწერისა:

ერთის წლით — — — — — — — —	9 მან.
ნახევარის წლით — — — — — — —	5 „
სამის თვით — — — — — — — —	3 „
ერთის „ — — — — — — — — —	1 „

სხვა ვადით ჴელის-მოწერა არ შეიძლება. ჴვედრი ფული ჴელის-მომწერმა გაზეთის დაბარებისათანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში. ვთხოვთ აგრეთვე, რომ თავის სახელი-და-გვარი და საცხოვრებელი ადგილი გარკვევით დასწერონ.

რედაქტორი სერ. მესხი.

გამომცემელი სტ. მელიქიშვილი.

ამა **1882** წელს

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

«შრომა»

გამოვა იმავე პროგრამმით და მიმართულებით, როგორც **1881** წელს გამოდიოდა.

გაზეთის პროგრამმა:

I. სტატიები თანამედროვე კითხვებზედ, II. ტელეგრამმები, III. ადგილობრივი ამბები და შენიშვნები, IV. ახალი სალიტერატურო, საზოგადოებრივი და საპოლიტიკო ცნობები, V. ქრონიკა ადგილობრივის თვით-მმართველობისა, VI. შინაგანი და გარეგანი წერილები, VII. საპოლიტიკო მიმოხილვა გარეგანი და შინაგანი, VIII. კრიტიკული მიმოხილვა თანამედროვე ლიტერატურისა, IX. ფელეტონი: მოთხრობები, სცენები, ლექსები და სხვა-და-სხვა შენიშვნები. X. ისტორიული მიმოხილვა კავკასიის აქეთა მხარისა, XI. სამსაჯულო ცნობები და შენიშვნები, XII. ცნობათ ფურცელი და განცხადებანი.

გაზეთი გამოვა ოთხშაბათობით, საშუალო საგაზეთო ქაღალდის ფურცელზედ, ხანდისხან დამატებით.

გაზეთის გამოსაწერი ფასი სახლში მიტანით და სხვა ქალაქებში გაგზავნით: ერთის წლისა—შვიდი მანეთი, ნახევარ წლისა—ოთხი მანეთი, სამის თვისა—ორი მანეთი და ხუთი შაური.

ხელის-მოწერა მიიღება:

ქ. ქუთაისში: 1) გაზეთის რედაქციაში, ნემცების ქუჩაზედ, კნეინა მაჭუტაძის სახლში, 2) ვ. გ. წულუკიძის სტამბაში, თბილისის ქუჩაზედ, ერიქოვის სახლში და 3) ძმების ნიკოლაძეების მაღაზიაში.

ქ. თბილისში: მჭედლოვის გაზეთების სააგენტოში.

ქუთაისის გარეშე მცხოვრებთა თავიანთის მოთხოვნილებით პირდაპირ რედაქციას უნდა მიმართონ.

რედაქტორი თ. დიმ. ე. დადიანი.

1-го ЯНВАРЯ 1880 ГОДА
ГАЗЕТА
„КАВКАЗЪ"
ВЫХОДИТЪ ПОДЪ НОВОЙ РЕДАКЦІЕЙ

ежедневно, не исключая понедѣльниковъ, въ количествѣ 345 №№ въ годъ.

Редакція приметъ всѣ зависящія съ ея стороны мѣры, чтобы придать газетѣ возможно большій интересъ, какъ расширеніемъ программы, такъ и полнотою отдѣловъ, причемъ преимущественное вниманіе будетъ обращенв на разработку мѣстныхъ вопросовъ.

ПРОГРАММА:

Часть официіальная: Узаконенія, дѣйствія и распоряженія правительства. Высочайшіе приказы Намѣстника, циркуляры Намѣстника и Главнаго Управленія, извѣщенія, разнаго рода правительственныя и служебныя распоряженія.

Часть неофиціальная: I. *Руководящія статьи:* по вопросамъ, имѣющимъ обще-государственное или мѣстное значеніе. Ознакомленіе съ внѣшними политическими событіями, преимущественно въ восточныхъ государствахъ, сопредѣльныхъ съ Кавказомъ.

II. *Мѣстныя извѣстія:* а) Корреспонденціи изъ главнѣйшихъ пунктовъ края. б) Столичная и иностранная пресса о Кавказѣ. в) Туземная пресса: армянская, грузинская, татарская. г) Ходъ городского самоуправленія и вообще городскія дѣла, какъ по Тифлису, такъ и по другимъ городамъ края. д) Новости о событіяхъ русской жизни. е) Тифлисская городская хроника. ж) Судебная хроника. з) Отчеты о засѣданіяхъ мѣстныхъ учебныхъ и другихъ обществъ.

III. *Фельетонъ:* а) Этнографическія статьи, бытовые очерки и путешествія по Кавказу. б) Рецензіи на книги,

выходящія въ Россіи и за-границей, касающіяся Кавказа· в) Обозрѣніе общественной жизни· г) Научное обозрѣніе.

IV· *Смѣсь.* Курьезы, анекдоты и разныя извѣстія.

V. Справочный отдѣлъ

VI. Казенныя и частныя объявленія.

УСЛОВІЯ ПОДПИСКИ:

	Съ доставкою въ Тифлисѣ· Руб.	Коп.	Съ пересыл. иногородн Руб.	Коп.
На годъ	11	50	13	—
» полгода	6	—	7	—
» три мѣсяца	3	50	4	—
» одинъ мѣсяцъ . . .	1	50	1	75

Подписка принимается въ г. Тифлисѣ, въ конторѣ газеты «*Кавказъ*», на Дворцовой улицѣ, въ домѣ № 5. Иногородные адресуютъ свои требованія: въ Тифлисъ, въ редакцію газеты «*Кавказъ*».

Разсрочка платежа подписныхъ денегъ допускается на слѣдующихъ условіяхъ: *для городскихъ подписчиковъ:* при подпискѣ 5 р., въ концѣ марта 4 рубля и къ 1-му августа 3 руб. *Для иногородныхъ:* при подпискѣ 6 р., 1-го апрѣля 5 р., 1-го августа 3 р.

Редакторъ-издатель Кн. Д. Г. ЭРИСТОВЪ.